ქართული

როგორც მეორე ენა

5

ნონა არევაძე-კოტორაშვილი
ზეინაბ ბერაძე, ნათია მანია, ნონა მიქელაძე
ია რობაქიძე, ნინო ჭანკვეტაძე
გიორგი ჭაუჭიძე

სულაკაურის
გამომცემლობა

მასწავლებლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს მიერ 2020 წელს.

ქართული, როგორც მეორე ენა 5
მასწავლებლის წიგნი

თბილისი, 2020

ავტორები: **ნონა არევაძე-კოტორაშვილი, ზეინაბ ბერაძე, ნათია მანია, ნონა მიქელაძე, ია რობაქიძე, ნინო ჭანკვეტაძე, გიორგი ჭაუჭიძე**

რედაქტორი **რუსუდან გორგაძე**
ილუსტრატორი **ნანა მელქაძე**
დიზაინერი **ია მახათაძე**
ტექნიკური დიზაინერები: **ვიკა კვარაცხელია, გიორგი ლომსაძე**

© სულაკაურის გამომცემლობა, 2020
ყველა უფლება დაცულია.

შპს „სულაკაურის გამომცემლობა“
აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 2910954, 2911165
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-30-619-8

Georgian as Foreign Language 5
Teacher’s book

© Sulakauri Publishing, 2020
All rights reserved.

Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

სარჩევი

1. სახელმწიფო ენები 5
2. შესავალი 7
3. სახელმძღვანელოს ორიენტირება ეროვნულ სასწავლო გეგმაზე

   სტანდარტის შედეგები და ინდიკატორები 9
4. მეთოდური რეკომენდაციები 26
5. სახელმძღვანელოს თემების გაწერა საგაკვეთილო აქტივობებად

   თემა 1 30

   თემა 2 37

   თემა 3 45

   თემა 4 50

   თემა 5 54

   თემა 6 59

   თემა 7 64

   თემა 8 70

   თემა 9 76

   თემა 10 80

   თემა 11 86

   თემა 12 90
6. შემაჯამებელი დავალებები 12-ვე თემისათვის 95
7. შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკა 101
8. მოსასმენი დავალებების ტექსტები და ინტერნეტბმულები 104
9. რეკომენდაციები დამატებით საკითხავებზე სამუშაოდ 111

სახელმწიფო ენები

სახელმწიფო ენების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:

- **ქართული ენა და ლიტერატურა;**
- **ქართული, როგორც მეორე ენა;**
- **აფხაზური ენა და ლიტერატურა.**

სახელმწიფო ენის შესწავლა მოზარდს უვითარებს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარს, გამოუმუშავებს საკუთარი აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით გამოხატვის, სხვადასხვა ტიპის ტექსტების გააზრებული კითხვისა და შექმნის უნარს სახელმწიფო ენაზე; ეხმარება მას, რომ გააცნობიეროს ლოკალური და ზოგადსაკაცობრიო კულტურა, როგორც ცვლილებისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესი, ხელს უწყობს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების განვითარებას; უზრუნველყოფს მოზარდის სრულფასოვან ინტეგრირებას სამოქალაქო საზოგადოებაში.

სახელმწიფო ენების სწავლების მიზნები და ამოცანები

სახელმწიფო ენების (ქართულის/აფხაზურის) სწავლების მიზანია ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან ნაზიარები, თავისუფალი და შემოქმედებითი პიროვნების აღზრდა, რომელიც შეძლებს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმას, საკუთარი წვლილის შეტანას ქვეყნის წინსვლასა და სამოქალაქო საზოგადოების შემდგომ განვითარებაში.

საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, სასწავლო გეგმა ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას. ამგვარ ამოცანებს წარმოადგენს:

- ენობრივი ცოდნის შეძენა-გაღრმავება, ენობრივი უნარების განვითარება;
- აზრის ცხადად, ლაკონიურად, მკაფიოდ და მწყობრად გამოხატვის უნარის ჩამოყალიბება;
- მსჯელობის უნარის განვითარება;
- სააზროვნო მოქმედებათა (ანალიზი, შედარება, განზოგადება) განვითარება ენობრივ (ტექსტობრივ) საფუძველზე;
- ფუნქციურად და შინაარსობრივად მრავალფეროვანი ტექსტების შესწავლისა და გააზრების უნარის ჩამოყალიბება;
- ტექსტებთან შემოქმედებითი (თავისუფალი) დამოკიდებულების გამომუშავება;
- დისკუსიებში მონაწილეობა, მონოლოგური და დიალოგური მეტყველების უნარ-ჩვევათა ჩამოყალიბება;
- სამეტყველო ეტიკეტის ნორმების დაცვის უნარის განვითარება;
- მიზნობრივი ამოცანის შესატყვისი სტილით გამართულად წერისა და მეტყველების უნარის განვითარება;

- სხვადასხვა სახის, სტილისა და ჟანრის ტექსტების ანალიზისა და შექმნის უნარის გამომუშავება-განვითარება;
- მწერლის შემოქმედების გააზრების უნარის განვითარება სუბიექტური (მწერლის ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტები და მომენტები) და ობიექტური (ეპოქის ზოგადი კონტექსტი) ფაქტორების გათვალისწინებით;
- მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებში ასახული პრობლემატიკის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის, პიროვნული პოზიციის ჩამოყალიბებისა და მისი არგუმენტირების უნარის გამომუშავება;
- ლიტერატურული ნაწარმოების ესთეტიკური აღქმისა და შეფასების უნარის გამომუშავება;
- ლიტერატურულ ნაწარმოებებში ასახული ფასეულობების აღქმა-გააზრებისა და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის უნარის განვითარება;
- ეროვნული და მსოფლიო ლიტერატურული პროცესების, უნივერსალური ლიტერატურული თემების ურთიერთკავშირის გაზრების უნარის გამომუშავება;
- კულტურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემის გრძნობის გამომუშავება;
- სხვადასხვა ტიპის დამოკიდებულების (პიროვნულ განსხვავებათა დაფასება და პატივისცემა, ენობრივ-კულტურული კუთვნილების განცდა, ენების სწავლის სურვილი და სხვ.) ჩამოყალიბება და განვითარება;
- სახელმწიფოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სოციოკულტურულ თავისებურებათა დაფასება და პატივისცემა; სოციოკულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა;
- უცხო კულტურის გაგების უნარის განვითარება;
- სახელმწიფო ენის/ენების ცოდნის დამოუკიდებულად გაღრმავების უნარის განვითარება;
- ენის სწავლის უნარ-ჩვევების (სწავლის სწავლა) განვითარება;
- საგანმანათლებლო მიზნებით ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარის განვითარება;
- სასიცოცხლო უნარ-ჩვევების (თანამშრომლობა, თავისუფალი არჩევანის გაკეთება, პრობლემის გადაჭრა, შემოქმედებითობა და სხვ.) განვითარება;
- ქვეყნის მოქალაქეობის განცდის უნარის გამომუშავება და განვითარება.

შესავალი

„ქართული, როგორც მეორე ენა 5“ წარმოადგენს მე-5 კლასის სახელმძღვანელოს არაქართულენოვანი სკოლებისთვის.

სახელმძღვანელო შედგება **4 კომპონენტისაგან:**

1. მოსწავლის წიგნი,
2. სავარჯიშოების რვეული
3. მასწავლებლის წიგნი
4. მოსასმენი ტექსტები და ვიდეოსიუჟეტები (ციფრული ფორმატით)

მოსწავლის წიგნი და რვეული დაყოფილია **12 თემატურ ერთეულად**:

1. ბიბლიოთეკაში
2. პროფესიები
3. ოჯახი
4. როცა პატარა ვიყავი
5. გასული ზაფხული
6. ახალი წელი
7. კვება და ჯანმრთელობა
8. თავისუფალი დრო
9. საყვარელი შინაური ცხოველი
10. სტუმრად დედაქალაქში
11. დაბადების დღე
12. ზოოპარკში

თითოეულ თემაში მოცემული აქტივობები ხელს უწყობს მოსმენის, კითხვის, წერის, ლაპარაკის უნარების განვითარებას, ასევე მოცემულია თემატიკასთან დაკავშირებული გრამატიკის საკითხები.

ნებისმიერი დავალებისა თუ სავარჯიშოს პირობაში მოსწავლეთათვის გასაგებ ენაზეა მოცემული მითითება. ასევე მოცემულია პირობითი ნიშანი მოსმენის (ან ვიდეოსიუჟეტის ნახვის) დავალებისას.

გაითვალისწინეთ:

მოსწავლის წიგნში მოცემულია დავალებები, რვეულში კი – სავარჯიშოები. ნუმერაცია გადანაწილებულია იმგვარად, რომ შესასრულებელი აქტივობების მიმდევრობა დაცულია. მაგალითად, წიგნში პირველი დავალების შემდეგ თუ მოდის მე-3 დავალება, ეს ნიშნავს, რომ პირველი დავალების შემდეგ შესასრულებელია მე-2 სავარჯიშო, რომელიც სავარჯიშოების რვეულშია მოცემული.

წინამდებარე მასწავლებლის წიგნში გაწერილია ყველა თემა დეტალურად და მოცემულია შემაჯამებელი დავალებისა და ქვიზის ნიმუშები. აქვეა წარმოდგენილი მეთოდური მითითებები, რომლებიც უთუოდ დაეხმარება მასწავლებელს, უკეთ წარმართოს საგაკვეთილო პროცესი.

შენიშვნა: ქვიზი არ არის სტანდარტული შემაჯამებელი დავალება. ის განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტია, რომლის მიზანია, სწრაფად შეამოწმოს სასწავლო მასალის ათვისების ხარისხი და საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი და მოსწავლე მიაბრუნოს შესასწავლი თემის „სუსტ რგოლთან“.

მასწავლებლის წიგნს ბოლოში აქვს დართული ასევე მოსასმენი დავალებების ტექსტები (აუდიომასალა ციფრული ფორმატით ატვირთულია გამომცემლობის საიტზე) და ვიდეოსიუჟეტების ინტერნეტბმულები.

სახელმძღვანელოს ორიენტირება ეროვნულ სასწავლო გეგმაზე

სახელმძღვანელო აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით. სრულადაა გათვალისწინებული შემოთავაზებული თემატიკა, გრამატიკული მასალა და პრიორიტეტული კომპეტენციები. რასაკვირველია, სასურველია, მასწავლებელმა კარგად გადაამუშაოს სტანდარტის მოთხოვნები და თვითონაც გაითვალისწინოს თითოეული მოთხოვნა სწავლების დაგეგმვისა და თუ რეალიზაციის ფაზებზე ისევე, როგორც შეფასების გამოყენებისას.

სტანდარტის შედეგები და ინდიკატორები

V კლასი

მიმართულება კომუნიკაცია: მოსმენა და მოსმენის სტრატეგიები	
სტანდარტის შედეგები	**V კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები**
ქ.მ.დაწყ.(II). 1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ილუსტრირებული ტექსტის ძირითადი შინაარსის მოსმენა და გაგება.	**მოსწავლე:** • ამოიცნობს საკომუნიკაციო სიტუაციასა და კონკრეტულ დეტალებს *(თემას, საკითხებს; პერსონაჟებს/თანამოსაუბრეებს; მოქმედების დროსა და ადგილს და ა.შ.);* • ამოიცნობს თანამოსაუბრეთა და პერსონაჟთა შორის არსებულ მარტივ ურთიერთობებს (მაგ., *თანაკლასელები, მეგობრები, ნათესავები, მეზობლები* და ა.შ.); • ამოიცნობს სიუჟეტის განვითარების ხაზს; • ამოიცნობს მოქმედებათა თანამიმდევრობას.
ქ.მ.დაწყ.(II). 2. მოსწავლემ უნდა შეძლოს მოსმენილი ტექსტის მიმართ საკუთარი შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა და კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა.	**მოსწავლე:** • რეპლიკებზე დაყრდნობით გამოხატავს პერსონაჟისა და მისი მოქმედების მიმართ საკუთარ დამოკიდებულებას; • აფასებს პერსონაჟთა ხასიათს, ქცევას; • ტექსტში ასახულ ამბავს აკავშირებს პირად გამოცდილებასთან.
ქ.მ.დაწყ.(II).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს შესაბამისი ენობრივი სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით მოსმენილი ტექსტის ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა.	**მოსწავლე:** • ამოიცნობს საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვის გამოთქმებსა და კლიშეებს; მეტყველების თავაზიან და ფამილარულ ფორმებს; • კონკრეტულ სიტყვათშეხამებებს, ცალკეულ მარტივ დარგობრივ ლექსიკას; • ამოიცნობს მოქმედების ქრონოლოგიის, სიხშირისა და ხანგრძლივობის გამომხატველ ენობრივ მარკერებს; • განასხვავებს და ამოიცნობს თანამოსაუბრეთა მიერ ინტონაციით გამოხატული ნათქვამის მოდალობას (თხოვნა, მოთხოვნა, ბრძანება, შეკითხვა).

მიმართულება კომუნიკაცია: მოსმენა და მოსმენის სტრატეგიები	
სტანდარტის შედეგები	**V კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები**
ქ.მ.დაწყ.(II). 1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ილუსტრირებული ტექსტის ძირითადი შინაარსის მოსმენა და გაგება.	**მოსწავლე:** • ამოიცნობს საკომუნიკაციო სიტუაციასა და კონკრეტულ დეტალებს *(თემას, საკითხებს; პერსონაჟებს/თანამოსაუბრეებს; მოქმედების დროსა და ადგილს და ა.შ.);* • ამოიცნობს თანამოსაუბრეთა და პერსონაჟთა შორის არსებულ მარტივ ურთიერთობებს (მაგ., *თანაკლასელები, მეგობრები, ნათესავები, მეზობლები* და ა.შ.); • ამოიცნობს სიუჟეტის განვითარების ხაზს; • ამოიცნობს მოქმედებათა თანამიმდევრობას.
ქ.მ.დაწყ.(II). 2. მოსწავლემ უნდა შეძლოს მოსმენილი ტექსტის მიმართ საკუთარი შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა და კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა.	**მოსწავლე:** • რეპლიკებზე დაყრდნობით გამოხატავს პერსონაჟისა და მისი მოქმედების მიმართ საკუთარ დამოკიდებულებას; • აფასებს პერსონაჟთა ხასიათს, ქცევას; • ტექსტში ასახულ ამბავს აკავშირებს პირად გამოცდილებასთან.
ქ.მ.დაწყ.(II).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს შესაბამისი ენობრივი სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით მოსმენილი ტექსტის ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა.	**მოსწავლე:** • ამოიცნობს საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვის გამოთქმებსა და კლიშეებს; მეტყველების თავაზიან და ფამილარულ ფორმებს; • კონკრეტულ სიტყვათშეხამებებს, ცალკეულ მარტივ დარგობრივ ლექსიკას; • ამოიცნობს მოქმედების ქრონოლოგიის, სიხშირისა და ხანგრძლივობის გამომხატველ ენობრივ მარკერებს; • განასხვავებს და ამოიცნობს თანამოსაუბრეთა მიერ ინტონაციით გამოხატული ნათქვამის მოდალობას (თხოვნა, მოთხოვნა, ბრძანება, შეკითხვა).

რეკომენდაციები	
ტექსტის ტიპები: ა) სასწავლო მიზნებით შედგენილი დიალოგები; აღწერითი/ნარატიული ხასიათის ილუსტრირებული ტექსტები, კომიქსები; ბ) ილუსტრირებული მხატვრული ტექსტები (ლექსი, მარტივი ამბავი, ადაპტირებული ზღაპარი/მოთხრობა); გ) მცირე ზომის მარტივი ილუსტრირებული საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტები; დ) მარტივი კორესპონდენცია (ღია ბარათი, პირადი წერილი); ე) მულტიმედიური ტექსტები: საპროგრამო თემატიკაზე შექმნილი აუდიო-ვიდეო მასალა; ანიმაციური/საბავშვო ფილმები; მისთვის საინტერესო თემაზე გადაღებული საბავშვო გასართობ-შემეცნებითი გადაცემები.	
სტრატეგიები:	
• ილუსტრაციების, სათაურის საფუძველზე ტექსტის შინაარსის შესახებ ვარაუდების გამოთქმა მშობლიურ ენაზე; • ჩანაწერის ან უშუალოდ მეტყველების მოსმენისას არავერბალურ ელემენტებზე დაყრდნობა (ხმის ტემბრი, სხვადასხვა ტიპის ხმაური, ინტონაცია, მიმიკა, ჟესტიკულაცია); • ნაცნობ სიტყვიერ თუ არასიტყვიერ ელემენტებზე (მაგ., *კონტექსტი, მიმიკა/ჟესტიკულაცია, ინტონაცია, ხმის ტემბრი, ილუსტრაცია* და ა.შ.) დაყრდნობით უცნობი სიტყვების, გამოთქმების დამოუკიდებლად ამოცნობის მცდელობა; • მშობლიურ ენაზე იმის აღწერა, თუ რა ხერხით/გზით შეძლო მოსასმენი ამოცანის გადაჭრა.	
კონკრეტულ დავალებათა ნიმუშები:	
• ცხრილის/ნაკლული ტექსტის/დიალოგის შევსება სათანადო ინფორმაციით; • სწორი/არასწორი პასუხის/ინფორმაციის მონიშვნა; • მოცემული ინფორმაციის/წინადადებების დადასტურება ან უარყოფა; • მოსასმენი ამოცანების შესაბამისად კონკრეტული ინფორმაციის	

• ილუსტრაციასთან დაკავშირება; • საკუთარი ვერსიების შედარება/შემოწმება/დაზუსტება; • კითხვებზე პასუხი; • პერსონაჟების/თანამოსაუბრეების დახასიათება (მაგ., *მიუთითებს მათ ხასიათზე, საქმიანობებზე, ინტერესებზე, გეგმებზე* და ა.შ.); • რეპლიკის დაკავშირება ავტორთან; • პერსონაჟების ან კონკრეტული ინფორმაციების ერთმანეთთან შედარება გარკვეული ნიშნის მიხედვით (მაგ., *რამდენ წელს ცხოვრობს სპილო და რამდენს – ჯიხვი; რით იკვებებიან* და ა.შ.); • იმის მითითება, რით დაიწყო, რა მოხდა შემდეგ და რით დამთავრდა; • ტექსტის ან კონკრეტული ეპიზოდის ილუსტრაციების შექმნა • და სხვა.	
მიმართულება კომუნიკაცია: კითხვა და კითხვის სტრატეგიები	
სტანდარტის შედეგი:	**V კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები:**
ქ.მ.დაწყ.(II).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ტექსტის წაკითხვა და ძირითადი შინაარსის გაგება.	**მოსწავლე:** • ამოიცნობს ტექსტის ან ცალკეული ეპიზოდის საკომუნიკაციო სიტუაციას (*ავტორი, ადრესატი; თემა, მიზანი*); ტექსტში ექსპლიციტურად მოცემულ ინფორმაციას საკითხავი ამოცანების შესაბამისად; • ამოიცნობს მოვლენათა და მოქმედებათა თანამიმდევრობას; მათ შორის მიზეზშედეგობრივ კავშირებს; • ამოიცნობს პერსონაჟების ემოციებსა და განწყობებს, მათი ქცევის მოტივებს (მაგ., *რატომ არის მოწყენილი; რატომ მოიქცა ასე* და ა.შ.); • განარჩევს ტექსტში ავტორისა და პერსონაჟების სიტყვებს; • გამოყოფს სიუჟეტის განვითარების საფეხურებს; • ამოიცნობს მარტივ წინადადებებს ან ერთი რთული წინადადების ნაწილებ შორის არსებულ ლოგიკურ კავშირებს; • იჩენს ინტერესს კულტურული განსხვავებების მიმართ.

ქ.მ.დაწყ.(II).5. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ საკუთარი შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა და კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა.	**მოსწავლე:** • გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას პერსონაჟისა და მისი მოქმედების/ქცევის მიმართ; • აფასებს პერსონაჟთა საქციელს; • ექსპლიციტურ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოაქვს დასკვნა; • ტექსტში მოცემულ ინფორმაციას აკავშირებს პირად გამოცდილებასთან.
ქ.მ.დაწყ.(II).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს ხმამაღალი კითხვის სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ტექსტის წაკითხვა.	**მოსწავლე:** • გამართულად და გამომეტყველებით უკითხავს თანაკლასელებს სასურველ/შერჩეულ ნაწყვეტს ნაცნობი ტექსტიდან; • იცავს შესაბამის ინტონაციას სხვადასხვა მოდალობის წინადადების წარმოთქმის დროს; • მონაწილეობს დიალოგის, სკეტჩის გუნდურ კითხვაში.

ქ.მ.დაწყ.(II).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს შესაბამისი სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით ტექსტის სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა.	**მოსწავლე:** • განარჩევს სხვადასხვა ტიპის ტექსტს მათ სტრუქტურულ, ორგანიზაციულ მახასიათებლებზე დაკვირვებით (მაგ., *მოთხრობას, ზღაპარს ლექსისგან, პირადი წერილისგან)*; • ასახელებს ამა თუ იმ ტექსტის სტრუქტურული ორგანიზების თავისებურებებს (მაგ., *შემეცნებით ტექსტებში – სათაურები, რუბრიკები, წარწერები, ილუსტრაციები* და ა.შ.); • ამოიცნობს და ასახელებს ლიტერატურული ზღაპრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, თავისებურებებს (მაგ., *ავტორი, ზღაპრული ელემენტები, ენობრივი ფორმულები – იყო და არა იყო რა; ჭირი იქა, ლხინი აქა; გადაიარა ცხრა მთა და ცხრა ზღვა* და ა.შ.); • ამოიცნობს ამა თუ იმ ტექსტისთვის დამახასიათებელ ენობრივ ნიშნებს (მაგ., <u>მხატვრულ ტექსტში</u> *ზმნების ჭარბი გამოყენება, ამბის/მოვლენების განვითარების გამოხატვის შესაბამისი მარკერები, პირდაპირი ნათქვამი, ავტორისეული მეტყველება* და ა.შ.; <u>კორესპონდენციაში</u> – *მისალმება/ დამშვიდობებისა და მიმართვის ფორმულები* და ა.შ.); • ამოიცნობს აღწერითი ტექსტისათვის დამახასიათებელ ძირითად ენობრივ ნიშნებს (მაგ., *ზედსართავი სახელების ჭარბი გამოყენება, ზმნების ძირითადად ერთი დროის ფორმით ხმარება* და ა.შ.); • ამოიცნობს საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვის გამოთქმებს, კლიშეებს, ენობრივ კონსტრუქციებს (მაგ., *მოკითხვის, მილოცვის, დაპატიჟების* და ა.შ.); • ამოიცნობს სასვენი ნიშნების ფუნქციას (მაგ., ორი წერტილის, ტირეს).
რეკომენდაციები	
ტექსტის ტიპები: ა) სასწავლო მიზნებით შედგენილი ტექსტები (მინიდიალოგები, აღწერითი და ნარატიული ტექსტები, კომიქსები); ბ) მარტივი კორესპონდენცია (ღია ბარათი, პირადი წერილი); გ) მცირე ზომის ადაპტირებული მხატვრული ტექსტები (ლექსი, მოთხრობა, ლიტერატურული ზღაპარი); დ) მცირე ზომის ილუსტრირებული საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტები.	

სტრატეგიები:

- შინაარსის გასაადვილებლად სიტყვიერი (ნაცნობი ძირი, კონტექსტი...) და არასიტყვიერი (ტიპოგრაფიული მინიშნებები, ხაზგასმა, ილუსტრაცია, ლოგო...) ელემენტების გამოყენება;
- ხმამაღლა წაკითხვამდე ჯერ ჩუმად წაკითხვა და შინაარსის გააზრება;
- ილუსტრაციებზე, სათაურზე დაყრდნობით მშობლიურ ენაზე ვარაუდების გამოთქმა ტექსტის შინაარსის გარშემო;
- მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებს შორის განსხვავებების პოვნა სათაურსა და ილუსტრაციებზე დაყრდნობით;
- მშობლიურ ენაზე იმის აღწერა, თუ რა ხერხით/გზით შეძლო ამა თუ იმ საკითხავი ამოცანის გადაჭრა.

კონკრეტულ დავალებათა ნიმუშები:

- კონკრეტული ინფორმაციის პოვნა/ამოკრება (მაგ., *ავსებს ცხრილს; მონიშნავს სწორ/არასწორ პასუხს/ინფორმაციას; პასუხობს შეკითხვებზე; პოულობს რეპლიკებსა და მათ ავტორებს; მითითებულ ეპიზოდებს* და ა.შ.);
- საკითხავი ამოცანების შესაბამისად ინფორმაციების ერთმანეთთან, ტექსტის ილუსტრაციასთან დაკავშირება (მაგ., *აკავშირებს სათაურს ტექსტთან; გეგმის ცალკეულ პუნქტს სათანადო აბზაცთან/აბზაცებთან; რუბრიკას ან ტექსტის ცალკეულ მონაკვეთს/ეპიზოდს შესაბამის ილუსტრაციასთან* და ა.შ.; მიუთითებს, რომელ რუბრიკაში, ტექსტის რომელ ნაწილში უნდა ეძებოს ესა თუ ის ინფორმაცია, მაგ., *აქლემი ჭამს მცენარეებს – „საკვები“, ბინადრობს აზიაში – „საცხოვრებელი ადგილი“* და ა.შ.);
- ექსპლიციტურად მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით პერსონაჟის აღწერა-დახასიათება; საგნის, გარემოს, მოქმედების, მოვლენის აღწერა;
- ილუსტრაციებზე/ტექსტებში ასახული სიმბოლური, სოციოკულტურული, საყოფაცხოვრებო რეალიების მითითება;
- განსხვავებულ კულტურებს შორის პარალელების გავლება (პოულობს და ასახელებს მსგავსებებს, განსხვავებებს); მოსმენილი ან წაკითხული ამბების, ზღაპრების, ლეგენდებისა თუ ნანახი ფილმების (ანიმაციური, დოკუმენტური, მხატვრული) დასახელება მშობლიურ ენაზე, რომლებიც გაახსენა შესწავლილმა ტექსტმა
- და სხვა.

ენობრივ დავალებათა ნიმუშები:

- მოცემული ენობრივი ერთეულების (/მასალის) დაკავშირება სხვადასხვა მიზნით (მაგ., *შეკითხვების პასუხებთან დაკავშირება; წინადადების ერთი ნაწილის დაკავშირება მეორესთან; ლექსიკურ ერთეულთან შესაბამისი განმარტების დაკავშირება; მსგავსი ან საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვების დაკავშირება ერთმანეთთან* და ა.შ.);
- წინადადებაში სწორი/არასწორი სიტყვის ან შესიტყვების, გრამატიკული ფორმის მონიშვნა/გადახაზვა;
- ტექსტში დაშვებული ლექსიკური თუ გრამატიკული შეცდომების პოვნა და მითითება;
- მოცემული ვარიანტებიდან სწორი/არასწორი ვარიანტის მონიშვნა, შემოხაზვა
- და სხვა.

მიმართულება კომუნიკაცია: წერა და წერის სტრატეგიები	
სტანდარტის შედეგები	**V კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები**
ქ.მ.დაწყ.(II).8. მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ტექსტის/ ამბის წერა ილუსტრაციებზე დაყრდნობით ან ნიმუშისა თუ მოცემული პირობის მიხედვით.	**მოსწავლე:** • განსაზღვრავს საკომუნიკაციო სიტუაციას *(თემა, რუბრიკები, მიზანი, ადრესატი)*; • აღწერს/ახასიათებს ადამიანებს, ცხოველებს, საგნებს; • თანამიმდევრობით გადმოსცემს ფაქტებს, მოვლენებს; • გამოხატავს საკუთარ განწყობებს, გრძნობებსა და სურვილებს; • ავლენს შემოქმედებით დამოკიდებულებას.
ქ.მ.დაწყ.(II).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარი შეფასება-დამოკიდებულების წერილობით გამოხატვა და კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა.	**მოსწავლე:** • გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას კონკრეტული პერსონაჟისადმი / ფაქტისადმი/მოვლენისადმი; • აფასებს პერსონაჟის/ცხოველის ქცევას; • ექსპლიციტურ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოაქვს დასკვნა; • ტექსტში მოცემულ ინფორმაციას აკავშირებს პირად გამოცდილებასთან.
ქ.მ.დაწყ.(II).10. მოსწავლემ უნდა შეძლოს შესაბამისი სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით წერილობითი ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლებისა და ელემენტარული ენობრივი უნარ-ჩვევების ფუნქციური გამოყენება.	**მოსწავლე:** წერისას იყენებს ამა თუ იმ ტექსტის სტრუქტურულ მახასიათებლებს (მაგ., *კორესპონდენციის წერის დროს – მიმართვა, ხელმოწერა, თარიღი; შემეცნებითი ტექსტის დროს – რუბრიკები, ქვერუბრიკები* და ა.შ.); • იყენებს საკომუნიკაციო სიტუაციის (მაგ., *მილოცვა, დაპატიჟება, შთაბეჭდილების გაზიარება, გრძნობის გამოხატვა, ინფორმაციის გაცვლა* და ა.შ.) შესაბამის ენობრივ-გრამატიკულ სტრუქტურებსა და ხერხებს, შეარჩევს სათანადო ლექსიკურ ერთეულებსა და გრამატიკულ ფორმებს; • წერილის ადრესატის გათვალისწინებით იცავს სათანადო ეტიკეტს *(მიმართვა-მისალმების, მოკითხვის, დამშვიდობების ფორმულები; ზმნების თავაზიანი ფორმები);* • მართებულად იყენებს შეფასება/ დამოკიდებულების გამომხატველ ენობრივ ფორმულებს;

	• ადამიანების/საგნების შესადარებლად იყენებს შესაბამის ენობრივ კონსტრუქციებს (მაგ., *...-თან შედარებით უფრო ...-ია/უფრო მეტად/ნაკლებად* და ა.შ.); • ათანხმებს მსაზღვრელ-საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში; • სათანადოდ აფორმებს მარტივი წინადადების ფარგლებში სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვებს; • იცავს მართლწერის წესებს რთული რიცხვების დაწერისას; • წარსულში შესრულებული მოქმედებებისადმი დამოკიდებულების გამოსახატავად იყენებს შესაბამისი მწკრივის ფორმას (უწყვეტელი/წყვეტილი); • სწორად იყენებს სასვენ ნიშნებს.
რეკომენდაციები	
ტექსტის ტიპები: ა) მარტივი კორესპონდენცია (ღია ბარათი, პირადი წერილი); ბ) შემეცნებითი ხასიათის მიკროტექსტები სკოლის/კლასის გაზეთისთვის ან ჟურნალისთვის; გ) ყოფითი დიალოგები; დ) მარტივი აღწერითი და თხრობითი ტექსტები.	

სტრატეგიები:

- მასწავლებლის დახმარებით სამუშაოს დაწყებამდე საჭირო რესურსების თავმოყრა (მაგ., *ლექსიკური თუ გრამატიკული მასალის, ნიმუშების, ენობრივი კონსტრუქციებისა* და ა.შ.);
- შავი ვარიანტის წერა;
- შავი ვარიანტის წაკითხვა და შემოწმება; მასწავლებლის/თანაკლასელების შენიშვნების გათვალისწინება;
- გასწორების მიზნით შავი ნაწერის გადაკითხვა (მაგ., *ასწორებს ენობრივ შეცდომებს, აუმჯობესებს დიზაინს – სიტყვიერი და არასიტყვიერი მაორგანიზებელი ელემენტების განლაგებას);*
- მარტივი შესწორებების შეტანა შინაარსობრივი თვალსაზრისით (მაგ., *სიტყვის/წინადადების ჩამატება ან წაშლა* და ა.შ.).

კონკრეტულ დავალებათა ნიმუშები:

- ღია ბარათის შედგენა სხვადასხვა მიზნით (მილოცვა, ამბის შეტყობინება, დაპატიჟება);
- გეგმის მიხედვით პირადი წერილის/ნასწავლი ტექსტის მოკლე შინაარსის წერა;
- მოცემული ყალიბის შევსება განსხვავებული შინაარსით *(მაგ., წერს პერსონაჟის საპირისპირო დახასიათებას; ავსებს ტექსტს პერსონაჟის პირადი მონაცემებით* და ა.შ.);
- ამბის დასრულება, ან დასასრულის შეცვლა საკუთარი წარმოსახვით, ილუსტრაციაზე დაყრდნობით და ა.შ.;
- ილუსტრაციებისათვის წარწერების შექმნა;
- ნიმუშის ან მოცემული პირობის მიხედვით სხვადასხვა ტიპის ტექსტის წერა (მაგ., *მეგობრის, საცხოვრებელი ადგილის, ნივთის, ცხოველის აღწერა; დიალოგის მიხედვით დიალოგში მონაწილე პირების შესახებ საინფორმაციო ტექსტის დაწერა: ვინაობა, ოჯახი, ნათესავები, საქმიანობა, ინტერესები* და ა.შ.)
- და სხვა.

ენობრივი დავალებების ნიმუშები:

- წინადადებაში/ტექსტში დაშვებული ენობრივი შეცდომების გასწორება და გადაწერა;
- წინადადებებში გამოტოვებული სიტყვების ჩასმა სათანადო ფორმებით (მაგ., *შესაბამისი ნაცვალსახელების, ზმნის ფორმების* და ა.შ.);
- ფორმათა დასრულება (მაგ., *ახალ_ წლ__ ატრიბუტები* და ა.შ.);
- წინადადებების შედგენა/აწყობა (მაგ., *არეული სიტყვების დალაგება; მოცემული სიტყვების სათანადო ფორმაში ჩასმა; ნახატების შესატყვისი წინადადებების მოფიქრება* და ა.შ.);
- კითხვით სიტყვებზე მუშაობა და მათი გამოყენებით შესაბამისი შეკითხვების დასმა/წინადადებების შედგენა/დიალოგში გამოტოვებული რეპლიკების შევსება და ა.შ.;
- სიტყვის/წინადადების/ტექსტის შეცვლა (ტრანსფორმაცია), მაგ., *მხოლობითიდან მრავლობითში გადაყვანა; ზმნის პირის, რიცხვისა და დროის მიხედვით ცვლა; მიკროტექსტის შეცვლა თხრობის კუთხის მიხედვით* და ა.შ.;
- სხვადასხვა ნიშნით სიტყვათა გადახარისხება (მაგ., *ზმნების – დაბოლოების მიხედვით; აქტიურობა-პასიურობის მიხედვით: ყრია/ყრის, აწყვია/აწყობს* და ა.შ.);
- ცხრილების შევსება სხვადასხვა პირობის მიხედვით (მაგ., გრამატიკული ლექსიკონის შედგენა სხვადასხვა პარამეტრით (მაგ., *ანბანის რიგის მიხედვით, თემატურად, გრამატიკული კატეგორიების მიხედვით, მსგავსი და საპირისპირო სიტყვები* და ა.შ.).

მიმართულება კომუნიკაცია: ლაპარაკი და ლაპარაკის სტრატეგიები	
სტანდარტის შედეგები	**V კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები**
ქ.მ.დაწყ.(II).11. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა სიტუაციაში მეტყველებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამოვლენა.	**მოსწავლე:** • ზეპირად კითხულობს ლექსებს, გაითამაშებს მარტივ დიალოგებს, მონაწილეობს საკლასო სპექტაკლებში და ა.შ.; • ქართულ ენაზე მიმართავს მასწავლებელსა და თანაკლასელებს სასწავლო პროცესში წარმოქმნილ მარტივ პრობლემებთან დაკავშირებით; • ტექსტის შინაარსს ადეკვატურად უსადაგებს არავერბალურ მეტყველებას (ინტონაციას, მიმიკას, ჟესტიკულაციას, რიტმულ მოძრაობებს); • ტექსტის წარმოთქმისას იცავს შესაბამის ინტონაციებს, მახვილებს, რიტმულ სეგმენტებს.
ქ.მ.დაწყ.(II).12. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა, ნაცნობი თემატიკის გარშემო საუბარი.	**მოსწავლე:** • სვამს/პასუხობს კითხვებს კონკრეტულ საკლასო სიტუაციასთან დაკავშირებით; • სვამს/პასუხობს მარტივ კითხვებს ნასწავლი ტექსტის შინაარსის, მისთვის ნაცნობი თემების გარშემო; • მონაწილეობს საკლასო და სიმულაციურ სიტუაციებში; • სურათებზე დაყრდნობით ან გეგმის მიხედვით გადმოსცემს მოსმენილი ან წაკითხული ტექსტის მოკლე შინაარსს, ახალ ამბავს; • საუბრობს მისთვის ნაცნობ თემებზე.

ქ.მ.დაწყ.(II).13. მოსწავლემ უნდა შეძლოს მისთვის ნაცნობ და საინტერესო თემებსა თუ საკითხებზე საკუთარი აზრის, პოზიციის გამოთქმა; ინფორმაციის პირად ან სხვის გამოცდილებაზე გადატანა.	**მოსწავლე:** • მონაწილეობს სწავლების პროცესში წარმოქმნილ მარტივ პრობლემებთან დაკავშირებულ დისკუსიაში; • აფასებს საკუთარ/სხვის (მათ შორის, ტექსტის პერსონაჟების) ქცევას; • კონკრეტულ სიტუაციაზე/ფაქტზე დაყრდნობით გამოაქვს დასკვნა; • მოსმენილი ან წაკითხული ტექსტის შინაარსი გადააქვს პირად ან სხვის გამოცდილებაზე (ჰყვება გაგონილ, ნანახ ან თავს გადამხდარ ამბავს).
ქ.მ.დაწყ.(II).14. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი სათანადო ენობრივი ფორმულებისა და კლიშეების, ენობრივი კონსტრუქციებისა და კონკრეტული გრამატიკული ფორმების ფუნქციური გამოყენება.	**მოსწავლე:** • იცავს შესაბამის ინტონაციას სხვადასხვა მოდალობის წინადადებების წარმოთქმის დროს; • ცდილობს მართებულად გამოიყენოს თავაზიანი და ფამილარული ფორმები; • სათანადო კონტექსტში სწორად იყენებს კითხვით ნაცვალსახელებსა და კითხვით სიტყვებს *(ვინ? რა? რამდენი? როდის? როგორი? რომელი?* და ა.შ.); • სათანადოდ იყენებს პირის, ჩვენებით **(ეს/ის)** და კითხვით (**რომელი** თუ **როგორი**) ნაცვალსახელებს; • ამბის გადმოცემისას სწორად იყენებს მოვლენათა თანამიმდევრობის გამომხატველ სიტყვებს (მაგ., *ერთხელ, თავიდან, მერე, ბოლოს*); • იყენებს კონტექსტის შესაფერის მარტივ ენობრივ ფორმულებსა და კონსტრუქციებს; • შესაბამის ენობრივ კონსტრუქციებში სათანადოდ იყენებს მოქმედების ინტენსივობის, ადგილისა და დროის გამომხატველ ზმნიზედებს (მაგ., ხანდახან, ხშირად, იშვიათად); • კონტექსტის მიხედვით სწორად იყენებს ზმნის სხვადასხვა მწკრივის ფორმას **(აწმყო, უწყვეტელი, წყვეტილი, მყოფადი**); • სასაუბრო თემებისათვის იყენებს სათანადო ლექსიკას.

რეკომენდაციები
ტექსტის ტიპები: ა) საკლასო და სიმულაციური დიალოგები; ბ) ლექსები, სიმღერები, საბავშვო პიესები; გ) ნასწავლი თხრობითი და აღწერითი ტექსტები.
სტრატეგიები: • მშობლიურ ენაზე დახმარების თხოვნა მასწავლებლის ან თანაკლასელისაგან; • კომუნიკაციის არავერბალური საშუალებების გამოყენება (ჟესტების, მიმიკის); • წინასწარ ვარჯიში, რეპეტიცია მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან ერთად.
კონკრეტულ დავალებათა ნიმუშები: • მინიინტერვიუების მოწყობა თანაკლასელებთან ნაცნობი თემების გარშემო (მაგ., *არდადეგები, საცხოვრებელი ადგილი, მეგობრები, საყვარელი დღესასწაული* და ა.შ.); • მარტივი ინტერაქცია მასწავლებელთან და თანაკლასელებთან (მაგ., *ყოველდღიურ საკლასო სიტუაციებთან დაკავშირებით; ნასწავლი ტექსტების გარშემო კითხვების დასმა და პასუხი* და ა.შ.); • ილუსტრაციების, რეალური და წარმოსახვითი ადამიანების აღწერა-დახასიათება, მათი შედარებითი დახასიათება სხვადასხვა ნიშნით; • საუბარი ნასწავლი თემებისა და ტექსტების გარშემო (მაგ., *ჰყვება საკუთარ მეგობრებზე; იძლევა ინფორმაციას თავისი კუთხის/სოფლის/ქალაქის შესახებ; საუბრობს საქართველოზე; მარტივი გეგმის მიხედვით ჰყვება ნასწავლი ტექსტის მოკლე შინაარსს* და ა.შ.); • თანაკლასელებთან ერთად სხვადასხვა სიმულაციური სიტუაციის გათამაშება (მაგ., *კაფეში, შეხვედრა თანატოლთან/უფროს ადამიანთან, გამოფენის წარდგენა* და ა.შ.); • მინიპრეზენტაციების მოწყობა განხორციელებული პროექტების საფუძველზე (მაგ., *კედლის გაზეთის მომზადება და წარდგენა; საოჯახო რეცეპტების გაცნობა; საოჯახო/მეგობრების ალბომის შექმნა და წარდგენა; საკუთარი სოფლის/ქალაქის /კუთხის ღირსშესანიშნაობების შესახებ მოძიებული მასალის წარდგენა; საკლასო სპექტაკლის მოწყობა* და ა.შ.) • და სხვა.

მიმართულება: სწავლის სწავლა	
სტანდარტის შედეგები	**V კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები**
ქ.მ.დაწყ.(II).15. მოსწავლემ უნდა შეძლოს სასწავლო საქმიანობის მართვის უნარ-ჩვევების გამოვლენა.	**მოსწავლე:** • მასწავლებელთან ერთად გეგმავს შესასრულებელ სამუშაოს და ადგენს შესრულების ვადებს; • აქტიურად ებმება სასწავლო პროცესში; • მუშაობის პროცესში ადგენს, რა უჭირს და უზიარებს მასწავლებელს; • მიღებულ გამოცდილებას ითვალისწინებს სასწავლო საქმიანობისას; • არ უფრთხის შეცდომების დაშვებას; • სვამს შეკითხვებს და ითხოვს დახმარებას, როცა უჭირს ან რაიმე არ ესმის; • მონაწილეობს თვითშეფასებისა და თანაშეფასების პროცესში; • მშობლიურ ენაზე ასახელებს ზოგიერთ ფაქტორს, მიზეზს, რომლებიც ხელს უშლის წინსვლაში (მაგ., *იყო უყურადღებოდ, არ გაიმეორა მასალა, ვერ გაბედა შეკითხვის დასმა* და ა.შ.).
ქ.მ.დაწყ.(II).16. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვებთან თანამშრომლობა და ამ პროცესში კონსტრუქციული ურთიერთობების გამოვლენა.	**მოსწავლე:** • შეფასებისას იჩენს კორექტულობას; • კამათისას ყურს უგდებს განსხვავებულ მოსაზრებებს, მოჰყავს სათანადო არგუმენტები; • ახერხებს მეწყვილესთან და თანაგუნდელებთან მორიგებას; • ეხმარება თანატოლებს; • კორექტულად უდგება საკუთარ თუ სხვის შეცდომებს; • ავლენს პოზიტიურ დამოკიდებულებებს.
ქ.მ.დაწყ.(II).17. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიებისა და საგანმანათლებლო რესურსების (ბეჭდვითი და მულტიმედიური რესურსების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) გააზრებულად გამოყენება.	**მოსწავლე:** • იყენებს სახელმძღვანელოს სარჩევს, ლექსიკონს, სტრუქტურულ ნიმუშებს, ილუსტრაციებს და ა.შ.; • სათანადო შეკითხვებს უსვამს მასწავლებელს/ კომპეტენტურ პირს; • ქმნის ოპერატიულ რესურსებს და იყენებს მათ (მაგ., ანბანური/თემატური ლექსიკონი, პლაკატი, მარტივი სქემა, კითხვარი და ა.შ.); • საჭიროების შემთხვევაში, მოიძიებს სასურველ ინფორმაციას სკოლის გარეთ.

V კლასის შინაარსობრივი პრიორიტეტები: ძირითადი სამეტყველო ფუნქციები სათანადო ენობრივი კონსტრუქციებითა და ფორმულებით; ძირითადი ენობრივი საკითხები:

სამეტყველო ფუნქციები	სამეტყველო ფუნქციები ძირითადი ენობრივი კონსტრუქციები და ფორმულები	ძირითადი ენობრივი საკითხები
1.1. სოციალური ურთიერთობები: მისალმება/დამშვიდობება, მოკითხვა, საკუთარი თავის/ სხვისი წარდგენა, მილოცვა, თხოვნა, ნებართვის აღება, შეთავაზება, დაპატიჟება, შეხვედრის დანიშვნა, წახალისება/შექება, თავაზიანობის გამოხატვა, მადლობის გადახდა, მობოდიშება, ტელეფონით საუბარი	ხვალამდე! გისმენთ! სთხოვეთ! თუ შეიძლება! როგორ ბრძანდებით? თქვენ ბრძანდებით?	**ფონეტიკა/მორფოლოგია/ სინტაქსი:** **1. არსებითი სახელი: ბრუნება** _ სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვები და მათი ფუნქციები; **2. ზედსართავი სახელი:** ვითარებითი ზედსართავები და მათი ფუნქციები წინადადებაში; **3. ნაცვალსახელი:** პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელები;

1.2. ინფორმაციის გაცვლა: პირადი მონაცემები (ვინაობა, ასაკი, წარმომავლობა, სადაურობა, საცხოვრებელი ადგილი), ოჯახი/ნათესავები, საკუთრება, პროფესია/ ხელობა, საჭიროებები/ მოთხოვნილებები / სურვილები, თავისუფალი დრო, საქმიანობა, კვებითი ჩვევები, ჯანმრთელობა, ამინდი, გეგმები/განზრახვა, მგზავრობა/მოგზაურობა, გემოვნება, საყიდლებზე ყოფნისას	ვარ საიდან/სადაური? **...-დან + ყოფნა** ზმნა სამივე დროში (თბილისიდან ვარ); ზმნა სამივე დროში **+ ...-ში** (ვცხოვრობ თბილისში; მუშაობს სკოლაში); ზმნა სამივე დროში + **...-ის** ქუჩა**ზე** (ვცხოვრობ დოლიძის ქუჩაზე); დავიბადე ... წელს, ... (მაისს); ჩემი ოჯახის წევრები არიან ... ; **სახელი** + **-ა**(რის) (ექიმია); **მინდა + სახელი** (ნათ.-ში) + **საწყისი** (მინდა ბურთის ყიდვა/თამაში); რით ერთობი? _ **ვერთობი + სახელი** მოქმ.-ში (ვერთობი ბურთით); რას აპირებ? _ **ვაპირებ + საწყისი** მიც.-ში (ვაპირებ ხატვას); რას აპირებ ? ვაპირებ + საწყისი; რას აკეთებდა, რითი ერთობოდა?	**4. ზმნა:** მწკრივები: აწმყო, უწყვეტელი, წყვეტილი, მყოფადი; პირნაკლი ზმნები: წვიმს, თოვს... თავისებური ზმნები: დევს – აწყვია, გდია – ყრია, ზის – სხედან. **5. ზმნიზედა** (ადგილის, დროის, ვითარების); **6. საწყისი** **7. მიმღეობა** (მწერალი, მშენებელი, მხატვარი, მეპურე, მუსიკოსი...); **8. თანდებული** (-დან, -ში, -ზე, -თან, გან); **9. სიტყვაწარმოება** (-იანი, უ-ო, -ელი); **10. შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება** (ჩემი ძმა, ჩემს ძმას; დიდი ბიჭი, დიდ ბიჭს; პატარა გოგო, პატარა გოგოს) **11. მარტივი წინადადება;** **12. ინტონაცია სასვენი ნიშნების ფუნქციით.** **ორთოგრაფია/პუნქტუაცია:** **1.** ორი წერტილი, ტირე; **2.** მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება ბრუნვასა და რიცხვში;
1.3. აღწერა-დახასიათება: ადამიანის გარეგნობა, ჩაცმულობა, ხასიათი, თვისებები; ცხოველის/საგნის აღწერა	ჩემ**ზე**.../ყველა**ზე** + **ზედს**. + -ა(რის) _ ჩემზე მაღალია; ჩემთან შედარებით უფრო.../ჩემსავით... + როგორი? როგორი გარეგნობა/ ხასიათი აქვს? მაცვია/აცვია + **...-იანი** + სახელი (აცვია ჯიბეებიანი შარვალი); მაცვია/აცვია (როგორი?) + (რა?) აცვია + როგორ (ლამაზად, ცუდად...)? **ყოფნა** ზმნა + **...-იანი** (არის მოკლეთმიანი)	

1.4. გრძნობა/ემოციისა და შეფასება/დამოკიდებულების გამოხატვა: დადებითი/უარყოფითი ემოციები (სიხარული, კმაყოფილება, ბრაზი, სინანული, გაკვირვება, უკმაყოფილება, ეჭვი, ვარაუდი, შიში, ინტერესი, ინდიფერენტულობა), დადებითი/უარყოფითი შეფასება, შთაბეჭდილება, პოზიციის გამოხატვა	მაინტერესებს + ეს/ის; სულ ერთია; საჭიროა, აუცილებელია + **საწყისი** (საჭიროა წერა); **ზმნა** (აწმყოსა და წარსულში) + **როგორ?** (მოიქცა კარგად/ცუდად); **მე მგონი**, + **ზედს**. + -ა(რის) _ მე მგონი, კარგია/ ლამაზია;	
1.5. დროში ორიენტირება: დროში ლოკალიზება, ქრონოლოგია, სიხშირე, თანადროულობა, ხანგრძლივობა, დროში მრავალგზისი მოქმედება.	ერთხელ, თავიდან, ჯერ, შემდეგ, მერე, ბოლოს ყოველთვის, *ხანდახან, ხშირად, იშვიათად,* არასდროს... დავდივარ ხატვაზე (მაგრამ ახლა მივდივარ)	
1.6. სივრცეში ორიენტირება: ადგილმდებარეობის მითითება, მიმართულების განსაზღვრა (დანიშნულების ადგილი, მარშრუტი...)	სად? საით? საიდან? საიდან სადამდე? (დასავლეთით, დასავლეთიდან, -იდან -ს მიმართულებით, -იდან -ისკენ, -იდან -ში)	
1.7. ლოგიკური კავშირების გამოხატვა: მიზანი, მიზეზი, შედეგი, ოპოზიცია	იმიტომ, რომ მაგრამ	

მეთოდური რეკომენდაციები

ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობის ეფექტური სტრატეგიები (მეთოდები)

როგორც ვიცით, ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ წარიმართება ეს პროცესი – იქნება იგი შემოფარგლული მხოლოდ სალექსიკონო რვეულებში სიტყვების ჩაწერითა და მათზე მოსწავლეთა მშობლიურ ენაზე განმარტებების მიწერით, თუ დატვირთული იქნება მრავალფეროვანი და საინტერესო აქტივობებით.

რა უნდა გავითვალისწინოთ ლექსიკის სწავლებისას? უპირველესად, ლექსიკური თვალსაზრისით უნდა შევაფასოთ ის ტექსტები, რომლებსაც ვიყენებთ მოსწავლეებთან. რასაკვირველია, სახელმძღვანელოს ავტორების მიერ შერჩეული და შექმნილია ისეთი ტექსტები, რომლებიც შეესაბამება მეხუთე და მეექვსე კლასელების მზაობასა და ინტერესებს, მაგრამ ამ სახელმძღვანელოს გამოყენებისას მასწავლებლის მიერ წარმართულ აქტივობებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. კონკრეტულ კლასში გადაწყვეტილება მასწავლებელმა უნდა მიიღოს და დაგეგმოს თავისი მოსწავლეებისთვის საჭირო ქმედებები. მაგალითად, თუკი მასწავლებელი მიიჩნევს, რომ ტექსტში გამოყენებული ზოგიერთი სიტყვა შესაძლოა ძნელი გასაგები აღმოჩნდეს მოსწავლეებისთვის, მაშინ იგი დამატებით ამ სიტყვაზეც გაამახვილებს ყურადღებას. ეს შეიძლება მოხდეს როგორც ტექსტის წაკითხვამდე (ან თუკი ვასმენინებთ – მოსმენამდე), ასევე ტექსტის წაკითხვის პროცესში და წაკითხვის/მოსმენის შემდეგაც.

სახელმძღვანელოში შემოთავაზებულია სიტყვებზე მუშაობის სხვადასხვაგვარი ფორმატი. მათგან ზოგი ტექსტის წაკითხვამდე/მოსმენამდე ხორციელდება, ზოგიერთი წაკითხვისა და მოსმენის (ცოტა რთულია ეს ამოცანა) დროს, ხოლო ზოგჯერ წაკითხვის/მოსმენის შემდეგაც ითვალისწინებს მოსწავლეების კონცენტრაციას.

ქვემოთ შემოთავაზებულია ის ეფექტური მეთოდები, რომელთა უმრავლესობა სახელმძღვანელოშიცაა ჩანერგილი სხვადასხვა მომენტში. დაწვრილებით ამ და სხვა მეთოდების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) მიერ შექმნილ კრებულში (კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე, თბ. 2015.).

როგორ შევარჩიოთ სიტყვები, რომლებსაც სათანადო ყურადღებას დავუთმობთ?

მართლაც არ ღირს ყველა სიტყვა იმად, რომ მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს გაკვეთილებზე. რა მახასიათებლები უნდა ჰქონდეს სიტყვებს, რომ ისინი მნიშვნელოვნად ჩავთვალოთ?

უპირველესად, განვსაზღვროთ, რას ნიშნავს მნიშვნელოვანი სიტყვები ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის სწავლებისას. უპირველესად, ეს არის ის სიტყვები, რომლებიც აუცილებელია კონკრეტული სიტუაციის ან კონკრეტული ტექსტის გასააზრებლად. ზოგჯერ ასეთ სიტყვებს „საკვანძო სიტყვები“ შეიძლება ვუწოდოთ. ასეთ სიტყვებს მასწავლებელმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს და მოსწავლეებს სხვადასხვა კონტექსტში გააზრებინოს და გამოაყენებინოს.

კარგი იქნება, თუ მასწავლებელს გააზრებული ექნება სიტყვების კატეგორიები მათი გამოყენების სიხშირის მიხედვით. ენაში არსებობს შედარებით **ხშირად** გამოყენებული, **ნაკლები სიხშირით** გამოყენებული და **იშვიათად** ხმარებული სიტყვები. რომელი კატეგორიის სიტყვებს უნდა მიაქცი-

ოს მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება? რასაკვირველია, ე. წ. ხშირ სიტყვებს.

თავისთავად ცხადია, რომ „პური“, „მაგიდა“, „სკოლა“ და სხვები ხშირი სიტყვებია და ამ რიგის სიტყვების ცოდნა მოსწავლეებისთვის აუცილებელი და პრიორიტეტულია; „სარჩული“, „ზომიერი“, „მიტოვებული“ ნაკლები სიხშირით ხმარებული სიტყვებია; „ბობოლა“, „წარმტაცი“, „ოინი“ კი იშვიათად ხმარებული სიტყვებია.

სიტყვების შერჩევისას და მათზე ყურადღების გამახვილებისას უნდა გავითვალისწინოთ, თუ რომელ დონეზეა მოსწავლე. მაგალითად, დამწყებ დონეზე (A1 დონე) მყოფი მოსწავლისთვის ყურადღება ე. წ. ხშირ სიტყვებზე უნდა გავამახვილოთ. A2 დონეზე შეიძლება ვიმუშაოთ ნაკლები სიხშირით გამოყენებულ სიტყვებზეც, ხოლო იშვიათად ხმარებულ სიტყვებზე ყურადღების გამახვილება მხოლოდ B1, C1 და C2 დონეებზე ეგების. ურადღება მიაქციეთ ბოლო სიტყვას წინა წინადადებაში: „ეგების“ რომელი კატეგორიის სიტყვაა? რასაკვირველია, იგი იშვიათად გამოყენებული სიტყვაა და მას ჩვენ არც კი გამოვიყენებთ A1 და A2 დონეებზე მყოფ მოსწავლეებთან.

როგორ შევაფასოთ ტექსტები ლექსიკური თვალსაზრისით?

ჩვენ ტექსტებს სასწავლო სიტუაციისთვის ვიყენებთ ხოლმე. თუმცა მოსწავლეებისთვის ტექსტების შერჩევა გვჭირდება დამოუკიდებელი კითხვის მიზნითაც. რასაკვირველია, სასწავლო სიტუაციისთვის შედარებით „რთული“ ტექსტებიც შეგვიძლია გამოვიყენოთ და შემდეგ ჩვენ დავეხმაროთ ამ სასწავლო სირთულეების დაძლევაში, მაგრამ დამოუკიდებელი კითხვისთვის ჩვენი დახმარება შეუძლებელი იქნება.

ტექსტების სირთულის გაზომვის მიზნით შეგვიძლია გამოვიყენოთ ე. წ. „ხუთი თითის წესი“, რაც გულისხმობს შემდეგს: ავიღებთ ტექსტს და ვკითხულობთ პირველ გვერდზე. თითო თითს მოვკეცავთ იმ შემთხვევაში, თუკი შეგვხვდება ისეთი სიტყვა, რომელიც ჩვენს მოსწავლეს არ ეცოდინება. თუკი ერთ გვერდზე ასეთი სიტყვების რაოდენობა ხუთზე ნაკლებია, მაშინ ასეთი ტექსტის მიწოდება მისაღებია ჩვენი მოსწავლეებისთვის. ხოლო თუკი უცნობი სიტყვების რაოდენობა ერთ გვერდზე ხუთს აღემატება, მაშინ ასეთი ტექსტის გამოყენება არაა რეკომენდებული.

რასაკვირველია, ხუთი სიტყვა საშუალო მაჩვენებელია და თუკი ტექსტს ვიყენებთ სასწავლო სიტუაციაში, რაც გულისხმობს მასწავლებლის დახმარებას საჭირო მომენტში, შესაძლოა, ვისარგებლოთ ისეთი ტექსტითაც, რომელშიც ხუთზე მეტი სიტყვა იქნება უცნობი. ოღონდ ეს რაოდენობა მკვეთრად ვეღარ გაიზრდება.

როგორ ვიმუშაოთ უცნობი სიტყვების განმარტებაზე?

ხშირად სვამენ მასწავლებლები შეკითხვას, თუ როდის უნდა დავეხმაროთ მოსწავლეებს უცნობი სიტყვების განმარტებაში; არის მეორე საკითხიც, როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს უცნობი სიტყვების განმარტებაში. ჯერ პირველ შეკითხვას ვუპასუხოთ, შემდეგ – მეორეს.

მოსწავლეებს უცნობი სიტყვების განმარტებაში შეიძლება დავეხმაროთ ნებისმიერ დროს – იქნება ეს ტექსტის წაკითხვამდე/მოსმენამდე, ტექსტის წაკითხვის/მოსმენის პროცესში თუ ტექსტის წაკითხვის/მოსმენის შემდეგ. უკეთ რომ ვთქვათ, მოსწავლეები უნდა მივაჩვიოთ სამივე ფორმატის დახმარებას. მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული ფორმატი.

მასწავლებლის მიერ დასამუშავებელი ტექსტის წინასწარი შეფასება და მომზადება გულის-

ხმობს მასში ისეთი სიტყვების გამოკვეთას, რომლებიც მოსწავლეებისთვის სავარაუდოდ უცნობი იქნება. ამავე ეტაპზე კარგია, თუ შერჩეულ სიტყვებში მოვნიშნავთ ისეთებსაც, რომლებსაც მოსწავლეებს წინასწარ, ტექსტის წაკითხვამდე/მოსმენამდე განვუმარტავთ. ეს გაუადვილებს მათ ტექსტის გაგებას. რასაკვირველია, შეიძლება დავტოვოთ ზოგიერთი სიტყვა, რომლებსაც მივანდობთ მოსწავლეებს, რათა მათ მათი ამოცნობა მოახერხონ კონტექსტური გასაღებების (ილუსტრაცია, კონტექსტი, თემატიკა...) დახმარებით. რასაკვირველია, ტექსტის წაკითხვის/მოსმენის შემდეგ მათზე გამახვილდება ყურადღება.

ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე ორიენტირებული ზოგიერთი მეთოდი/სტრატეგია

სიტყვის პირამიდა

სქემას აქვს სამკუთხედის ფორმა, რომლის პირველ, ზედა ზოლში იწერება სიტყვა, რომელზეც გვინდა ყურადღების გამახვილება, რომელიც ხანგრძლივად და ღრმად უნდა დარჩეს მოსწავლის გონებაში. მეორე ზოლში იწერება ამ სიტყვის განმარტება. მოსწავლეებმა თავიანთი სიტყვებით უნდა ახსნან ამ სიტყვის მნიშვნელობა. ცხადია, ეს ახსნა არ და ვერ იქნება სრულფასოვანი, შესაძლოა, ზოგჯერ უზუსტობაც გაიპაროს, მაგრამ მთავარია, მოსწავლე ცდილობდეს ამ სიტყვის მნიშვნელობის გადმოცემას სხვა, მისთვის ნაცნობი სიტყვებით. აგრეთვე, მოსწავლეები წარმოაჩენენ თავიანთ შემოქმედებით, ორიგინალურ ხედვასაც, რაც, შესაძლოა, მეტად საინტერესო და სახალისოც აღმოჩნდეს. მესამე ზოლში ჩაიწერება წინადადება, რომელშიც მოსწავლე გამოიყენებს ამ სიტყვას.

ვარიაცია 1: როდესაც ტექსტზე ვამუშავებთ, შესაძლოა, მასწავლებელმა ოთხდონიანი პირამიდა შესთავაზოს ბავშვებს და წინადადების მოფიქრებამდე იმ წინადადების ამოწერა მოსთხოვოს ტექსტიდან, რომელშიც ეს სიტყვაა გამოყენებული. ანუ ზემოდან მესამე ზოლში ტექსტის წინადადება იქნება ამ სიტყვის გამოყენებით, ხოლო მეოთხე, ქვედა ზოლში – უკვე ბავშვების მიერ მოფიქრებული წინადადება, ცხადია, ამ სიტყვის გამოყენებით.

ვარიაცია 2. შესაძლოა, მასწავლებელმა მოსწავლეებს ან მოსწავლეთა ნაწილს მეორე ზოლში განმარტების ნაცვლად შესთავაზოს სიტყვის შესაბამისი ილუსტრაციის ჩახატვა. ან მოსწავლე თვითონ აირჩევს, განმარტება ჩაწეროს, თუ ილუსტრაცია ჩახატოს.

თანადროული სწავლება

როდესაც თქვენს მოსწავლეებს კარნახს აწერინებთ, რა სარგებელი შეიძლება მოიტანოს ამ პროცესმა?

ამ შეკითხვაზე პასუხი იქნება, რომ ლექსიკური ერთეულების ცოდნას გაიმყარებენ, გამოავლენენ ქართული ფონემების ადეკვატურად აღქმის უნარს, გავარჯიშდებიან ქართული ასოების დაწერილობაში და მასწავლებელს მიეცემა ამ კომპეტენციის გადამოწმების საშუალებაც.

მაგრამ ამ ერთ-ერთ რუტინულ აქტივობას აქვს კიდევ ერთი თანმდევი ეფექტი: მოსწავლეები აითვისებენ ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, გამოთქმებს, როგორებიცაა: „წერტილი“, „მძიმე“, „აბზაცით“, „ახალი ხაზიდან“... შეიძლება ითქვას, რომ კარნახის აქტივობიდან მეტი არც არაფერი დარჩეთ მახსოვრობაში.

ძალიან ეფექტურია ე. წ. თანადროული სწავლება. ის პროცესი, როდესაც თქვენი სასწავლო სამიზნე უნარი სხვა რამეა და ამ პროცესში თანადროულად სწავლობენ მოსწავლეები გამოყენებულ სიტყვებსა და გამოთქმებს. ასეთი გამოთქმები შეიძლება იყოს უამრავი: „კარი დახურე!“, „ფანჯარა გააღე!“ „წიგნები გადაშალეთ!“ „რვეულები დახურეთ!“, „დაფა გაასუფთავე!“ „ცარცი აიღე!“ და სხვ. ეს ფრაზები, რასაკვირველია, უკვე ათვისებული აქვთ ბავშვებს პირველივე კლასებიდან. მაგრამ ფრაზებს რა გამოლევს?! რაც უფრო მაღლა იწევს მოსწავლეთა ენის ცოდნის დონე, უფრო უნდა გავართულოთ თანადროული სწავლებისთვის გამიზნული ფრაზებიც.

კარგი იქნება, თუ მასწავლებელი ამას წინასწარ დაგეგმილადაც გააკეთებს და სპეციალურად შეარჩევს ისეთ გამოთქმებს, რომლებსაც გაკვეთილის განმავლობაში სისტემატურად გაიმეორებს. ამასთან, ყურადღებას მიაქცევს, რომ ასეთი გამოთქმები მონაცვლეობდეს კვირების მიხედვით. ანუ ერთი კვირის განმავლობაში აქტიურდებოდეს ერთი-ორი გამოთქმა, მეორე კვირის განმავლობაში ჩაენაცვლოს/დაემატოს მეორე და ა. შ.

შეგვიძლია ჩვენც შემოგთავაზოთ ასეთ სიტყვა-გამოთქმათა რეესტრი, რომელიც, რასაკვირველია, შეიძლება გადამუშავდეს/შეიცვალოს/გამდიდრდეს მასწავლებლის მიერ მისი მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე. კერძოდ, საწყისი ფრაზებიდან („კარი დახურე“, „წიგნი გადაშალე“) თანდათან შედარებით რთულ ფრაზებზე გადავიდეთ.

1. ერთი ხაზი გამოტოვეთ.
2. ერთმანეთს დააცადეთ საუბარი.
3. რიგრიგობით ისაუბრეთ
4. უქუდოდ არ გახვიდეთ გარეთ...

სახელმძღვანელოს თემების გაწერა საგაკვეთილო აქტივობებად

გთავაზობთ ყველა თემის აღწერას.

აღწერაში მითითებული არ არის დრო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მასწავლებლებმა საკუთარ მოსწავლეებზე მორგებულად უნდა წარმართონ საგაკვეთილო პროცესი. შესაბამისად, ზოგ კლასში კონკრეტულ აქტივობას შესაძლოა დასჭირდეს მეტი ან ნაკლები დრო. შესაბამისად, ჩვენ არ გთავაზობთ გაკვეთილებად დაყოფილ თემატურ ერთეულებს. მასწავლებლები ქვემოთ წარმოდგენილ აქტივობებს საკუთარი სასწავლო მიზნების შესაბამისად თვითონ გადაანაწილებენ გაკვეთილებად.

თემა 1. ბიბლიოთეკაში

თემატური მიზნები:

- მოსწავლეები შეძლებენ ილუსტრაციისა და მოსწავლეთა ბარათების მიხედვით საუბარს
- გაიაზრებენ მცირე ზომის აღწერით საკითხავ და მოსასმენ ტექსტებს;
- აიხსენებენ და ახალ კონტექსტში გამოიყენებენ თანდებულებს – ზე, ში, თან;
- დაამზადებენ ბარათებს საკუთარი პირადი მონაცემების გამოყენებით.

1. თემის შინაარსისა და მიზნების გაცნობა

მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს თემის ზოგად შინაარსს და მიზნებს. იგი ეუბნება, რომ ამ თემის ფარგლებში ისინი ისაუბრებენ პირად მონაცემებზე (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, საცხოვრებელი ადგილი...), ნახავენ პირადი მონაცემების გამოყენების კონკრეტულ შემთხვევებს ბიბლიოთეკის ბარათების მაგალითზე და თვითონაც დაამზადებენ ასეთ ბარათებს. ისინი შეისწავლიან გრამატიკულ კატეგორიებსაც.

2. საუბარი ილუსტრაციისა და ანკეტის მიხედვით

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ დაუკვირდნენ წიგნის პირველ დავალებას და ისაუბრონ შეკითხვების მიხედვით: რა გვარია ეკა? რამდენი წლისაა ეკა მაისურაძე? სად ცხოვრობს იგი? რომელ კლასში იქნება ეკა? სხვა რა ინფორმაციაა ეკას შესახებ ანკეტაში?

3. საუბარი საკუთარი მონაცემების შესახებ

მასწავლებელი, თუ საჭიროდ მიიჩნევს, მოსწავლეებს ეკითხება მათი მონაცემების შესახებ. მაგალითად, დაბადების თარიღს, მისამართს. შესაძლებელია, მასწავლებელმა დაფაზე გააკეთოს ცხრილი, რომელსაც მოსწავლეებიც გადახაზავენ საშინაო დავალების რვეულებში. ცხრილში მონაცემებს შეიყვანენ თანაკლასელი მოსწავლეების შესახებ. მაგალითად:

#	**სახელი და გვარი**	**დაბადების თარიღი**	**მისამართი**
1	გაგა კაპანაძე	2009 წლის 30-11	ქ. ნინოწმინდა, რუსთველის ქ. 20
2	მანანა საჩალელი	2008 წლის 13-09	ქ. მარნეული, კოსტავას ქ.15
3			
4			

როდესაც ცხრილში თანაკლასელების მონაცემებს შეიყვანენ, მასწავლებელი წარმართავს გამოკითხვას შემდეგი ფორმატით: ვინ არის დაბადებული 13 სექტემბერს? სად ცხოვრობს გაგა კაპანაძე? და ა. შ.

ის, თუ რა დროს დაუთმობს ამ და ასეთ აქტივობებს მასწავლებელი, დამოკიდებულია მოსწავლეების მზაობასა და საჭიროებაზე. შესაძლებელია, მასწავლებელმა ცხრილის მონაცემებში შეიტანოს მხოლოდ ერთი მონაცემი – დაბადების თარიღი ან მისამართი... ასეთი მიდგომა გამოიყენება საგაკვეთილო პროცესის დიფერენცირების მიზნითაც, როდესაც მოსწავლეთა ნაწილს ორკომპონენტიან (დაბადების თარიღითა და მისამართით) ცხრილს შესთავაზებს, ხოლო მოსწავლეთა ნაწილს – ერთკომპონენტიანს (მხოლოდ დაბადების თარიღით ან მხოლოდ მისამართით).

4. საუბარი ილუსტრაციის შესახებ

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ჯერ ინდივიდუალურად დაუკვირდნენ წიგნში მოცემულ ილუსტრაციას (დავალება 2.), შემდეგ წყვილებში უპასუხონ იქვე მოცემულ შეკითხვებს და ამისთვის აძლევს სათანადო დროს (მაგალითად, 3 წუთს. ვიმეორებთ, ეს დრო შეიძლება შეიცვალოს კონკრეტული საკლასო საჭიროების მიხედვით).

ამის შემდეგ მასწავლებელი მთელ კლასთან წარმართავს საუბარს მოცემული შეკითხვების მიხედვით: (როგორი ბიბლიოთეკაა ნახატზე? შეადარე შენი სკოლის ბიბლიოთეკას. ვისთვის არის ეს ბიბლიოთეკა – დიდებისთვის თუ ბავშვებისთვის? რატომ ფიქრობ ასე?)

მასწავლებელმა შეიძლება დაამატოს შეკითხვები: მაგალითად, ვინ არიან ბიბლიოთეკაში? და ა.შ.

მასწავლებელი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს რეკომენდაციებზე:

„მე არ ვხატავ წიგნში“, „მე არ ვწერ წიგნში“, „წიგნის კითხვის დროს ხელები სუფთა მაქვს“. უსვამს მოსწავლეებს შეკითხვებს რეკომენდაციების შესახებ მათი უკეთ დამახსოვრების მიზნით.

5. გრამატიკული საკითხის განმარტება

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაუკვირდნენ წიგნში მოცემულ მე-3 დავალებას. კითხულობს ხმამაღლა და რამდენიმე წინადადებას წერს დაფაზეც (მაგალითად, თაროზე არის წიგნები. – თაროზე წიგნებია. კედელზე არის სურათი. – კედელზე სურათია.). ყურადღებას ამახვილებს, რომ „არის“ შეიძლება შეიცვალოს და რომელიმე სიტყვას დაემატოს, როგორც „ა“.

6. გრამატიკულ საკითხზე ვარჯიში წყვილებში

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეასრულონ სავარჯიშოების რვეულის მე-4 სავარჯიშო. მოსწავლეები ჯერ მუშაობენ ინდივიდუალურად, შემდე წყვილებში უზიარებენ ნამუშევრებს. ასწორებენ შესაძლო შეცდომებს. ამის შემდეგ მასწავლებელი შემთხვევითი შერჩევით (გამოსაძახებელი ჩხირებით ან სხვა ფორმით) აკითხებს სხვადასხვა მოსწავლეს შესრულებულ სავარჯიშოს.

7. გრამატიკულ საკითხზე ვარჯიში ინდივიდუალურად

შესაძლოა, მასწავლებელმა სთხოვოს მოსწავლეებს, დამოუკიდებლად შეადგინონ თავიანთ რვეულებში ორ-ორი წინადადება წიგნში მოცემული ილუსტრაციის მიხედვით ისე, რომ გამოიყენონ ფორმულა „არის=ა“. (მაგალითად, კარადაში არის წიგნები. – კარადაში წიგნებია...)

8. მოსწავლეების ბარათების დაკავშირება ილუსტრაციებთან

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს წიგნში მოცემულ მოსწავლეების ბარათებს (წიგნის

დავალება 5) და სთხოვს მათ, წაიკითხონ და დააკავშირონ ქვემოთ მოცემულ სამი ბავშვის ილუსტრაციას.

აქტივობა შესაძლოა შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფებშიც.

მასწავლებელი გაგების გადამოწმების მიზნით სვამს შეკითხვებს, რომლებზეც უპასუხებენ მოსწავლები (შეკითხვების ნიმუშები: ფოტოებზე გამოსახულ რომელ ბავშვს ეკუთვნის პირველი ბარათი? მეორე? მესამე? რომელი საგნები უყვარს ეკას? გარის? აისუს? რა წაიკითხა ბოლოს აისუმ? გარიმ? ეკამ? და ა. შ.).

9. გრამატიკული საკითხის განმარტება

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ წიგნის მე-6 დავალებას და უპასუხონ იქვე მოცემულ შეკითხვებს. იგი ახსენებს მოსწავლეებს, თუ რას გამოხატავს თანდებულები: თან, ზე, ში. რამდენიმე თანდებულიანი სიტყვის ნიმუშს (თაროზე, აკვარიუმში, კედელთან...) წერს დაფაზე და ხაზს უსვამს თანდებულებს).

მოსწავლეები კითხულობენ დავალებას და უპასუხებენ მასწავლებლის მითითებით.

10. გრამატიკულ საკითხზე ვარჯიში

მოსწავლეები ასრულებენ სავარჯიშოების რვეულის მე-7 სავარჯიშოს. მუშაობის ფორმატი (ინდივიდუალური, წყვილები) დამოკიდებულია მასწავლებლის გადაწყვეტილებაზე.

შესრულებული სავარჯიშოს გადამოწმების მიზნით მასწავლებელი გამოკითხავს რამდენიმე მოსწავლეს.

11. ტექსტის წაკითხვა და მისი ილუსტრაციასთან შედარება

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს და პასუხობენ მე-8 დავალებაში მოცემულ შეკითხვებს: არის თუ არა ნახატზე გამოსახული ბიბლიოთეკა აღწერილი ტექსტში? რატომ ფიქრობ ასე?

მასწავლებელი ტექსტის გაგების გადამოწმების მიზნით სვამს დამატებით შეკითხვებს. მაგალითად, რა არის პირველ თაროზე? მეორეზე? ვინ ზის მაგიდასთან? და ა. შ.

მოსწავლეები პასუხის გაცემისას იყენებენ ტექსტსაც.

12. გრამატიკული საკითხების გააქტიურება

მოსწავლეები ასრულებენ სავარჯიშოების რვეულის მე-9 სავარჯიშოს, რომელიც შეეხება როგორც თანდებულების გამოყენებას, ასევე განვლილ საკითხს არის=ა გამოყენების შესახებ.

სავარჯიშოს მოსწავლეები ასრულებენ ან ინდივიდუალურად, ან წყვილებში.

გადამოწმების მიზნით მასწავლებელი ხმამაღლა აკითხებს სავარჯიშოს შერჩეულ მოსწავლეს/ მოსწავლეებს.

მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებინებს მოსწავლეებს მრავლობითი რიცხვის წარმოებაზე, რომელიც წიგნის მე-9 გვერდზეა წარმოდგენილი „გრამატიკულ ბლოკში“, რის შემდეგაც მოსწავლეები ასრულებენ რვეულის მე-10 სავარჯიშოს.

13. წინადადებების შევსება

მოსწავლეები ინდივიდუალურად ასრულებენ მე-10 სავარჯიშოს. მუშაობის დასრულების შემდეგ კითხულობენ საკუთარ ვერსიებს.

14. დიალოგებიანი ტექსტის პირველად მოსმენა

მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება, რომ მოუსმენენ მცირე დიალოგებიან ტექსტს და უნდა აღნიშნონ, მე-11 დავალებაში მოცემული წინადადებები სწორია თუ არა.

მოსწავლეები უსმენენ ტექსტს. და შემდეგ ხმამაღლა საუბრობენ წინადადებების შესახებ.

15. მოსასმენი ტექსტის მეორედ მოსმენა და სავარჯიშოების შესრულება

მოსწავლეები მეორედ უსმენენ ტექსტს და ინდივიდუალურად ასრულებენ მე-12 სავარჯიშოს. მოსმენის დასრულების შემდეგ მოსწავლეები წყვილებში ამოწმებენ საკუთარ ვერსიებს.

ამის შემდეგ მასწავლებელი რამდენიმე მოსწავლეს აკითხებს შესრულებულ სავარჯიშოს.

16. მოსმენილი ტექსტის მიხედვით წინადადებების შევსება

მოსწავლეები ასრულებენ მე-13 სავარჯიშოს. კითხულობენ ხმამაღლა და ხსნიან, თუ რატომ შეარჩიეს პასუხის ესა თუ ის ვარიანტი.

17. დიალოგების გათამაშება. რვეულის სავარჯიშო 14.

მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს სამეულებად და სთხოვს, გაითამაშონ დიალოგები მოსმენილი ტექსტის მიხედვით. ერთი მოსწავლე ბიბლიოთეკარი იქნება, ხოლო ორი – მოსწავლე. მოსწავლეები წინასწარ მოამზადებენ დიალოგებს და შემდეგ წარუდგენენ თანაკლასელებს.

მასწავლებელი რიგრიგობით აძლევს საშუალებას მოსწავლეთა სამეულებს, გაითამაშონ დიალოგები. მოსწავლეები უსმენენ და აფასებენ თანაკლასელების დიალოგებს.

დიალოგების გათამაშებას უნდა დაეთმოს სათანადო დრო. სასურველია, ყველა მოსწავლე მონაწილეობდეს როლურ თამაშში. მასწავლებელმა უნდა გაამხნეოს და წაახალისოს ისეთი მოსწავლეები, რომლებსაც შეიძლება ერიდებოდეთ აქტივობაში მონაწილეობა.

იმისთვის, რათა წარმოდგენების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები სხვა მოსწავლეებიც, მასწავლებელმა, შესაძლოა, მოსწავლეებს შესთავაზოს სამეულების შეფასების სქემა, რომელსაც შეავსებენ სხვა ბავშვები. სქემის ნიმუშს დაახლოებით ასეთი სახე ექნება:

კრიტერიუმი	I მოსწავლე	II მოსწავლე	III მოსწავლე
საუბრობს უშეცდომოდ			
იცავს ინტონაციას			

მსმენელი მოსწავლეები აკეთებენ აღნიშვნებს. ამ რუბრიკების მიხედვით მოსწავლეები შეაფასებენ შერჩეულ სამეულებს და არა ყველას. მაგალითად, ერთი სამეული შეაფასებს ერთი რუბრიკით მეორე სამეულს, მეორე სამეული შეაფასებს მესამე სამეულს და ა. შ.

18. ბიბლიოთეკის ბარათებზე მუშაობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს სავარჯიშოების რვეულის მე-15 სავარჯიშოს და სთხოვს, შეავსონ ეს ბარათები ინდივიდუალურად. ბარათების შევსების დროს იყენებენ წიგნის მე-5 დავალებაში წარმოდგენილ ბარათებს.

მნიშვნელოვანია ამ ბარათების წარდგენა თანაკლასელების წინაშე და საუბარი მასში შემავალი მონაცემების მიხედვით. სასურველია, თითოეულმა მოსწავლემ გააკეთოს პრეზენტაცია და ამისთვის მასწავლებელს არ დაენანოს დრო.

პრეზენტაციის დროს მასწავლებელმა სხვა მოსწავლეებს, შესაძლოა, შესთავაზოს შეფასების რუბრიკები, რომლებშიც მოსწავლეები გააკეთებენ ჩანაწერებს.

შეფასების რუბრიკის ნიმუში:

#	მოსწავლის სახელი	აქვს ყველა მონაცემი	საუბრობს გასაგებად
1			
2			
3			
...			

თითოეული პრეზენტაციის შემდეგ მასწავლებელი იყენებს უკუკავშირს და ეკითხება მოსწავლეებს, თუ როგორ შეავსეს მათ შეფასების რუბრიკა ამ კონკრეტული მოსწავლის შესახებ.

გასათვალისწინებელია, რომ ასეთ შემთხვევაში თანაკლასელებს შორის უნდა იყოს პოზიტიური და კეთილგანწყობილი ურთიერთობები, რათა გამოთქმული მოსაზრებები არაჯანსაღი სიტუაციების ფარული მიზეზი არ გახდეს. რასაკვირველია, თითოეული მოსწავლის ძალისხმევა და გამოვლენილი კომუნიკაციური უნარი უნდა წახალისდეს და დადებითად შეფასდეს.

იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლეთა უმრავლესობა ანდა გარკვეული ნაწილი ახერხებს შინ ინტერნეტთან და კომპიუტერულ მოწყობილობებთან მუშაობას, მასწავლებელმა შესაძლოა შესთავაზოს ერთგვარი ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით დავალების შესრულება. მაგალითად: დაამზადონ ბიბლიოთეკის ბარათები ციფრული რესურსების გამოყენებით და წარადგინონ კლასში.

19. ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს იმუშაონ მე-16 დავალების შესასრულებლად სავარჯიშოების რვეულში თემატური ერთეულის ბოლოს გამოყოფილ გვერდზე. ამისთვის, შესაძლოა, მთელი თემის განმავლობაში ნელ-ნელა ავსებდნენ ამ გვერდს. ერთი გაკვეთილის შემდეგ ჯერ 3-4- სიტყვა ჩაწერონ და ჩახატონ, მეორე გაკვეთილის შემდეგ კიდევ მიუმატონ 2-3 სიტყვა და ა. შ.

კარგი იქნება, თუ მოსწავლეები ასეთ ლექსიკონებს მომავალშიც გააკეთებენ საკუთარ პატარა რვეულებში იმ ახალი სიტყვების მიხედვით, რომლებსაც თანდათან, სხვა თემების გავლის შემდეგ აითვისებენ.

1-ლი თემის ქვიზი

I. დაასრულე წინადადება:

მოსწავლეები არიან ...

ა) ბიბლიოთეკაზე.

ბ) ბიბლიოთეკაში.

გ) წიგნზე.

II. რომელია სწორი წინადადება?

ა) დათო და აისუ დგანან მაგიდაში.

ბ) დათო და აისუ დგანან კედელზე.

გ) დათო და აისუ დგანან მაგიდასთან.

III. როგორ შეიძლება დავწეროთ მოცემული წინადადება სხვა ფორმით?

ბიბლიოთეკის კარადებში არის უამრავი წიგნი.

ა) ბიბლიოთეკის კარადებში უამრავი წიგნია.

ბ) ბიბლიოთეკაში კარადებში უამრავი წიგნი.

გ) ბიბლიოთეკის კარადებში არის უამრავია წიგნი.

IV. რა ინფორმაცია არ იყო ბიბლიოთეკის ბარათებში?

ა) მოსწავლის მისამართი.

ბ) მოსწავლის საყვარელი საგნები.

გ) მოსწავლის საყვარელი საჭმელი.

V. რომელი წინადადებაა სწორი?

ა) ჩემი საყვარელი წიგნია „პეპი გრძელწინდა".

ბ) ჩემი საყვარელია წიგნია „ბიჭუნა და კარლსონი".

გ) ჩემი საყვარელია წიგნი არის „ტომ სოიერის თავგადასავალი".

თემის ფარგლებში მისაცემი შესაძლო საშინაო დავალებების ნიმუშები

- წიგნის 1-ლ დავალებაში მოცემულ შეკითხვებზე წერილობითი პასუხების გაცემა საშინაო დავალების რვეულებში.
- წიგნის მე-2 დავალებაში მოცემულ შეკითხვებზე წერილობით პასუხების გაცემა საშინაო რვეულებში.
- სავარჯიშოების რვეულის მე-4 სავარჯიშოს გადაწერა საშინაო დავალების რვეულში.
- წიგნის მე-2 დავალების ილუსტრაციის მიხედვით 2-3 წინადადების შედგენა და საშინაო დავალების რვეულში ჩაწერა.
- წიგნის მე-3 დავალების წინადადებების მსგავსი 2-3 წინადადების მოფიქრება და საშინაო დავალებების რვეულში ჩაწერა.
- წიგნის მე-6 დავალების მსგავსი წინადადებების მოფიქრება და საშინაო დავალებების რვეულში ჩაწერა.
- მე-7 სავარჯიშოს საშინაო დავალებების რვეულში გადაწერა. ან/და ამ სავარჯიშოს წინადადებების მსგავსი 3-4 წინადადების მოფიქრება და საშინაო დავალებების რვეულში ჩაწერა.
- მე-8 დავალების შეკითხვებისა და მათზე პასუხების საშინაო დავალებების რვეულში ჩაწერა.
- მე-8 დავალების მიხედვით 3-4 შეკითხვის მოფიქრება და მათზე პასუხების საშინაო დავალებების რვეულში ჩაწერა.
- მე-9 და/ან მე-10 სავარჯიშოს საშინაო დავალებების რვეულში გადაწერა. ან: ამ სავარჯიშოების წინადადებების მსგავსი 3-4 წინადადების მოფიქრება და საშინაო დავალებების რვეულში ჩაწერა.
- ილუსტრირებულ ლექსიკონზე მუშაობა (ეს დავალება არ არის ერთჯერადი ხასიათის და გრძელდება მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. გასათვალისწინებელია, რომ თუკი მოსწავლისთვის მოსახერხებელი იქნება, განმარტებები შეუძლია გააკეთოს სხვა სიტყვებით ან/და თავის მშობლიურ ენაზეც).

შენიშვნა: მოცემულ საშინაო დავალებებს აქვს სარეკომენდაციო ხასიათი. ისინი გადანაწილდება იმის მიხედვით, თუ როგორ დაიყოფა ზემოთ წარმოდგენილი გაკვეთილები აქტივობებად. მასწავლებელს შეუძლია მსგავსი დავალებების მოფიქრება როგორც ამ, ასევე სხვა თემატურ ერთეულებში.

თემა 2. პროფესიები

ისევე, როგორც წინა თავის აღწერისას, მითითებული არ არის აქტივობების დრო. რადგან მიგვაჩნია, რომ ყველა საკლასო ოთახში არსებულ სიტუაციას ფლობს მასწავლებელი, ის თავად იღებს გადაწყვეტილებებს საკუთარი მოსწავლეების სწავლის პროცესზე დაკვირვებით და თავად განსაზღვრავს, რა დრო დაუთმოს ამა თუ იმ აქტივობას, ტექსტს ან სავარჯიშოს.

თემატური მიზნები:

- მოსწავლეები შეძლებენ თემატური პოსტერისა და სხვადასხვა ილუსტრაციის მიხედვით საუბარს;
- აითვისებენ ახალ ლექსიკას;
- შეძლებენ სხვადასხვა პროფესიის აღწერას განსხვავებული საქმიანობების მიხედვით;
- წაიკითხავენ და გაიაზრებენ მცირე ზომის დიალოგს;
- შეძლებენ სხვადასხვა ტიპის ინფორმაციიდან მათთვის სასურველის ამოკრებას და ნიმუშის მიხედვით მსგავსი ტექსტების შექმნას;
- გაიხსენებენ სიტყვების სინონიმურ და ანტონიმურ წყვილებს;
- უპასუხებენ შეკითხვებს და შეძლებენ საკუთარი აზრის წერილობით ჩამოყალიბებასა და დასაბუთებას.

1. თემის შინაარსისა და მიზნების გაცნობა

მასწავლებელი მოსწავლეებს განუმარტავს თემის ზოგად შინაარსსა და მიზნებს. ის ბავშვებს ეუბნება, რომ სახელმძღვანელოს ამ თავში გაიხსენებენ და ასევე გაეცნობიან ახალ პროფესიებს. მოსწავლეები შეძლებენ ამ პროფესიების შესახებ საუბარს, ისწავლიან ახალ სიტყვებს და ამ სიტყვებს გამოიყენებენ საუბარსა და წერაში; ასევე, წაიკითხავენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისთვის შექმნილ სავიზიტო ბარათებს და თავადაც შექმნიან მსგავს ბარათებს სხვადასხვა პროფესიის მიხედვით; ისაუბრებენ საყვარელი პროფესიის შესახებ და შეძლებენ საკუთარი აზრის დასაბუთებას.

2. მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურება (ფორუმი)

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ გაიხსენონ, რა პროფესიები იციან და შეავსონ ასოციოგრამა. მოსწავლეების კარნახით მასწავლებელი დიდფორმატიან ქაღალდზე ავსებს ასოციოგრამას, შემდეგ კი მოსწავლეებს ეუბნება, რომ ამ ასოციოგრამას კიდევ დაამატებენ ახალ პროფესიებს გაკვეთილის განმავლობაში. ასევე, ეს გრაფიკული სქემა დარჩება საკლასო ოთახის კედელზე, რათა პერიოდულად მოსწავლეებმა დაამატონ ის პროფესიები, რომლებსაც სხვადასხვა წყაროდან გაიგებენ და მოიძიებენ.

3. საუბარი პოსტერის დახმარებით (ფორუმი)

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს დააკვირდნენ სახელმძღვანელოში მოცემულ თემატურ პოსტერს (დავალება 1) და ისაუბრონ, რას ხედავენ. იმისათვის, რომ მასწავლებელმა გამორიცხოს ერთი და იმავე მოსწავლეების აქტიურობა, გამოიყენოს გამოსაძახებელი ჩხირები. იქიდან გამომდინარე, რომ პოსტერი დატვირთულია სიუჟეტურად, მასწავლებელს შეუძლია ნებისმიერი მზაობის მოსწავლეს მისცეს საუბრის და აზრის გამოთქმის საშუალება. მოსწავლეთა მაქსიმალუ-

რი ჩართულობა ამ აქტივობაში გაზრდის მათ მოტივაციას და შემდგომი აქტივობების შესრულების ხარისხს.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ისაუბრებენ და გამოთქვამენ აზრს, მასწავლებელი საჭიროების მიხედვით ასოციოგრამას დაამატებს იმ პროფესიებს, რომლებიც მოსწავლეებს არ ჰქონდათ დასახელებული და ამოიცნეს პოსტერზე.

ასევე, ზოგი პროფესია მოსწავლემ შეიძლება თქვას სხვა ინტერპრეტაციით, ამიტომ მასწავლებელმა უნდა ჩაანაცვლოს დასახელებული სიტყვა სასურველი ფორმით.

4. პოსტერის შევსება პროფესიების აღმნიშვნელი სიტყვებით (დიფერენცირებული მუშაობა)

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გადაშალონ რვეულები და შეასრულონ სავარჯიშო 2. ამ დავალების შესრულებისას, სასურველია, მოსწავლეები დააჯგუფოთ ერთნაირი მზაობის მიხედვით. კერძოდ, მაღალი მოსწრების მოსწავლეები – ერთად (ისინი ისხდებიან ერთ მაგიდასთან, მაგრამ დავალებაზე იმუშავებენ ინდივიდუალურად), საშუალო მზაობის მოსწავლეები – ერთად (ისინი ისხდებიან ერთ მაგიდასთან, თუმცა იმუშავებენ ერთმანეთთან შეთანხმებით, ჯგუფურად. ერთმანეთს გაუზიარებენ საკუთარ შეხედულებებს და, საჭიროების შემთხვევაში, ითხოვენ დახმარებას), ხოლო სწავლაში პრობლემების მქონე მოსწავლეები – ერთად (ისინი ისხდებიან ერთ მაგიდასთან და მათთან ძირითადად იმუშავებს მასწავლებელი). ასეთი ორგანიზება მასწავლებელს საშუალებას მისცემს უკეთ მართოს პროცესი, ამავე დროს დააკვირდეს მოსწავლეების მუშაობას და საჭიროებისამებრ დაეხმაროს მას, ვისაც მასწავლებლის დახმარება სჭირდება.

დავალების შესრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი ნამუშევრები (კითხულობენ ხმამაღლა) და სავარჯიშოში შეიტანონ შესწორებები, თუ ეს საჭიროა.

პროფესიებთან დაკავშირებული ლექსიკის ზეპირად გააქტიურების შემდეგ მოსწავლეები ასრულებენ რვეულის სავარჯიშო #3-ს – პოსტერისა და პროფესიების ჩამონათვალის დახმარებით ავსებენ ცარიელ უჯრებს.

5. პროფესიებთან დაკავშირებულ შინაარსობრივ საკითხზე ვარჯიში

იმისათვის, რომ მოსწავლეებმა კარგად აითვისონ ამა თუ იმ პროფესიის მახასიათებლები და შემდეგ შეძლონ პროფესიების ერთმანეთისგან გამიჯვნა და აღწერა, ისინი ასრულებენ რვეულის სავარჯიშო 4-ს. სასურველია, მასწავლებელმა რამდენიმე პროფესია სამოდელო აქტივობით თავად დააკავშიროს საქმიანობასთან და ხმამაღლა ფიქრის მეთოდით მოსწავლეებს მისცეს საშუალება, თავადაც მსჯელობით, ლოგიკით ან გამორიცხვის მეთოდით ამოიცნონ სწორი ვერსიები. სასურველია, მოსწავლეებმა იმუშაონ კვლავ ჯგუფებში და იმავე პრინციპით, რომელიც აღწერილია ზედა აქტივობაში.

6. „დაკარგული სიტყვები“

მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში, ასრულებენ რვეულის სავარჯიშო 5-ს. იმისათვის, რომ მასწავლებელი დარწმუნდეს ბავშვების მუშაობის ეფექტიანობაში, მან წინასწარ მკაფიოდ უნდა განუმარტოს მოსწავლეებს დავალების ინსტრუქცია. დავალების შესრულებამდე, სასურველია, მან მოსწავლეებს ხმამაღლა წაუკითხოს ტექსტში ჩასაწერი სიტყვები და დარწმუნდეს, რომ მათ კარგად ესმით თითოეული სიტყვის მნიშვნელობა.

დავალების შესრულების შემდეგ მასწავლებელი ერთ-ერთ მოსწავლეს საშუალებას აძლევს, წაიკითხოს ტექსტი უკვე შევსებული სიტყვებით, რითაც უზრუნველყოფს იმას, რომ ყველა მოსწა-

ვლემ გადაამოწმოს თავისი ნამუშევარი და საჭიროებისამებრ შეიტანოს ცვლილებები დავალებაში. ასევე, ამ აქტივობით მოსწავლეები გაეცნობიან პატარა ტექსტს, რომელიც დაწერილია პირველ პირში და მოკლედ აღწერს ერთ-ერთ პროფესიას. ამ დავალების სწორად შესრულება და ტექსტის კარგად გააზრება ბავშვებს საშუალებას მისცემს, საჭიროებისას თავადაც შეადგინონ მსგავსი ტექსტი დამოუკიდებლად.

7. ლექსიკაზე მუშაობა

ზოგიერთ პროფესიას რამდენიმე სხვადასხვა სახელი აქვს. ხშირად ბავშვები ამ პროფესიებს ერთი სახელით იცნობენ, ხოლო სახელმძღვანელოში ხვდებათ სხვა დასახელება, საჭიროა მათ მივცეთ საშუალება, დააკავშირონ ეს სახელები ერთმანეთთან, რომ შემდგომი დავალებების შესრულებისას თავი ავარიდოთ გაუგებრობებს. ამისათვის მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, იმუშაონ წყვილებში და შეასრულონ რვეულის სავარჯიშო 6.

შესაძლებელია ამ დავალების დაფაზე გადაწერა და ერთობლივად შესრულებაც.

8. აღწერის დაკავშირება ილუსტრაციებთან

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს ინდივიდუალურად იმუშაონ წიგნის მე-7 დავალებაზე. ეს სავარჯიშო უკვე სხვადასხვა პროფესიის კონკრეტულ აღწერას სთავაზობს მოსწავლეებს. იქიდან გამომდინარე, რომ დავალება უზრუნველყოფილია ილუსტრაციებით, მოსწავლეებს არ გაუჭირდებათ მისი შესრულება. ასევე, მათ ამ დავალების შესრულებაში დაეხმარება აღწერაში მოცემული საკვანძო სიტყვები: „ვერტმფრენი“, „ფოტოაპარატი“, „საპატრულო მანქანა“ და ა.შ. თუმცა, სასურველი იქნება ერთ-ერთი შედარებით რთულად დასაკავშირებელი აღწერა მასწავლებელმა თვალსაჩინოდ, ხმამაღლა და სამოდელო აქტივობით გააკეთოს მოსწავლეებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეები ინდივიდუალურად მუშაობენ, სასურველია, ისინი ისხდნენ ჯგუფებად, რათა მასწავლებელმა შეძლოს ერთი მიახლოებით რამდენიმე მოსწავლის მუშაობის პროცესზე დაკვირვება და საჭიროებისამებრ დახმარება.

დავალების შესრულების შემდეგ მასწავლებელი დეტალურად განიხილავს თითოეულ აღწერას, ასევე, სვამს შეკითხვებს და აკვირდება მოსწავლეთა მიერ გაგება-გააზრების ხარისხს.

9. ტექსტის წაკითხვა-გაგება-გააზრება

მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება, რომ ახლა ისინი წაიკითხავენ დიალოგს, მანამდე კი სთხოვს, დააკვირდნენ ილუსტრაციას და ივარაუდონ, სად შეიძლება ხდებოდეს მოქმედება, ვინ არიან ეს ადამიანები და რა აინტერესებთ მათ. სასურველია, მოსწავლეების ვარაუდები ჩამოწეროთ დაფაზე, რათა წაკითხვის შემდეგ გადაამოწმოთ, გამართლდა თუ არა მათი ვარაუდები.

მოსწავლეები წყვილებში კითხულობენ ტექსტს, ხოლო მასწავლებელი უზრუნველყოფს, რომ კითხვის პროცესში მოსწავლეებს გაუგებარი არ დარჩეთ სიტყვა, ფრაზა ან წინადადება.

წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი უბრუნდება მოსწავლეების მიერ გამოთქმულ ვარაუდებს და ადგენენ, რა გამართლდა და რა არა. შესაძლებელია, დაისვას შეკითხვები:

– როგორ მიხვდი, რომ ეს ექიმთან ვიზიტი იყო?

– რატომ იფიქრე, რომ ქალი და ბავშვი სტუმრად მიდიოდნენ ნათესავთან?

ამგვარი მსჯელობა მოსწავლეებს უბიძგებს, არა მხოლოდ უპასუხონ შეკითხვებს, არამედ სცადონ სხვადასხვა არგუმენტით საკუთარი ვარაუდების დასაბუთება.

აქტივობის მიზანს ემსახურება დავალება 9.

რეკომენდაცია მასწავლებელს: იმისათვის, რომ მასწავლებელმა მოსწავლეებს მისცეს განმავითარებელი შეფასება, შეუძლია, ეს დავალება ბავშვებს შეასრულებინოს სწრაფი ქვიზის საშუალებით. ამისათვის მოსწავლეებს ურიგდებათ ასეთი ორმაგი ბარათები:

სახელი_____	სახელი_____
პედიატრი არის _____	პედიატრი არის _____
პაციენტი არის _____	პაციენტი არის _____
ელისო ექიმი მუშაობს _____	ელისო ექიმი მუშაობს _____
პაციენტს სტკივა _____	პაციენტს სტკივა _____

მასწავლებელი ბავშვებს სთხოვს წიგნში წაიკითხონ დავალება და სწორი პასუხები ჩაწერონ ქვიზის ორივე მხარეს. შემდეგ გაკეცონ ფურცელი, გახიონ და ერთი დავალება თავისთვის დაიტოვონ, მეორე დავალება კი მასწავლებელს მისცენ. ამის შემდეგ მასწავლებელი დაფაზე წერს სწორ პასუხებს და ბავშვებს აძლევს საშუალებას, მყისიერად გადაამოწმონ საკუთარი ნამუშევრები და მონიშნონ, რამდენი სწორი პასუხი აქვთ. პარალელურად მასწავლებელს ეძლევა საშუალება გააანალიზოს თითოეული მოსწავლის ნამუშევარი და დაადგინოს მათი მუშაობის ხარისხი. შემდგომში კი მსგავს დავალებებზე დაყრდნობით მიიღოს გადაწყვეტილებები, როგორ იმუშაოს ამა თუ იმ მოსწავლესთან და რა ცვლილებები შეიტანოს ტექსტების კითხვა-გააზრების მეთოდებში.

10. სავიზიტო ბარათის გაცნობა და ტექსტთან შედარება

წიგნის შემდეგი დავალება (სავარჯიშო 10) ორ მიზანს ემსახურება, ერთი, რომ მოსწავლეებმა ნახონ და გაიგონ, რა დანიშნულება აქვს სავიზიტო ბარათს და მეორე, კიდევ ერთხელ დაუბრუნდნენ წაკითხულ ტექსტს და სავიზიტო ბარათში მოცემული ინფორმაცია შეადარონ ტექსტში ამოკითხულ ინფორმაციას. ვინაიდან სავიზიტო ბარათი ახალი საკითხია და მოსწავლეთათვის უცხო შეიძლება იყოს, სასურველია, ეს დავალება მასწავლებელმა მთელ კლასთან ერთად მოსწავლეების ჩართულობით გააკეთოს. მაგ:

– წაიკითხეთ ბარათზე დაწერილი ინფორმაცია.
– რა წერია ბარათზე ისეთი, რაც შეგხვდათ დიალოგში?
– მოძებნე დიალოგში, სად ეწერა იგივე ინფორმაცია.
– რა არ წერია დიალოგში?
– რა გავიგეთ დამატებით ელისო ექიმის შესახებ? და ა.შ...

11. სავიზიტო ბარათზე ნაკლული ინფორმაციის შევსება და ახალი სავიზიტო ბარათის შექმნა

რვეულის 10 და 11 სავარჯიშოები ემსახურება სავიზიტო ბარათზე დატანილი ინფორმაციის დეტალურ გაგებას და შემდეგ ამ დეტალების გამოყენებით ახალი ბარათის შექმნას. დავალებები შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნეს მოსწავლეთა მზაობა.

12. მინიდისკუსია

სრულდება სავარჯიშო 12. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დაფიქრდნენ და იმსჯელონ, რა პროფესიის ადამიანებს შეხვდებიან მოგზაურობის დროს. სასურველია, მოეწყოს მინიდისკუსია და შეთანხმებული პასუხები ჩაიწეროს რვეულში.

13. მოსმენა-გააზრება

თემის ყველა მომდევნო დავალება სრულდება რვეულში და ეს დავალებები ემსახურება მოსმენის უნარის გავარჯიშებას.

სრულდება სავარჯიშო 13. მასწავლებელი მოსწავლეებს ამზადებს მოსასმენი დავალებისთვის, თუმცა ვიდეოს ნახვამდე ის წინასწარ აძლევს მათ ინფორმაციას მთავარი გმირის შესახებ.

მოსწავლეები ნახულობენ ვიდეოს, ისმენენ ინფორმაციას და პასუხობენ შეკითხვებს. ამ შეკითხვების საშუალებით მოსწავლეები გლობალურად გაიგებენ ინფორმაციის შინაარსს და დააფიქსირებენ, რომ გიორგი პროფესიით არის გიდი. ამის შემდეგ მასწავლებელი უბრუნდება წინა დავალებას და ეკითხება მოსწავლეებს, დაასახელეს თუ არა მათ გიდის პროფესია (ან მსგავსი სპეციალობა) იმ პროფესიების ჩამონათვალში, რომლებიც მათ, შესაძლოა, შეხვედროდათ მოგზაურობის დროს.

მე-14 სავარჯიშოს შესრულების წინ შესაძლოა მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ მოისმინონ ვიდეოჩანაწერი. სასურველია, ეს დავალება შესრულდეს ჯგუფებში. ამით მასწავლებელი დარწმუნდება, რომ მოსწავლეებმა მოისმინეს და გაიაზრეს მოსასმენი დავალების მნიშვნელოვანი დეტალები.

მე-15 სავარჯიშო სრულდება ინდივიდუალურად და ფაქტობრივად წინა დავალებაზე დაყრდნობით.

14. გრამატიკული სავარჯიშო

სრულდება სავარჯიშო 16. ამ დავალების შესრულების მიზანი არის ის, რომ მოსწავლეებმა არა მხოლოდ გამოავლინონ ინფორმაციის ცოდნა, არამედ გრამატიკულად სწორი ფორმით დაასრულონ წინადადება.

იმავე მიზნებს ემსახურება სავარჯიშო 17. სასურველია, ეს დავალება შესრულდეს ჯერ ზეპირად, პასუხები გასწორდეს და ჩამოყალიბდეს სინტაქსურად გამართულად, ხოლო შემდეგ შესრულდეს წერილობით.

<u>საინფორმაციო ბუკლეტის დამზადება</u>

სავარჯიშო 17-ის შესრულების შემდეგ მოსწავლეები უკვე მზად იქნებიან, დაამზადონ საინფორმაციო ბუკლეტი და გამოიყენონ სწორი გრამატიკული ფორმები და კონსტრუქციები. მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებას: გაიხსენონ მშობლიურ რაიონში არსებული კულტურულ-ისტორიული ძეგლები. შეარჩიონ რომელიმე მათგანი. მოიძიონ მათ შესახებ ინფორმაცია, ფოტომასალა (შეუძლიათ დახატონ კიდეც) და შეადგინონ საინფორმაციო ბუკლეტი ტურისტებისთვის. წარმოადგინონ ნამუშევრის პრეზენტაცია. აქტივობის ორგანიზების ფორმად რეკომენდებულია ჯგუფებში ან წყვილებში მუშაობა.

15. მსჯელობა, კრიტიკული აზროვნება

იმისათვის, რომ მოსწავლეებმა განივითარონ არა მხოლოდ მეტყველების უნარი, არამედ შეძლონ არგუმენტირებული მსჯელობა, მასწავლებელმა ისინი უნდა ასაუბროს უკვე კარგად დამუშავებული თემის ირგვლივ. მოცემული სავარჯიშო საშუალებას იძლევა ბავშვებმა კრიტიკულად შეაფასონ ენების ცოდნის საჭიროება და გამოიტანონ პოზიტიური დასკვნები. ამისათვის სასურველია, მასწავლებელმა ბავშვებს საშუალება მისცეს მოიყვანონ მაგალითები პირადი გამოცდილებიდან, მაგალითად, როგორ დაეხმარა მათ ქართული ენის ცოდნა სხვადასხვა ყოფით სიტუაციაში.

ეს მსჯელობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს განმავითარებელი შეფასების რუბრიკის

მეშვეობით დააკვირდეს მოსწავლეების მეტყველების და მსჯელობის უნარს. რუბრიკაში მონიშნული მონაცემები მას საშუალებას მისცემს განსაზღვროს მოსწავლეთა საჭიროებები აღნიშნული მიმართულებით, რასაც გაითვალისწინებს შემდგომში გაკვეთილების დაგეგმვის და სწავლებაში დიფერენცირებული მიდგომის გამოყენებისას.

16. ლექსიკაზე მუშაობა

იმისათვის, რომ მოსწავლეები შეემზადონ წერითი დავალების შესასრულებლად, მნიშვნელოვანია, რომ მათ გაიხსენონ და დააზუსტონ რამდენიმე სიტყვის მნიშვნელობა. სრულდება სავარჯიშო 18. შესაძლებელია ანტონიმების ეს წყვილები მოსწავლეებმა გადაწერონ ფურცელზე და გარკვეული დროით დატოვონ საკლასო ოთახის კედელზე.

სახელი, გვარი	იგებს შეკითხვის შინაარსს	შეუძლია აზრის მკაფიოდ გამოთქმა	საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად მოჰყავს 1 არგუმენტი მაინც	მსჯელობას უკავშირებს პირად გამოცდილებას
*** *****	✓	✓	✓	-

17. წერა

წინა დავალებაზე დაყრდნობით შესაძლებელია, რომ მასწავლებელმა კითხვა-პასუხის ფორმატში მოსწავლეებს საშუალება მისცეს, დაახასიათონ, როგორია გიდის პროფესია და დაასაბუთონ, რატომ ფიქრობენ ასე. სრულდება სავარჯიშო 19 წერილობით. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა გაითვალისწინოს მოსწავლეთა მზაობა და დავალებები მათ შეასრულებინოს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფური მუშაობის ფორმატში.

მე-2 თემის ქვიზი

1. დაწერე სამი პროფესია, რომლებიც ყველაზე მეტად დაგამახსოვრდა:

---

2. დაწერე პროფესია, რომელიც აღწერილია წინადადებაში:
მან იცის რამდენიმე ენა, კარგად იცის ქვეყნის ისტორია და ემსახურება ტურისტებს.

---

3. დაამთავრეთ წინადადებები:

პოლიციელი მოძრაობს საპატრულო მანქანით და იცავს _____

მასწავლებელი მოსწავლეებს _____

სტილისტი მუშაობს სალონში და _____

ფოტოგრაფი მოგზაურობს და _____

4. სავიზიტო ბარათში ჩაწერე გამოტოვებული ინფორმაცია:

მარინა ტაბატაძე
_____
სილამაზის სალონი „გვირილა“
მის: ქ. ახალციხე, თავისუფლების ქ N 3
_____ 555 876 899
სამუშაო დღეები: თმის შეჭრა ორშაბათიდან შაბათამდე.

დააკავშირე სიტყვები ერთმანეთთან:

რთული	სახიფათო
საშიში	ცნობილი
პოპულარული	ძნელი

თემის ფარგლებში მისაცემი შესაძლო საშინაო დავალებების ნიმუშები

- წიგნის მე-7 დავალების მიხედვით შეკითხვების ფორმულირება და პასუხების წერილობით გაცემა საშინაო დავალების რვეულებში.
- წიგნის მე-8 დავალების დიალოგის მიხედვით შეკითხვების მოფიქრება მოსწავლეების მიერ, იმისათვის, რომ მეორე დღეს კლასელებს დაუსვან ეს შეკითხვები.
- წიგნის მე-10 დავალების მიხედვით სავიზიტო ბარათის დამზადება და პრეზენტაციის მოწყობა.
- რვეულის მე-5 სავარჯიშოს მიხედვით ახალი ტექსტის შექმნა მასწავლებლის მიერ და საშინაო დავალების რვეულებში დაკარგული სიტყვების სავარჯიშოს შესრულება.
- რვეულის მე-19 სავარჯიშოს მიხედვით საშინაო დავალების წერილობით შესრულება სხვა პროფესიაზე.
- ილუსტრირებულ ლექსიკონზე მუშაობა.

თემა 3. ოჯახი

თემატური მიზნები:

მოსწავლეები

- წაიკითხავენ და გაიაზრებენ მცირე ზომის, მარტივ მხატვრული ტექსტს ოჯახის თემაზე.
- მოისმენენ და ამოიცნობენ ოჯახის თემაზე შექმნილი მარტივი დიალოგის ზოგად და კონკრეტულ ინფორმაციას.
- ივარჯიშებენ პირის ნიშნების სწორ გამოყენებაზე ოჯახის ლექსიკასთან დაკავშირებით
- გაიხსენებენ ორთოგრაფიის საკითხებს ოჯახის ლექსიკასთან დაკავშირებით; ასევე, ივარჯიშებენ პუნქტუაციაში.
- სქემის მიხედვით ისაუბრებენ თავიანთი ოჯახის შესახებ

გასააქტიურებელი გრამატიკული საკითხები:

ა) პირისა და რიცხვის შეწყობა სახელსა და ზმნას შორის (გამეორება ახალი ლექსიკის ფარგლებში

ბ) მარტივი ტექსტის მესამე პირში გადაყვანა

გ) ახალი ზმნების უღლება

დ)სიტყვათშეთანხმებები: დაბადების დღეზე; ჩემზე ღონიერია; ჩვენს სახლში..

1. თემის შინაარსისა და მიზნების გაცნობა

მასწავლებელი მოსწავლეებს განუმარტავს თემის ძირითად მიზნებს. ის მოსწავლეებს ეუბნება, რომ ამ თემის ფარგლებში ისინი წაიკითხავენ ძალიან საინტერესო ტექსტს საბავშვო წიგნიდან და მოისმენენ ბავშვების საუბარს თავიანთი ოჯახების შესახებ. ასევე, რომ ივარჯიშებენ პირის ნიშნების სწორად გამოყენებასა და სიტყვების სწორად წერაზე.

2. საუბარი და ვარაუდების გამოთქმა ილუსტრაციის მიხედვით.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დააკვირდნენ წიგნის ილუსტრაციას (გვ.14) და უპასუხონ შეკითხვებს. დავალების ა ნაწილი ძირითადად დახურული შეკითხვებია და ემსახურება ვარაუდების გამოთქმას, თუმცა იქვე გვაქვს დავალების ბ ნაწილი-ღია შეკითხვა, რომლის საპასუხოდაც მოსწავლეებმა არგუმენტები უნდა მოიტანონ თავიანთი მოსაზრებების გასამყარებლად. კარგი იქნება, მასწავლებელმა ყველა შეკითხვას (ეს სოფელია თუ ქალაქი? ამ სახლში მხოლოდ სამი სახლია?...) თანვე მიაყოლოს შეკითხვის ბ ნაწილი, ანუ: რატომ ფიქრობ ასე? ეს აქტივობა მოსწავლეებს ეხმარება გამოიმუშაონ დაკვირვებისა და არგუმენტირების უნარი. მიმართულია ზეპირმეტყველებაზე ვარჯიშისკენ. იმ შემთხვევაში, თუ „რატომ“ შეკითხვაზე მოსწავლეებს უჭირთ ქართულად პასუხების გაცემა, დასაშვებია, დაიხმარონ მშობლიური ენა. დავალება 2-ის მიხედვით მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს და ამოწმებენ თავიანთ ვარაუდებს.

3. ტექსტის გლობალური გაგება

ტექსტის წაკითხვისა და ვარაუდების გადამოწმების შემდეგ მოსწავლეები უპასუხებენ ტექსტის ბოლოს დართულ შეკითხვებს. შეკითხვები ექსპლიციტურია და არ მოითხოვს ფიქრსა და მსჯე-

ლობას. მოსწავლეებს ევალებათ კონკრეტული მონაკვეთიდან მხოლოდ ინფორმაციის ამოღება. დავალება სრულდება ზეპირად, მთელი კლასის მონაწილეობით. ზემოაღნიშნული დავალება ნახევრად გლობალური ხასიათისაა, თუმცა, სასურველია, ამ სავარჯიშომდე მასწავლებელმა ტექსტის წაკითხვის შემდეგ დასვას ისეთი შეკითხვა, რომლებიც საკუთრივ ტექსტის გლობალურ გაგებას ემსახურება, მაგალითად: რის შესახებაა ტექსტში საუბარი? ან: ვინ არიან ტექსტის პერსონაჟები?

4. ტექსტის სელექციური გაგება

შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ მოსწავლეები ასრულებენ სავარჯიშო 3-ს რვეულში, სადაც მათ ფანქრით უნდა მონიშნონ ტექსტის მიხედვით სწორი და არასწორი პასუხები. დავალება ემსახურება ტექსტის სელექციურ გაგებას, რისთვისაც არ არის საჭირო ტექსტის რამდენიმეჯერ წაკითხვა. უბრალოდ, წინადადების წაკითხვის შემდეგ მოსწავლე ბრუნდება ტექსტთან და ამოწმებს კონკრეტული ინფორმაციის სისწორეს

5. ტექსტის ლექსიკაზე მუშაობა

მე-4 და მე-5 სავარჯიშოები რვეულში ემსახურება ტექსტის ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობათა დაზუსტებას. ისინი შეიძლება შესრულდეს წყვილებში ან ინდივიდუალურად. მოსწავლეები ხაზებით (ისრებით) აკავშირებენ სურათებსა და სიტყვებს(სავ 4) და სიტყვებსა და განმარტებებს(სავ.5). სავარჯიშოების სისწორე უნდა შემოწმდეს დაფასთან, რომელიმე მოსწავლის/წყვილის ვარიანტის განხილვით.

6. ტექსტის წაკითხვა-გაგება და გრამატიკული შეცდომების გასწორება

მოსწავლეები ინდივიდუალურად კითხულობენ მე-6 დავალების ტექსტს და ფორუმში (ერთობლივად, მთელი კლასის მონაწილეობით) უპასუხებენ შეკითხვებს. ტექსტი მარტივია და ამდენად, მასზე დართული შეკითხვებიც მარტივი პასუხებით შემოიფარგლება. ეს ტექსტი მოსამზადებელი ეტაპია მეორე – შეცდომებიანი ტექსტისთვის, რომელიც მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ, უპასუხონ და გაასწორონ გრამატიკული შეცდომები.

დავალება 7 უნდა შესრულდეს ინდივიდუალურად და მას შესაძლოა, გაკვეთილის ნახევარიც დაეთმოს მასწავლებლის განმარტებების ფონზე, ვინაიდან მოსწავლეების მიერ გასწორებული ტექსტი უნდა შეჯერდეს დაფასთან განმარტებების თანხლებით. მოსალოდნელია, რომ მოსწავლეები ვერ მოახერხებენ ყველა შეცდომის გასწორებას. ასეთ შემთხვევაში ტექსტი ხელახლა უნდა გასწორდეს დაფასთან. მასწავლებელმა თითოეულ შეცდომას საკმარისი დრო უნდა დაუთმოს და განმარტოს, თუ რატომ არის ის შეცდომა (ცხადია, მეხუთეკლასელებისთვის გასაგებ ენაზე). ასე, მაგალითად: თქვენ ბინას ეძებს – შეცდომაა, ვინაიდან თქვენ აღნიშნავს მეორე პირს (აქ – თავაზიან ფორმას), ზმნა – ეძებს კი – მესამე პირშია. სახელისა შეწყობა ზმნასთან პირსა და რიცხვში აუცილებელია, ამიტომ აქ უნდა იყოს: თქვენ ბინას ეძებთ.

7. გრამატიკულ საკითხებზე ვარჯიში და წერის უნარზე მუშაობა

სავარჯიშოები 9,10,11 ემსახურება ტექსტებში მოცემული გრამატიკული საკითხების განმტკიცებას და შესაძლებელია მათი შესრულება როგორც კლასში, ასევე – საშინაო დავალებად. კლასში შესრულების შემთხვევაში მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გადაამოწმოს შესრულების სისწორე, შეუძლია შერჩევით წააკითხოს რომელიმე მოსწავლეს და დანარჩენებმა შეადარონ, ან ჩამოიაროს და გადახედოს თითოეულ ნამუშევარს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მასწავლებელმა სავარჯიშო 9-ის პირობას და გაახსენოს მოსწავლეებს გრამატიკული საკითხი პირველი თავიდან. ამისათვის შეიძლება მასწავლებელმა გადააშლევინოს მითითებული გვერდი და კიდევ ერთხელ დააკვირვოს არსებითი სახელების მრავლობითი რიცხვის წარმოებაზე.

წიგნის მე-8 დავალება წერის უნარის განვითარებას ემსახურება. სასურველია, ის რვეულის სავარჯიშოების შემდეგ შესრულდეს. იმისათვის, რომ მოსწავლეებს შეექმნათ ნათელი წარმოდგენა, თუ რა უნდა დაწერონ თავიანთი ოჯახის შესახებ, მასწავლებელმა უნდა მიუთითოს იმ შესაძლო ნაწილებზე/გეგმაზე, რომელიც გამოადგებათ ტექსტის ასაგებად. მაგალითად, სად ცხოვრობ? რამდენი წევრია შენს ოჯახში? ვინ რამდენი წლისაა და რას აკეთებს? რა უყვართ შენი ოჯახის წევრებს და ა.შ.

წერის შეფასების რუბრიკა (ნიმუში)

მოსწავლე	ნაწერი უპასუხებს პირობას	შერჩეულია საჭირო ლექსიკა	შერჩეულია საჭირო გრამატიკული კონსტრუქციები	ნაწერი უშეცდომოა
	2-1-0	3-2-1-0	3-2-1-0	2-1-0
1. სანდრო გეგეჭკორი **1.** _____ **2.** _____ **3.** _____				

შენიშვნა: აქ და ყველგან შეფასების რუბრიკებს აქვს სარეკომენდაციო ხასიათი

8. დიალოგის მოსმენა ოჯახის თემაზე და გლობალური გაგება.

მოსწავლეები უსმენენ ტექსტს და ასრულებენ გლობალური გაგების დავალებას (სავარჯიშო 12, გვ.16, მოსასმენი N3). სავარჯიშო სრულდება ზეპირად, მთელი კლასის მონაწილეობით. მნიშვნელოვანია, რომ გლობალური გაგებისთვის მოსწავლეებმა ტექსტი მოისმინონ ერთხელ (გამონაკლის შემთხვევაში ორჯერ), რათა მიეჩვიონ ყურის გამახვილებას და ზოგადი ინფორმაციის გაგებას ზეპირი მეტყველებიდან.

9. დიალოგის მეორედ მოსმენა და ტექსტის სელექციური გაგება

მოსწავლეები მეორედ უსმენენ ტექსტს და ამჯერად უკვე ამოიცნობენ კონკრეტული ინფორმაციის სისწორეს (სავარჯ. 13), ასევე, პოულობენ სხვადასხვა კონკრეტულ ინფორმაციას (სავარჯიშო 14). სავარჯიშო 13-ის შემთხვევაში მოსწავლეები ხმამაღლა მსჯელობენ, თუ რატომ არის ესა თუ ის ვარიანტი სწორი ან არასწორი, ხოლო მე-14 სავარჯიშოს სწორი ვარიანტი ჯერდება დაფაზე.

10. ტექსტის დეტალური გაგება და ფრაზებზე მუშაობა

მე-15 სავარჯიშო მოიცავს დიალოგის ფრაზებს, რომლებიც გაყოფილია ორ ნაწილად და მოსწავლეებმა ისინი ერთმანეთს უნდა დაუკავშირონ. ეს აქტივობა ძალიან საჭირო და ეფექტიანია ნებისმიერი ტექსტის(საკითხავი თუ მოსასმენი) დამუშავებისას და ამოწმებს, რამდენად მოახერხეს მოსწავლეებმა ფრაზების პირველადი შეთვისება. ფრაზების სწავლება კი ენის სწავლების უმნიშვნელოვანესი სტრატეგიაა და მიმართულია სწრაფი ამეტყველებისაკენ.

11. საუბარი საკუთარი დაბადების დღის შესახებ

დიალოგის სავარჯიშოები და ასევე, მე-16 სავარჯიშო (შეკითხვებზე პასუხის გაცემა საკუთარი დაბადების დღის შესახებ) ხელს უწყობს იმას, რომ მოსწავლემ უკვე შეასრულოს მომდევნო – მე-17 დავალება – ჩაინიშნოს კლასელის მიერ გადმოცემული ინფორმაცია და შემდეგ სქემის დახმარებით შეძლოს რამდენიმე წინადადებით გაბმულად საუბარი კლასელის ოჯახის წევრებისა და დაბადების დღის შესახებ (სავარჯიშო 17). მოსწავლეს დასჭირდება ინფორმაციის მესამე პირში გადაყვანა. ცხადია, მასწავლებლის დახმარება აქ აუცილებელია. მოსწავლეების ამეტყველება ხანგრძლივი პროცესია და მასწავლებელს იმედგაცრუებისკენ არ უნდა უბიძგოს ცალკეულმა მარცხმა. მოთმინებით უნდა მოახერხოს, დაეხმაროს მოსწავლეებს ცალკეული სიტყვებით, ფრაზებითა თუ გრამატიკული კონსტრუქციებით. მაგრამ ასევე აუცილებელია, რომ მოსწავლეებმა თავიანთი ტექსტები ბევრჯერ გაიმეორონ, ყოველ ჯერზე დახვეწონ და მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სახე მისცენ მათ.

შეფასების რუბრიკა ზეპირმეტყველების აქტივობისთვის (ნიმუში)

მოსწავლე	საუბრობს უშეცდომოდ	საუბრობს გაბმულად	იცავს ინტონაციას
4. სანდრო გეგეჭკორი **5.** _____ **6.** _____			

მე-3 თემის ქვიზი

1. ამოარჩიე სწორი წინადადება

ა) ჩემი ძმა ჩემიდან უფროსია

ბ) ჩემი ძმა ჩემი უფროსია

გ) ჩემი ძმა ჩემზე უფროსია

2. ჩასვი სწორად ში/ზე

დაბადების დღე _____ ლამაზი თოჯინა მაჩუქეს

3. შეავსე წინადადებები სიტყვებით

ღონიერია, პაწაწინა, დარბიხარ, დამალობანა

ა) _____ საინტერესო თამაშია.

ბ) თოჯინას _____ ხელები აქვს.

გ) შენ სწრაფად _____?

დ) მამა ყველაზე _____.

4. რომელია მოცემული ნაცვალსახელის <u>მესამე პირში</u> გადაყვანის სწორი ვარიანტი?

მამაჩემი საავადმყოფოში მუშაობს.

ა) ჩემი მამა საავადმყოფოში მუშაობს

ბ) მამამისი საავადმყოფოში მუშაობს.

გ) მამაშენი საავადმყოფოში მუშაობს.

5. რომელი წინადადებაა სწორი?

ა) ჩვენ სოფელში უამრავი სახლია.

ბ) ჩვენი სოფელში უამრავი სახლია.

გ) ჩვენს სოფელში უამრავი სახლია.

ასევე, შემაჯამებელ დავალებად შეიძლება მასწავლებელმა გამოიყენოს წერითი დავალება 8 (გვ. 17) წერითი ნამუშევრის შეფასების რუბრიკა მოცემულია ამავე თავში აქტივობების მე-7 პუნქტში.

თემა 4. როცა პატარა ვიყავი

თემატური მიზნები:
მოსწავლეები

- შეძლებენ მცირე ზომის მხატვრული ტექსტის წაკითხვა-გაგებას პერსონაჟის ბავშვობის თემაზე;
- შეძლებენ მოისმინონ რეალური პერსონაჟების მოგონებები თავიანთ ბავშვობაზე და ამოიცნონ კონკრეტული ინფორმაცია; მოისმინონ და გაიგონ ბავშვების დიალოგი იმ დროზე, როცა უფრო პატარები იყვნენ – რა უყვარდათ და რას თამაშობდნენ;
- შეძლებენ აწარმოონ უწყვეტლის ფორმები ნიმუშების მიხედვით, გამოიყენონ ისინი ზეპირი და წერითი მეტყველების დროს;
- შეძლებენ ისაუბრონ თავიანთი ბავშვობის შესახებ უწყვეტლის ფორმების გამოყენებით;
- შეძლებენ დაწერონ მცირე ტექსტი სქემის დახმარებით თანაკლასელების ბავშვობის შესახებ მათ მიერვე მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

გასააქტიურებელი გრამატიკული საკითხები:

ა. უწყვეტლის წარმოება; -დ(ი); ოდ(ი) დაბოლოებები; უწყვეტლის მნიშვნელობა და გამოყენების არეალი

ბ. ტექსტის მესამე პირში გადაყვანა; პირების შეწყობა (გამეორება-განმტკიცება);

გ. თემის შინაარსობრივი ზმნების (უყვარს/უყვარდა, თამაშობდა, ცეკვავდა, მღეროდა) უღლება;

დ. საწყისების გამოყენება უწყვეტლის ფორმებთან (უყვარდა ხატვა, მოსწონდა სიმღერა).

1. თემის შინაარსისა და მიზნების გაცნობა

მასწავლებელი მოსწავლეებს განუმარტავს თემის ძირითად მიზნებს. ეუბნება, რომ ამ თემის ფარგლებში ისინი შეძლებენ, შეძლებენ გაიგონ წაკითხული ტექსტი და მოსასმენი აუდიო-ვიდეო-ჩანაწერი ბავშვობის თემაზე და თავადაც ისაუბრონ საკუთარ პატარაობაზე; ისწავლიან, ზმნის რომელი ფორმები გამოიყენონ მაშინ, როცა საუბრობენ, რას აკეთებდნენ წარსულში ხშირად ან დიდხანს. მასწავლებელს შეუძლია პარალელი გაავლოს მოსწავლეების მშობლიურ ენასთან.

2. კითხვა. კითხვებზე პასუხი. პირველი შეხვედრა უწყვეტელთან. დავალება 1

მოსწავლე პირველად ეცნობა რამდენიმე ზმნის უწყვეტლის ფორმას. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე იცნობდეს ამ ზმნების აწმყოს ფორმებს და კარგად ესმოდეს მათი მნიშვნელობა. წესით, ამ ზმნების აბსოლუტური უმრავლესობა ნაცნობი უნდა იყოს მოსწავლისთვის. თუ ეს ასე არ არის, მასწავლებელმა ერთი გაკვეთილით ადრე უნდა გაამეორებინოს მოსწავლეებს ეს ზმნები (ვთამაშობ, ვხატავ, ველაპარაკები, ვუყურებ, ველოდები, ვიძინებ, ვიღვიძებ, მიყვარს...) კითხვა-პასუხის მეშვეობით (მაგალითად: ვისთან ერთად თამაშობ ფეხბურთს? რით ხატავ? ტელევიზორს როდის უყურებ? სკოლიდან სახლში მარტო მიდიხარ თუ შენს დას/ძმას ელოდები? და ა.შ.) მასწავლებელს შეუძლია მოიფიქროს დამატებითი აქტივობები მოცემული ლექსიკური ერთეულების გამეორებისა და განმტკიცებისთვის.

როცა მასწავლებელი დარწმუნდება, რომ მოსწავლეებმა კარგად იციან პირველ დავალებაში

მოცემული ზმნების მნიშვნელობა, შეუძლია გადავიდეს ვარაუდების გამოთქმაზე.

მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქცევინოს მოსწავლეებს პირველ ფოტოზე და დაუსვას შეკითხვები (ფორუმი):

რას აკეთებენ გოგონები ფოტოზე? — ლაპარაკობენ. (გააქტიურეთ ფორმა — „ელაპარაკებიან ერთმანეთს“). როგორ ფიქრობთ, რის შესახებ საუბრობენ გოგონები? რატომ არის ტექსტის შუაში პატარა ბავშვის ფოტო?..

შემდეგ რომელიმე მოსწავლე იწყებს ხმამაღალ კითხვას (ვარაუდების შემოწმებას):

— ანა, რას აკეთებდი ხოლმე, როცა პატარა იყავი?

— როცა პატარა ვიყავი...

მასწავლებელი სვამს შეკითხვებს:

ბავშვებო, რომელია თქვენი აზრით, ანა? რატომ ფიქრობთ ასე?

თქვენი აზრით, ვინ არის პატარა ბავშვი ფოტოზე ცენტრში?

მოსწავლეები აგრძელებენ კითხვას.

მასწავლებელი ყურადღებას მიაქცევინებს მოსწავლეებს დროზე (დრო წარსულია, რადგან ანა ამბობს — როცა პატარა ვიყავი.). ყურადღებას მიაქცევინებს ფორმაზე (რით განსხვავდება ეს ფორმები აწმყოს ფორმებისგან?)

ამის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ მე-2 დავალება და უპასუხონ შეკითხვებს. ეს „თუთიყუშური გამეორების“ დავალებაა, რადგანაც თითქმის ყველა შესაძლო პასუხი წინასწარ მოცემულია ანას დიალოგში. მოსწავლეს შეუძლია პასუხები პირდაპირ ამოიკითხოს ანას დიალოგიდან ან მასწავლებლის დახმარებით მცირედით შეცვალოს ისინი (მაგალითად: ვთამაშობდი თოჯინებით, მიყვარდა ლიმონათი და ა.შ.). არ არის აუცილებელი, ყველა მოსწავლეს დავუსვათ ყველა შეკითხვა, შეგვიძლია, ყველას თითო-თითო ან ორ-ორი კითხვით მივმართოთ.

3. გრამატიკაზე მუშაობა. მე-3 და მე-4 სავარჯიშოები.

მოსწავლეებმა პირველად წაიკითხეს უწყვეტლის ფორმები (1-ლი დავალება). შემდეგ გაიმეორეს ისინი ზეპირად შეკითხვებზე პასუხის დროს (მე-2 დავალება). ახლა მოსწავლეებმა უნდა სცადონ აწმყოს ფორმებისგან უწყვეტლის ფორმების წარმოება და მათი დაწერა. მათ შეუძლიათ ჩაიხედონ წიგნში და იქ იპოვონ შესაბამისი ფორმები.

მე-4 სავარჯიშოში ისინი აუღლებენ „მქონდა“ და „მიყვარდა“ ზმნებს. სავარჯიშოს დასრულების შემდეგ მასწავლებელს შეუძლია დაფაზე დაწეროს სწორი ფორმები და მოსწავლეებს შეამოწმებინოს რვეულებში.

4. ტექსტის წაკითხვის წინარე აქტივობები. სავარჯიშო 5.

მოსწავლეები ასრულებენ ლექსიკურ სავარჯიშოს და მასწავლებელთან ერთად აზუსტებენ თითოეული ფრაზის მნიშვნელობას. მოსწავლეთა საჭიროებისამებრ მასწავლებელი წინასწარ დაამუშავებს ტექსტის საკვანძო ლექსიკას.

მასწავლებელი მოკლედ აცნობს მოსწავლეებს ცნობილი თანამედროვე ფრანგი მწერლის ანი გავალდას პერსონაჟ გრეგუარს. გრეგუარი არის მეექვსეკლასელი ბიჭი, რომელსაც ძალიან უჭირს სწავლა და ამის გამო უამრავი პრობლემა აქვს. ანი გავალდას წიგნიც ამაზეა — თუ როგორ დასძლევს გრეგუარი პრობლემებს სწავლაში და ოჯახში. წიგნის ამ კონკრეტულ მონაკვეთში გრეგუარი იხსენებს თავის პატარაობას.

5. ჩუმი კითხვა და ტექსტის გაგება-გააზრება. დავალება 6

მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, ჩუმად წაიკითხონ მოკლე ინფორმაცია მწერლისა და

პერსონაჟის შესახებ და ნაწარმოების ნაწყვეტი და გაითვალისწინონ, რომ კითხვის შემდეგ მოუწევთ ტექსტის ბოლოს მოცემულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა. შესაძლებელია, კითხვების ნაწილი მასწავლებელმა დასაწერად მისცეს მოსწავლეებს. დავალების შესრულების შემდეგ შემდეგ მასწავლებელი ორ-ორ შეკითხვას უსვამს მოსწავლეებს. სასურველია, ერთი შეკითხვა იყოს ტექსტიდან, მეორე კი (ანალოგიური) შეეხებოდეს მოსწავლის პირად გამოცდილებას. (მაგალითად: რომელი სათამაშო უყვარდა გრეგუარს? და შენ რომელი სათამაშო გიყვარდა, როცა პატარა იყავი?)

ბოლო ორი შეკითხვა სამსჯელოა. ამ საკითხზე მსჯელობამდე მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეებს, რომ საფრანგეთში სწავლა სამი წლის ასაკიდანაა სავალდებულო და პატარა ბავშვები დადიან სასწავლო დაწესებულებაში, რომელსაც École maternelle-ს ანუ „დედობრივ სკოლას“ უწოდებენ. მოსწავლეებმა თავისუფლად უნდა გამოთქვან თავიანთი აზრები და ვარაუდები ფრანგული „დედობრივი“ სკოლისა და სკოლაში წასვლის ნაადრევი ასაკის შესახებ. შესაძლოა, მსჯელობისას მათ დასჭირდეთ მშობლიური ენის გამოყენებაც. მასწავლებელმა უნდა აუხსნას, რომ ფრანგული École maternelle საბავშვო ბაღს უფრო ჰგავს, ვიდრე ჩვეულებრივ სკოლას, თუმცა ბავშვები იქ უკვე იწყებენ ასაკის შესაბამის განათლების მიღებას.

მასწავლებელს შეუძლია დამატებითი შეკითხვების მეშვეობით უფრო დეტალურად შეამოწმოს, თუ როგორ იგებენ და იაზრებენ ტექსტს მოსწავლეები (მაგალითად: რომელ პირშია დაწერილი? რატომ?)

6. გრამატიკაზე მუშაობა. დავალება 7

მე-7 დავალების შესრულებამდე მასწავლებელი კიდევ ერთხელ გაამახვილებინებს ყურადღებას მოსწავლეებს ტექსტში გამოყენებული უწყვეტლის ფორმებსა და უწყვეტლის განმარტებაზე გრამატიკული ბლოკის თავზე. შემდეგ ისინი გადაიხაზავენ ცხრილს და ნიმუშების მიხედვით ავსებენ მას. (ყურადღება მიაქციეთ, რომ მოსწავლეებმა არ შეავსონ ცხრილი წიგნშივე). მასწავლებელი ამოწმებს შესრულებულ დავალებას და ყურადღებას ამახვილებინებს მოსწავლეებს უწყვეტლის დაბოლოებებზე.

7. დიალოგის მოსმენა და მისი გლობალური და სელექციური გაგება. დავალება 8, სავარჯიშო 9

მოსწავლეები უსმენენ დიალოგს იმავე თემაზე და ინდივიდუალურად ასრულებენ ჯერ წიგნის მე-8 დავალებას და შემდეგ – რვეულის მე-9 სავარჯიშოს.

8. კვლავ გრამატიკულ საკითხთან დაბრუნება. სავარჯიშო 10

ეს სავარჯიშო ასევე ინდივიდუალურად სრულდება. მოსწავლეები იმეორებენ უწყვეტლის ფორმებსა და ვთამაშობ/ვთამაშობდი+.....-ით – ვუყურებ/ვუყურებდი+.....-ს კონსტრუქციებს. ცდილობენ დამოუკიდებლად დაწერონ ახალი წინადადებები უწყვეტლის გამოყენებით.

9. ავთენტური ვიდეოჩანაწერის გაგება-გააზრებაზე მუშაობა. სავარჯიშო 11-12.

მოსწავლეებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მსგავსი ავთენტური ჩანაწერების მოსმენას, რადგანაც ისინი ამგვარად ეცნობიან ბუნებრივ მეტყველებას. შესაძლოა, რომ მოსწავლემ ბევრი რამ ვერ გაიგოს ჩანაწერიდან და მასწავლებელს დასჭირდეს ვიდეოჩანაწერის არაერთხელ ჩართვა. მთავარია, რომ მოსწავლემ ამოკრიფოს ძირითადი ინფორმაცია.

10. გრამატიკულ საკითხზე მუშაობა (შესაბამისი ფორმების პირველი პირიდან მეორე და მესამე პირში გადაყვანა). მომზადება მე-14 და მე-15 სავარჯიშოებისთვის. სავარჯიშო 13

11. საუბარი სქემის მიხედვით უწყვეტლის ფორმების გამოყენებით. წყვილებში. სავარჯიშოები 14-15

მცირე გრამატიკული სავარჯიშოს მერე მოსწავლეები ასრულებენ მე-14-მე-15 სავარჯიშოებს წყვილებში. ისინი ერთმანეთს უსვამენ შეკითხვებს და იწერენ შესაბამის პასუხებს, შემდეგ ავსებენ სქემას (სავარჯიშო 15) და ამ სქემის მეშვეობით საუბრობენ თანაკლასელის შესახებ. ეს უკვე პროდუცირებაა.

მე-4 თემის ქვიზი

დაასრულე სწორად:

1. როცა ხუთი წლის ვიყავი
ა. ვითამაშე თოჯინებით
ბ. ვთამაშობდი თოჯინებით
გ. ვითამაშებ თოჯინებით

2. ნანას უყვარს
ა. ხატავს
ბ. დახატა
გ. ხატვა

3. უწყვეტლის დაბოლოებაა
ა. დ(ი); ოდ(ი)
ბ. დ (ე)
გ. ს; ოდ(ი)

4. გრეგუარი არის (იხილე მოსწავლის წიგნი, გვ. 20)
ა. პატარა ფრანგი ბიჭი, რომელსაც სკოლა ძალიან უყვარს
ბ. პატარა ფრანგი ბიჭი, რომელსაც მოსწონს თავისი საშინაო დავალებები
გ. პატარა ბიჭი, რომელსაც არ უყვარს სკოლაში სიარული

5. გრეგუარი ბედნიერი იყო
ა. სკოლაში შესვლის შემდეგ
ბ. სკოლაში შესვლამდე
გ. სკოლაში ყოფნისას

თემა 5. გასული ზაფხული

თემატური მიზნები:

- მოსწავლეები შეძლებენ ზაფხულის არდადეგების შესახებ საუბრის მოსმენასა და გაგებას, შესაბამისი ტექსტების წაკითხვას, სათანადო ილუსტრაციების მიხედვით საუბარს და საკუთარი საზაფხულო აქტივობების შესახებ საუბარსა და წერილობით აღწერას.
- გაიაქტიურებენ ნასწავლი ზმნების აწმყოსა და წყვეტილში გამოყენების უნარს.

გასააქტიურებელი გრამატიკული საკითხები:

ა) უწყვეტლის წარმოება; -დ(ი); ოდ(ი) დაბოლოებები; უწყვეტლის მნიშვნელობა და გამოყენების არეალი

ბ) ტექსტის მესამე პირში გადაყვანა; პირების შეწყობა (გამეორება-განმტკიცება);

გ) თემის შინაარსობრივი ზმნების (უყვარს/უყვარდა, თამაშობდა, ცეკვავდა, მღეროდა) უღლება;

დ) საწყისების გამოყენება უწყვეტლის ფორმებთან (უყვარდა ხატვა, მოსწონდა სიმღერა).

1. თემის შინაარსისა და მიზნების გაცნობა

მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს თემის ზოგად შინაარსსა და მიზნებს. ეუბნება, რომ ამ თემის ფარგლებში ისინი ისაუბრებენ ზაფხულის არდადეგებზე ბავშვების საქმიანობის შესახებ, გაეცნობიან სხვადასხვა ბავშვის აქტივობებს, ისაუბრებენ ილუსტრაციების მიხედვით და შეეცდებიან გადმოსცენ საკუთარი საზაფხულო აქტივობებიც.

2. ლექსიკური ბლოკების გააქტიურება ილუსტრაციების დახმარებით.

მოსწავლეები წყვილებში მუშაობენ წიგნის 1-ლ და მე-2 დავალებებზე. ეს ორი დავალება ავსებს ერთმანეთს, რადგან სიტყვების დაზუსტების მიზნით იყენებენ ილუსტრაციებსაც. 1-ლი დავალების ლექსიკური ბლოკების სიტყვების მნიშვნელობების დაზუსტების შემდეგ, მასწავლებელი წარმართავს მე-2 დავალებაში მოცემული შეკითხვების მიხედვით საუბარს ილუსტრაციების შესახებ.

აქტივობების მსვლელობისთვის საჭირო დრო და ფორმატი დამოკიდებულია კლასში მოსწავლეთა რაოდენობაზე, მათ მზაობასა და საჭიროებებზე. შესაძლებელია, მაგალითად, მეორე დავალების შეკითხვებზე სამუშაოდ მასწავლებელმა დააჯგუფოს მოსწავლეები და შემდეგ ხმამაღლა უპასუხონ ან პირდაპირი შეკითხვების დასმით წარმართოს საუბარი. (ეს შენიშვნა შეეხება პრაქტიკულად ყველა აქტივობას.)

3. ლექსიკური ერთეულებისა და ფრაზების გააქტიურება

მოსწავლეები მუშაობენ რვეულში მოცემულ მე-3, მე-4 და მე-5 სავარჯიშოებზე. ეს სავარჯიშოები მათ დაეხმარებათ ლექსიკური ერთეულების ცოდნის გაღრმავებასა და ფრაზების გააქტიურებაში.

სავარჯიშოებზე მუშაობის ფორმატსა და დროს მასწავლებელი განსაზღვრავს საჭიროებისამებრ. შესაძლოა, მოსწავლეებმა წყვილებში იმუშაონ ან ჯერ ინდივიდუალურად შეასრულონ თითოეული სავარჯიშო და წყვილებში გადაამოწმონ ერთმანეთის ნამუშევრები. რასაკვირველია, შესრულებული სავარჯიშოები გადამოწმდება ხმამაღლა წაკითხვის შედეგად. საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი ასწორებს გამოვლენილ ხარვეზებს.

4. ზმნების ფორმებზე მუშაობა

მოსწავლეები მუშაობენ წიგნის მე-6 დავალებასა და რვეულის მე-7 სავარჯიშოზე. მასწავლებლის დახმარებით ჯერ აზუსტებენ თითოეული ზმნის მნიშვნელობას, აკვირდებიან წიგნის მე-6 დავალებაში მოცემულ ცხრილებს და მათი გამოყენებით ავსებენ რვეულის მე-7 სავარჯიშოში მოცემულ ცხრილს.

5. ტექსტის მოსმენა და ილუსტრაციებთან დაკავშირება

სრულდება წიგნის მე-8 დავალება, რომელიც მოსმენის უნარზეა ორიენტირებული. მოსწავლეები უსმენენ ტექსტებს და აკავშირებენ შესაბამის ილუსტრაციასთან.

აღსანიშნავია, რომ ბავშვებს უკვე გააქტიურებული აქვთ ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც დასჭირდებათ ტექსტების მოსმენისას.

საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი ორჯერ ასმენინებს ტექსტს. და საერთოდაც, უმჯობესია, მოსწავლეებმა დამოუკიდებლად გაართვან თავი მოსასმენ დავალებებს (ამ შემთხვევაში მოსმენილი ტექსტის შესაბამის ილუსტრაციასთან დაკავშირება), თუნდაც ამისთვის ტექსტის რამდენჯერმე მოსმენა დასჭირდეთ, ვიდრე ერთი-ორჯერ მოუსმინონ ტექსტს და მასწავლებლის დახმარებით უპასუხონ სათანადო შეკითხვებს...

როგორც ცნობილია, სახელმძღვანელოში მოცემულია მოსასმენი ტექსტების ტრანსკრიპტები, რასაც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს მასწავლებელი (მაგალითად, თუ შუქი არ იქნება ანდა მოსასმენი აპარატურის ჩართვა ვერ მოახერხა), მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს მიეცეთ მასწავლებლისგან განსხვავებული ტემბრის, ინტონაციისა და ტემპის მოსმენისა და აღქმის საშუალება.

6. მოსმენაზე ორიენტირებულ სავარჯიშოებზე მუშაობა

მოსწავლეები მუშაობენ რვეულის 9-13 სავარჯიშოებზე. ყველა ეს სავარჯიშო უნდა შესრულდეს მოსასმენი ტექსტის მიხედვით. შესაბამისად, ჯერ ეცნობიან სავარჯიშოების პირობებს, შემდეგ უსმენენ და თან პარალელურად ასრულებენ პირობას.

მასწავლებელი გადაწყვეტს მოსწავლეები ინდივიდუალურად შეასრულებენ ამ სავარჯიშოებს, წყვილებში თუ მცირე ჯგუფებში. ან ზოგიერთი სავარჯიშო ინდივიდუალურად უნდა შეასრულონ, მაგალითად, მე-10 და მე-12, რადგან აქ ჩაწერაა საჭირო, ხოლო სხვები — წყვილებში...

7. ამბის გახსენება და საუბარი

სრულდება წიგნის მე-14. დავალება – მოსწავლეები გაიხსენებენ და ყვებიან მათთვის სასიამოვნო ამბავს. როგორც წესი, ეს ამბავი უნდა იყოს გასული ზაფხულის რაიმე მოკლე თავგადასავალი – რასაკვირველია, რასაც მათი ენობრივი კომპეტენცია საშუალებას მისცემთ. გასათვალისწინებელია, რომ შესაძლოა, ეს ამბები არ გამოირჩეოდეს ორიგინალობითა და შემოქმედებითობით. მეტიც, შესაძლოა იმეორებდეს კიდეც წინა დავალებებსა და სავარჯიშოებში გააქტიურებულ ფრაზებსა და შინაარსსაც კი. მაგალითად, მე მდინარეზე ვიყავი... მე სპორტულ მოედანზე კალათბურთს ვათამაშობდი...

8. ტექსტის წაკითხვა და მოსაწონი მონაკვეთის შერჩევა.

მოსწავლეები მუშაობენ ტექსტზე, კითხულობენ და არჩევენ იმ მონაკვეთს, რომელი მონაკვეთიც მოეწონებათ ყველაზე მეტად. ტექსტი არის ოთხი პერსონაჟის მოკლე საზაფხულო ამბები, რომელთა წაკითხვა და გაგება აღარ უნდა გაუჭირდეთ ბავშვებს, რადგან საჭირო ლექსიკაც გააქტიურებული აქვთ უკვე და მოსმენაშიც აქვთ დამუშავებული მსგავსი შინაარსის ტექსტები.

ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ პირველ ეტაპზე წაკითხვისას, ანუ მე-15 დავალებაზე მუშაობისას არ არის საჭირო ტექსტის სიღრმეებში განხილვა, მიცემული დავალებაა: შეარჩიონ მათთვის მოსაწონი მონაკვეთი. მაგალითად, აისუს ზაფხულის ამბავი უფრო მოსწონთ თუ — გარის...

გასაგებია, რომ ეს დავალება ემსახურება ტექსტის გლობალურ დონეზე გაგებას. ტექსტის სელექციური გაგებაზე ორიენტირებულია შემდეგი დავალება. ტექსტის წაკითხვა სასურველია ინდივიდუალურად მოხდეს და მოსწავლეების მოსაზრებების გაზიარება წაკითხვის შემდეგ. თუმცა, თუკი მასწავლებელი მიიჩნევს, რომ ჯერ თავად წაიკითხოს ხმამაღლა ტექსტი საჭირო კომენტარებით და შემდეგ დაავალოს ბავშვებს, კიდევ ერთხელ წაკითხვა და სასურველი მონაკვეთის შერჩევა, არც ამით დაშავდება რამე.

9. წაკითხული ტექსტის ხელახლა წაკითხვა და სელექციური (შერჩევითი) გაგება

მოსწავლეები მუშაობენ მე-16 დავალებაზე. კიდევ ერთხელ კითხულობენ ტექსტს და უპასუხებენ დავალებაში მოცემულ ტექსტის გაგება-გააზრებაზე ორიენტირებულ შეკითხვებს. რასაკვირველია, ამ დავალების შესრულების მიზნით, კიდევ ერთხელ კითხულობენ ტექსტს ან ინდივიდუალურად, ან წყვილებში, ან მცირე ჯგუფებში.

შეკითხვებზე პასუხებს განიხილავენ და აზუსტებენ ერთობლივად.

<u>რჩევა დიფერენცირებისთვის:</u> კლასში შესაძლოა გამოიყოს ისეთი მოსწავლე ან მოსწავლეთა ჯგუფი, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ ავლენენ კითხვაში გაწაფულობის და/ან ლექსიკური მარაგისა და ენობრივი კომპეტენციების სათანადო დონეს. იმისდა მიხედვით, თუ რა საფეხურზეა მოსწავლე, მასწავლებელმა შესაძლოა მიმართოს დიფერენცირების სხვადასხვა მიდგომას: მსუბუქი დიფერენცირების სტრატეგიებით (მაგალითად, იმავე საკითხავზე დაყრდნობით იმავე დავალების შესრულებისთვის დამატებითი დროის მიცემა.) დაწყებული, ღრმა დიფერენცირებით (მაგალითად, მკვეთრად ადაპტირებული ტექსტისა და მასზე დაყრდნობილი გამარტივებული დავალების შეთავაზება მასწავლებლის სკაფოლდინგის ჩათვლით.) დასრულებული.

10. საუბარი შეკითხვების მიხედვით

მოსწავლეები რიგ-რიგობით საუბრობენ მე-17 დავალებაში მოცემული შეკითხვების მიხედვით, რომლებიც შეეხება იმავე თემატიკასა და საკითხებს, რაც დამუშავდა წინა დავალებებსა და სავარჯიშოებში. აგრეთვე, ეს დავალება მოსწავლეებს ერთგვარად ამზადებს რვეულის შემდგომი სავარჯიშოებისთვის, რაც ზაფხულში გადახდენილი ამბების აღწერა-დაწერას გულისხმობს.

11. ზაფხულის ერთი დღის წერილობით გადმოცემა

სრულდება რვეულის მე-18, მე-19 და მე-20 სავარჯიშოები, რომლებიც ერთმანეთს ლოგიკურად ებმის. კერძოდ, ჯერ კონკრეტული ზმნური ფორმები აქტიურდება შესაბამის წინადადებებში ისე, რომ იყენებენ უწყვეტლის ფორმასაც, რაც გამოადგებათ წერითი დავალების შესრულებისას. შემდეგ, მე-19 სავარჯიშოში ჩანახატს გააკეთებენ ზაფხულის ერთი დღის შესახებ და წარადგენენ და აღწერენ ამ ნახატს ზეპირად და ბოლოს დაწერენ „ზაფხულის ერთი დღე“. ეს ერთგვარი შემაჯამებელი დავალება იქნება, რომელიც თავს მოუყრის თემის ფარგლებში დამუშავებულ საკითხებს.

სავარჯიშოებზე მუშაობის ფორმატსა და მათთვის საჭირო დროს მასწავლებელი აქაც საკუთარი მოსწავლეების საჭიროების მიხედვით განსაზღვრავს.

წერითი დავალების შეფასებისთვის შეიძლება მასწავლებელმა გამოიყენოს შემოთავაზებული

შეფასების რუბრიკა, რომელიც გამოდგება, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებისთვის, საჭიროების მიხედვით.

დაბალი დონე	**გასაუმჯობე-სებელი დონე**	**საშუალო დონე**	**კარგი დონე**	**მაღალი დონე**
ნაშრომში არაა წარმოდგენილი ან არაადეკვატური ინფორმაციაა წარმოდგენილი.	ნაშრომში წარმოდგენილია ერთი-ორი არასათანადოდ გამართული წინადადება.	ნაშრომში შეცდომებითაა წარმოდგენილი საზაფხულო ამბავი.	ნაშრომში გასაგებადაა წარმოდგენილი საზაფხულო თავგადასავალი.	ნაშრომში შეძლებისდაგვარად ორიგინალურადაა წარმოდგენილი საკუთარი საზაფხულო თავგადასავალი
	მეტად მწირი და შეცდომებიანი ლექსიკა და ენობრივი ფორმებია გამოყენებული.	ლექსიკა არცთუ სრულია და შეცდომებიც საკმაოდაა, დაუხვეწავია ენობრივი ნორმებიც.	მცირეოდენი შეცდომებითაა გამოყენებული სათანადო ლექსიკა და ენობრივი ფორმები.	გამოყენებულია სათანადო ლექსიკა და ენობრივი ფორმები.
	სტრუქტურულად გაუმართავი და პუნქტუაციური ნორმები დარღვეულია.	დარღვეულია ნაშრომის სტრუქტურაც და პუნქტუაციური ნორმებიც ზედაპირულადაა დაცული.	უმთავრესად დაცულია სტრუქტურული და პუნქტუაციური ნორმები.	დაცულია სტრუქტურული და პუნქტუაციური ნორმები.

მე-5 თემის ქვიზი

1. ჩასვი სახელი საჭირო ბრუნვაში:

--- ზაფხულის არდადეგები სოფელში გაატარა.

ა. აისუ.

ბ. აისუს.

გ. აისუმ.

2. დაასრულე წინადადება:

გარიმ ზაფხულის განმავლობაში ბევრი ---.

ა. თამაშობს.

ბ. თამაშობდა.

გ. ითამაშა.

3. რომელია არასწორი?

ა. ბაშვები თამაშობენ.

ბ. ბავშვებმა ითამაშეს.

გ. ბავშვებმა თამაშობდნენ.

4. რომელი სიტყვა უნდა ჩავსვათ მოცემულ წინადადებაში?

პირველ სართულზე გოგონები ---.

ა. ვითამაშეთ.

ბ. დავწერეთ.

გ. ვთამაშობდით.

5. რომელია სწორი წინადადება?

ა. ზაფხულში მდინარეზე დავდიოდით.

ბ. ბავშვებმა მინდორში სადილობდნენ.

გ. დათო წრეში ბურთი თამაშობდა.

თემა 6. ახალი წელი

თემატური მიზნები:

- მოსწავლე შეძლებს საახალწლო ტრადიციების თემაზე ტექსტების წაკითხვასა და გაგებას; მოსწავლეები გაეცნობიან სხვადასხვა ქვეყნის საახალწლო ტრადიციებს; ისწავლიან საახალწლო თემასთან დაკავშირებულ ახალ ლექსიკურ ერთეულებს, ფრაზებსა და გამოიყენებენ შესაბამის კონტექსტში; მოისმენენ აუდიოჩანაწერებს და ამოიცნობენ კონკრეტულ ინფორმაციას; დაისწავლიან სიმღერას; შეძლებენ საუბარს საახალწლო ტრადიციების შესახებ;

გასააქტიურებელი გრამატიკული საკითხები:

ა) ზმნისწინები და მათი ფუნქცია წარსული და მომავალი დროების საწარმოებლად;
ბ) სადაურობის აღმნიშვნელ -ელ სუფიქსზე მუშაობა
გ) მოსწავლეები შეძლებენ ეროვნების სიტყვების გააქტიურებას.

1. თემის შინაარსისა და მიზნების გაცნობა

მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს თემის შინაარსსა და მიზნებს; იგი მათ განუმარტავს, რომ ამ თავში ისინი გაეცნობიან სხვადასხვა ქვეყნის საახალწლო ტრადიციებს, ისწავლიან ახალ სიტყვებსა და ფრაზებს, ისაუბრებენ მათ მიერ შერჩეული ქვეყნის საახალწლო ტრადიციების შესახებ; მოისმენენ აუდიოჩანაწერებს და ამოიცნობენ ინფორმაციას; დაისწავლიან სიმღერას ახალი წლის თემაზე; იმუშავებენ გრამატიკულ საკითხებზე. კონკრეტულად- შეძლებენ ეროვნების სიტყვების გააქტიურებას, იმუშავებენ სადაურობის აღმნიშვნელ სუფიქსებზე.

<u>მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურება</u>

წინარე ცოდნის მობილიზების მიზნით, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ისაუბრონ შეკითხვების მიხედვით:

- წელიწადის რომელ დროს მოდის ახალი წელი?
- გიყვართ თუ არა ახალი წლის დღესასწაული?
- თუ გიყვართ, რატომ გიყვართ.

<u>ლექსიკასა და ფრაზებზე მუშაობა</u>

ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს დააკვირვებს რვეულის #1-ა სავარჯიშოს ილუსტრაციებს. მოსწავლეები ადგენენ მათთვის უცნობი სიტყვების მნიშვნელობას. რაც მათ დაეხმარება ახალი წლის თემასთან დაკავშირებული ლექსიკის გააქტიურებასა და დასწავლაში. ეს აქტივობა მოსწავლეთა ყურადღებას მიმართავს შესასწავლი თემისკენ. ამასვე ემსახურება რვეულის #1-ბ სავარჯიშო.

მოსწავლეებს რომ გაუადვილდეთ ახალი წლის თემასთან დაკავშირებული სიტყვებისა და ფრაზების მნიშვნელობის დადგენა, მოსწავლეები მასწავლებლის მითითებით ასრულებენ რვეულის #2-ა სავარჯიშოს. ილუსტრაციებზე დაკვირვება და მოსწავლეთა მიერ მნიშვნელობის დამოუკიდებლად ამოცნობა ხელს უწყობს სიტყვების დამახსოვრებას და ამასთან სახალისოს ხდის სწავლების პროცესს.

რვეულის მორიგი სავარჯიშოების შესრულებამდე, მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს მრავლობითი რიცხვის წარმოებას (დააკვირვებს გრამატიკულ ბლოკზე მაგალითების მოხმობით),

ასაუბრებს მოსწავლეებს, რას შეიძლება აკეთებდნენ ქართველი დედები საახალწლო სუფრისთვის, შემდეგ სთხოვს, გაიხსენონ რას ამზადებენ მათთან სახლში ახალი წლის წინა დღით. შემდეგ კი სთხოვს, წინა სავარჯიშოების დახმარებით, შეასრულონ რვეულის სავარჯიშო #2, ბ, გ.

<u>მოსმენის უნარზე მუშაობა</u>

მოსმენის უნარისა და ახალი წლის თემასთან დაკავშირებული ლექსიკის მოსმენაში გააქტიურების მიზნით, მასწავლებელი ასმენინებს აუდიოჩანაწერს. რვეულის სავარჯიშო #3.

მასწავლებელი, საჭიროების მიხედვით, რამდენჯერმე ასმენინებს აუდიოჩანაწერს, შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს, შეავსონ ტექსტში გამოტოვებული ადგილები აუდიოჩანაწერის მიხედვით. შეცდომებს, თუკი ასეთი იქნება, მოსწავლეები ასწორებენ მოსასმენის მიხედვით.

მეორე ვარიანტი: მასწავლებელი ორჯერ ასმენინებს ტექსტს და მესამედ მოსწავლეები ავსებენ ნაკლულ ტექსტს ჩანაწერის პარალელურად.

<u>გრამატიკაზე მუშაობა</u>

მასწავლებელი მოსწავლეებს დააკვირვებს გრამატიკულ ბლოკზე, სთხოვს, დააკვირდნენ ზმნებს და გამოთქვან ვარაუდები, რა შეიძლება იყოს სხვა ფერით გამოყოფილი მარცვლები და რა ფუნქციითაა გამოყენებული.

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს/შეახსენებს წმნისწინის ფუნქციებს, კერძოდ, ყურადღებას ამახვილებს მომავალი დროის წარმოებასა და უზმნისწინო ფორმებზე.

მასწავლებლის მინილექციისა და მე-3 სავარჯიშოს დახმარებით, მოსწავლეები შეასრულებენ რვეულის სავარჯიშო #4-ს.

<u>წერა</u>

რვეულის სავარჯიშო #5-ა – მოსწავლეები თავიანთი სიტყვებით განმარტავენ აუდიოჩანაწერში ნახსენები კერძების მნიშვნელობას და ასრულებენ წერით დავალებას.

<u>მოსმენა</u>

სავარჯიშო # 5-ბ – მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ყურადღებით მოუსმინონ ვიდეოს და შეასრულონ დავალება.

მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ რომ გაიხსენონ და გაიმეორონ ახალ წელთან დაკავშირებული სიტყვები, ასრულებენ რვეულის სავარჯიშო # 6-ა,ბ.

ისევ ზმნის დროების გააქტიურებისთვის ასრულებენ რვეულის სავარჯიშო #8-ს.

<u>ტექსტის წაკითხვა-გაგება</u>

სანამ მოსწავლეები წაიკითხავენ წიგნში მოცემულ ტექსტს, მასწავლებელი სთხოვს მათ, დააკვირდნენ ილუსტრაციებს, ეცნობათ თუ არა ფოტოზე გამოსახული ადამიანი, თუ ეცნობათ, ისაუბრონ, რა იციან მის შესახებ. მასწავლებელი დამატებით მოკლედ ისაუბრებს ილია ჭავჭავაძის შესახებ.

ამის შემდეგ დააკვირვებს მოსწავლეებს ტექსტის ილუსტრაციაზე და სთხოვს, ივარაუდონ რის შესახებ იქნება ტექსტი.

ასევე, სასურველია, მასწავლებელმა ტექსტის წაკითხვამდე ყურადღება გაამახვილოს იმ სიტყვებზე, რომლებიც, სავარაუდოდ, არ ეცოდინებათ მოსწავლეებს. ლექსიკაზე წინასწარ მუშაობა მოსწავლეებს დაეხმარება ტექსტის წაკითხვასა და გაგებაში.

მასწავლებელი ტექსტს აკითხებს მისთვის სასურველი კითხვის სტრატეგიით (ინდივიდუალურად, ხმამაღალი კითხვის, წყვილებში კითხვის...).

ტექსტის წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები გადაამოწმებენ გამოთქმულ ვარაუდებს და შეასრულებენ წიგნის დავალება # 8-ს – უპასუხებენ შეკითხვებს, რის საშუალებითაც მასწავლებელი გადაამოწმებს ტექსტის გაგებას.

<u>გრამატიკული ბლოკი</u>

გრამატიკული საკითხების გამეორება-განმტკიცების მიზნით, მოსწავლეები ასრულებენ რვეულის სავარჯიშო #9-13-ს.

წიგნის დავალება #14 – მოსწავლეები ისაუბრებენ, რას გეგმავენ საახალწლოდ.

<u>სიმღერის მოსმენა-გაგება</u>

მასწავლებელი მოსწავლეებს ასმენინებს საახალწლო სიმღერას და სთხოვს დაასახელონ, რის შესახებაა ის. რვეულის სავარჯიშო #15

მასწავლებელი განმეორებით ასმენინებს მოსწავლეებს სიმღერას და სთხოვს შეასრულონ რვეულის სავარჯიშო #16-ა-ს. ისინი ინდივიდუალურად ავსებენ სიმღერის ტექსტის გამოტოვებულ ადგილებს იმ სიტყვებით, რომლებიც დაამახსოვრდათ. (რვეულის სავარჯიშო #16-ბ) ხოლო იმის გადასამოწმებლად, რამდენად სწორად შეავსეს, გადაამოწმებენ წიგნის 28-ე გვერდზე.(მოსწავლის წიგნში მოცემული სიმღერის ტექსტი).

სიმღერის ტექსტის ლექსიკის დასამახსოვრებლად და მრავლობითი რიცხვის წარმოებისთვის მასწავლებლის მითითებით ასრულებენ რვეულის სავარჯიშოებს ##17-18-ს. სავარჯიშოები შეიძლება შესრულდეს როგორც წყვილებში, ასევე ინდივიდუალურად.

სიმღერის ტექსტის დასასწავლად მასწავლებელი კიდევ რამდენჯერმე ასმენინებს აუდიოჩანაწერს, თან სთხოვს მოსწავლეებს აჰყვნენ სიმღერას.

ასეთი დავალებები ეხმარება მოსწავლეებს მოსმენისა და კონცენტრირების უნარების განვითარებაში. სიმღერის დასწავლა კი ხელს უწყობს როგორც ლექსიკური ერთეულების დამახსოვრებას, ასევე ქართული ენისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ბგერების სწორად წარმოთქმას.

<u>საუბარი წასაკითხი ტექსტის გარშემო</u>

მასწავლებელმა მოსწავლეთა ყურადღება წასაკითხი ტექსტისკენ რომ მიმართოს, სთხოვს მათ დააკვირდნენ წიგნის მე-20 დავალების ილუსტრაციებს და უპასუხონ მოცემულ შეკითხვებს: სასურველია, მასწავლებელმა ასაუბროს მოსწავლეები დამატებითი კითხვების დახმარებით: რა დაეხმარა მათ ქალაქების ამოცნობაში? იციან თუ არა, რომელი ნაგებობებია გამოსახული სურათებზე? რომელ ქვეყანაშია ეს ცნობილი ნაგებობები და ქალაქები?-ფორუმი

ამის შემდეგ მოსწავლეები ასრულებენ წიგნის დავალება #21-ს.

2. ტექსტის წაკითხვა

ტექსტის წაკითხვამდე სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეები „გაასეირნოს ილუსტრაციებში“, სთხოვოს, ისაუბრონ მათ შესახებ. ასევე მასწავლებელს შეუძლია დასვას შეკითხვები: იცნობენ თუ არა რომელიმე ქვეყნის საახალწლო ტრადიციებს? რომელი ქვეყნის ტრადიციებს იცნობენ? თუკი იცნობენ, ისაუბრონ მათ შესახებ.

ასეთი ტიპის აქტივობები მოსწავლეებს აღუძრავს ინტერესს წასაკითხი ტექსტის მიმართ.

მასწავლებელი მოსწავლეებს აკითხებს ტექსტს მისთვის სასურველი კითხვის სტრატეგიის გამოყენებით. მაგ., წაიკითხონ ტექსტი ხმამაღლა მონაკვეთებად და შეუსაბამონ ილუსტრაციებს. – ინდივიდუალური, ფორუმი.

3. წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრება

ტექსტის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი სვამს შეკითხვებს ხუთი კითხვის – ვინ? სად? რა? როდის? რატომ? მეთოდის გამოყენებით, რომელთა საშუალებითაც, ერთის მხრივ, ამოწმებს ტექსტის გაგებას, მეორეც, ასეთი შეკითხვები ეხმარება მოსწავლეს ტექსტის გააზრებაში, ტექსტში მოცემული ინფორმაციის დახარისხებასა და ორგანიზებაში.

მოსწავლის წიგნის დავალება 22, მოსწავლის რვეულის სავარჯიშოები ##23-24 საშუალებას აძლევს მოსწავლეს, სელექციურ დონეზე გაიაზროს ტექსტი, კიდევ ერთხელ მიუბრუნდეს მას, ერთმანეთს შეადაროს, განაზოგადოს ტექსტში მოცემული ინფორმაცია და დააკავშიროს საკუთარ გამოცდილებასთან_ ისაუბროს, როგორია ახალი წელი საკუთარ სოფელში/ქალაქში. (ინდივიდუალურად) ეს კი მაღალი კოგნიტური უნარების განვითარებას უწყობს ხელს. ასევე ეხმარება ლაპარაკის უნარის განვითარებაში.

მასწავლებელს შეუძლია, უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის, მოსწავლეთათვის ინფორმაციის დახარისხებისა და საუბრის გაიოლების მიზნით, დამატებით შეავსებინოს სამყურას ფორმის დიაგრამა. ამ აქტივობის შესრულება შეუძლიათ როგორც წყვილებში, ასევე ჯგუფებში.

<u>ლექსიკის დამახსოვრება და განსხვავებულ კონტექსტში გამოყენება</u>

ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა უმნიშვნელოვანესი პროცესია ტექსტის დამუშავებისა და ზოგადად, ენის სწავლების პროცესში. მასწავლებელი, კლასის მზაობის დონიდან გამომდინარე, თვითონ განსაზღვრავს როგორ და როდის იმუშაოს ლექსიკაზე.

სასურველია, მასწავლებელმა ლექსიკის დამუშავების აქტივობები განახორციელოს წაკითხვამდე ფაზაში, რაც არაქართულენოვან მოსწავლეებს გაუიოლებს ტექსტის წაკითხვისა და გაგება/გააზრების პროცესს.

მასწავლებელი არ აწვდის სიტყვების მზამზარეულ განმარტებებს. ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობებს ადგენენ ერთობლივად. მასწავლებელს აქვს არჩევანი ლექსიკაზე მუშაობისას გამოიყენოს სხვადასხვა სტრატეგია. როგორებიცაა: „სიტყვების გამომძიებელი“, ილუსტრირებული ლექსიკონი, სიტყვის ფუძიდან/კონტექსტით ამოცნობა და სხვ.

მოსწავლეები ასრულებენ რვეულის 25-ე სავარჯიშოს. ილუსტრირებული ლექსიკონი მოსწავლეთათვის სახალისოსა და მარტივს ხდის სიტყვის მნიშვნელობის დადგენის პროცესს.

მასწავლებელმა მოსწავლეები სასაუბროდ რომ შეამზადოს, მოსწავლეები იხსენებენ სინონიმურ/ანტონიმურ წყვილებს და ადგენენ ფრაზებს. ასრულებენ სავარჯიშოებს რვეულში. სავ.26-27 ა, ბ.

<u>გრამატიკა</u>

ვიდრე მოსწავლეები შეასრულებენ რვეულის გრამატიკულ სავარჯიშოს # 28-ს, მასწავლებელი მოსწავლეებს დააკვირვებს წარმომავლობის სახელების წარმოების ცხრილზე (მაგ.ცხრ.) და სთხოვს მათ დაასახელონ, რა აქვთ საერთო მეორე სვეტში მოცემულ სიტყვებს, მათი აზრით, როგორ ცვლის პირველ სვეტში მოცემულ სიტყვებს ეს ბოლოსართები. ამის შემდეგ სასურველია, მასწავლებელმა თვითონ შეაჯამოს საკითხი.

ქვეყანა	ეროვნება
საქართველო	ქართვ**ელი**
ამერიკა	ამერიკ**ელი**
ინგლისი	ინგლის**ელი**
იტალია	იტალი**ელი**
უნგრეთი	უნგრ**ელი**

შემაჯამებელი დავალება

(უნარი — კითხვა, ლაპარაკი)

ინსტრუქცია:

მოიძიე ინფორმაცია ინტერნეტში სხვა ქვეყნებში (ჩინეთი, ბრაზილია, საფრანგეთი, ინდოეთი, იაპონია, თურქეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, სხვა...) ახალი წლის ტრადიციების შესახებ.

აირჩიე ერთი რომელიმე ქვეყანა, რომელიც შენ ყველაზე მეტად გაინტერესებს და უპასუხე შეკითხვებს:

1. როდის აღნიშნავენ ახალ წელს?
2. როგორ და სად ხვდებიან მას?
3. როგორ რთავენ სახლსა და ქუჩებს?
4. რა აქვთ სუფრაზე?
5. ჩუქნიან თუ არა ერთმანეთს საჩუქრებს?
6. სხვა რა საინტერესო ტრადიციები აქვთ ახალ წელთან დაკავშირებით?
7. რით ჰგავს მათი ახალი წელი ჩვენი ქვეყნის ახალ წელს და რით განსხვავდება?

დავალების მიზანია, მოსწავლემ შეძლოს ინფორმაციის ამოკითხვა, გაგება-გააზრება უცნობი ტექსტიდან ნაცნობ თემატიკაზე. ეს დავალება უნდა შესრულდეს ინტერნეტის გამოყენებით. თუ მოსწავლეებს ინტერნეტთან მუშაობისა და საჭირო ინფორმაციის მოძიებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები არ გააჩნიათ, მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მათ.

მე-6 თემის ქვიზი

1. შემოხაზე სწორი პასუხი.

I. პირველ იანვარს ცხელა:

ა. ინგლისში; ბ. იტალიაში; გ. ავსტრალიაში.

II. ძველ ნივთებს ფანჯრიდან ისვრიან:

ა. იტალიაში; ბ. ავსტრალიაში; გ. ინგლისში.

III. ახალ წელს ბავშვებს ულოცავს თოვლის ბებია:

ა. ავსტრალიაში: ბ. ინგლისში; გ. იტალიაში.

IV. შემოხაზე სწორი ვარიანტი.

ა. ფიფქები ვარდება ბ. ფიფქები ცვივა გ. ფიფქი ცვივა

2. დააკავშირე ერთმანეთთან.

იტალიელი	ახალი წელი
ავსტრალიური	თოვლის ბებია
ინგლისური	კარნავალი
ავსტრალიელი	სანტა კლაუსი

თემა 7. კვება და ჯანმრთელობა

თემატური მიზნები:

მოსწავლეები შეძლებენ

- სწორი კვებისა და ჯანმრთელობის თემაზე საჭირო ლექსიკის, მათ შორის სინონიმური და ანტონიმური წყვილების ათვისებას;
- ექიმთან ვიზიტის შესახებ დიალოგისა და სწორი კვების შესახებ ტექსტის გაგება-გააზრებას;
- კომიქსიდან და ილუსტრაციიდან კონკრეტული ინფორმაციების ამოკრებას და მათ მიხედვით საუბარს;
- ზმნის საწყისი და პირიანი ფორმების ერთმანეთისგან გარჩევას;
- ზმნისწინების მნიშვნელობის გაგებას და თემის ნაცნობი ზმნების მყოფადის წარმოების ათვისებას. საუბარს იმაზე, თუ რა არის ჯანმრთელობისთვის სასარგებლო და რა – საზიანო;
- მყარ კონსტრუქციებზე დაყრდნობით თავიანთი აზრის წერილობით გადმოცემას თემის ფარგლებში სამსჯელო საკითხებზე.

1. თემის შინაარსისა და მიზნების გაცნობა

მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება, რომ ამ თავში ისწავლიან ჯანმრთელობასა და კვებასთან დაკავშირებულ ახალ სიტყვებს, ისწავლიან, როგორ ისაუბრონ ექიმთან და გაიგებენ, რა უნდა ჭამონ იმისათვის, რომ უფრო ჯანმრთელები იყონ. ისინი ასევე შეძლებენ, დაწერონ თავიანთი მოსაზრებები სწორი კვების შესახებ.

2. კომიქსისა და აუდიოჩანაწერის გაგება-გააზრება

მოსწავლეები კითხულობენ კომიქსს (წიგნის დავალება 1) და პასუხობენ შეკითხვებს ფორუმში. ეს დავალება ემსახურება როგორც წინარე ცოდნის გააქტიურებას ჯანმრთელობის თემაზე, ისე ახალი სიტყვებისა დ ა ფრაზების ათვისებას. ახალ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა გრძელდება აუდიოჩანაწერშიც, რომელიც დათოს ექიმთან ვიზიტს ასახავს. წიგნის დავალება 2 და რვეულის სავარჯიშოები 3 და 4 აუდიოჩანაწერის გლობალური გაგების დავალებებია, ხოლო რვეულის სავარჯიშოები 3-6 სელექციურ გაგებისა და ლექსიკური ერთეულების განმტკიცებისთვისაა გამიზნული. სავარჯიშო 5 ნიადაგს ამზადებს მყოფადის წარმოების ათვისებისათვის. სავარჯიშოში გამოტოვებული ზმნები მყოფადის მწკრივისაა და მათი ლექსიკური მნიშვნელობის გათავისების შემდეგ მოსწავლე გრამატიკულ ფორმაზე დაიწყებს დაკვირვებას. სავარჯიშო 6 კი ერთდროულადაა როგორც გრამატიკული საკითხის ათვისების დამხმარე, ისე ლექსიკის განმტკიცებისათვის გამიზნული.

3. გრამატიკულ საკითხზე მუშაობა

მომდევნო სავარჯიშოები (7,8,9) გრამატიკულ ბლოკთან ერთად (დააკვირდი) მოსწავლეს დააკვირვებს ნაცნობი ზმნების მყოფადის მწკრივის ფორმების წარმოებაზე და აცნობს ზმნისწინებს, როგორც მყოფადის წარმოების ერთ-ერთ გზას. ამ ეტაპზე მასწავლებელმა ჯერ გრამატიკულ ბლოკზე უნდა გაამახვილოს ყურადღება და ეცადოს, რომ შეკითხვების საშუალებით გრამატიკული სქემა გააზრებინოს მოსწავლეებს, მაგალითად, მასწავლებელს შეუძლია დასვას შემდეგი ტიპის შეკითხვები: რა განსხვავებაა პირველი და მეორე სვეტის ფორმებს შორის? რომელია პირველ ზმნაში ზმნისწინი? მეორეში? მესამეში?

ამის შემდეგ შესაძლოა მასწავლებელმა სთხოვოს მოსწავლეებს თავისი სიტყვებით ჩამოაყალიბონ, როგორ იწარმოება მომავალი დრო. ცხადია, მოსწავლეებს დასჭირდებათ მშობლიური ენის მოხმობაც, რათა ეს კანონზომიერება გარკვეული „წესად“ ჩამოაყალიბონ.

გარდა ამისა, აუცილებელია, რომ გრამატიკული სავარჯიშოების შესრულებისას მოსწავლეებს ჰქონდეთ გრამატიკულ ბლოკში ჩახედვის საშუალება.

4. ილუსტრაციის მიხედვით საუბარი

დავალება 10 მოსწავლეებს ეხმარება როგორც ინფორმაციის ამოკრების უნარის განვითარებაში, ისე ზეპირმეტყველებაში. მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება, რომ აქ არის ყველა ის პროდუქტი ჩამოთვლილი, რომელიც ჯანსაღი კვებისთვისაა საჭირო. შეკითხვებზე პასუხამდე მოსწავლეები ჩამოთვლიან ყველაფერს, რასაც ხედავენ ილუსტრაციაზე. თუ რომელიმე სიტყვა მოითხოვს დაზუსტებას, მასწავლებლის დახმარებით ირკვევა მისი მნიშვნელობა. ასევე, გარდა ამისა, შესაძლოა, მოსწავლეებმა არ იცოდნენ სიტყვა პირამიდის მნიშვნელობა, რაც ასევე უნდა განიმარტოს მასწავლებლის მხრიდან. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ყველა შეკითხვას გასცემენ პასუხს, შესაძლოა, მასწავლებელმა რამდენიმე მათგანს სთხოვოს, გააერთიანოს პასუხები და ისაუბროს გაბმულად, თუ რა არის ჯანსაღი კვება. სავარაუდოდ, ამგვარი მეტყველება მოსწავლეებს გაუჭირდებათ და ეს გასაკვირი არცაა. სინამდვილეში ეს არ იქნება გაბმული მეტყველება, მაგრამ მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მათ ჰქონდეთ იმის განცდა, რომ საუბრობენ მეორე ენაზე. აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მხოლოდ დახურულ შეკითხვებზე პასუხი არ არის გაბმულად ამეტყველების წინაპირობა. სწორედ ამიტომ შეკითხვებში ჩართულია ღია შეკითხვაც.

შენიშვნა: ზოგადად, წერა და საუბარი პროდუქტული უნარებია და ამიტომ, უმეტესად მათი შესაბამისი დავალებები თემის ბოლოსკენ უნდა მოთავსდეს, მას შემდეგ, რაც გაგებისა და ვარჯიშის დავალებები საკმარისი მოცულობით შესრულდება, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ილუსტრაცია ერთდროულადაა რეცეფციაც და პროდუცირების მცდელობაც. მოცემულ სახელმძღვანელოში ზოგიერთ სხვა შემთხვევაშიც წააწყდებით რუბრიკას „ისაუბრე“ თემის დასაწყისში, რაც არამცდარამც არ ნიშნავს იმას, რომ მოსწავლეს მოეთხოვება თემის გარშემო პირდაპირ სრულყოფილად საუბარი. ეს ერთგვარი გამოწვევაა, ხოლო საკუთრივ პროდუცირებისთვის უმეტესად თავის ბოლოსკენ არის ხოლმე წარმოდგენილი დავალებები.

5. ტექსტის წაკითხვისთვის შემამზადებელი დავალებები

რვეულში მოცემული მე-11 და მე-12 სავარჯიშოები ტექსტის წაკითხვისთვის შემამზადებელი დავალებებია. კერძოდ, ილუსტრაციის მიხედვით აქტიურდება სხეულის ნაწილების ნაცნობი სახელები და ჩნდება ტექსტის რამდენიმე ახალი ლექსიკური ერთეული. ხოლო მე-12 სავარჯიშო მოსწავლეებს ერთმანეთისგან განარჩევინებს ტექსტისთვის საკვანძო, უმრავლესად ნაცნობ ზმნებსა და მათ შესაბამის ზმნის პირიან ფორმებს. რვეულის მორიგი სავარჯიშოების შესრულებამდე, მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს მრავლობითი რიცხვის წარმოებას (დააკვირვებს გრამატიკულ ბლოკზე მაგალითების მოხმობით).

6. ტექსტის გაგება-გააზრება

ტექსტის წაკითხვამდე მასწავლებელი მოსწავლეებს ყურადღებას მიაქცევინებს გვერდის მინდვრებზე მოცემულ სიტყვების განმარტებებზე. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა სიტყვებზე ტექსტის წაკითხვამდე ავარჯიშოს მოსწავლეები. ამით ტექსტი განიტვირთება და იოლად გასაგები გახდება. შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს „სწორი კვება დ ა ჯანმრთელობა“

და ასრულებენ დავალება 13 -ს. შეკითხვები ექსპლიციტური ინფორმაციის ამოცნობას ემსახურება და შესაბამისად, მარტივია.

ტექსტის სელექციური გაგებისა და გაგზრებისათვის რვეულში მოსწავლეები ასრულებენ 14 - 16 სავარჯიშოებს. მე -15 სავარჯიშოში მათ უნდა დააკავშირონ სიტყვები ისე, რომ მიიღონ ფრაზები და შემდეგ კი მე-16 სავარჯიშოში გამოიყენონ ეს ფრაზები გამოტოვებული ადგილების შესავსებად. აღნიშნული სავარჯიშო აერთიანებს ტექსტის გაგებას და ერთგვარი ტრანსფერია.

7. გრამატიკულ საკითხზე მუშაობა (გაგრძელება)

მასწავლებელი მოსწავლეებს დააკვირვებს და ამსჯელებს წიგნის 35-ე გვერდზე მოცემულ გრამატიკულ ბლოკზე.

<u>შეკითხვები გრამატიკული ბლოკის გაგებისათვის:</u>

ა) რა ხერხებით იწარმოება მყოფადის ფორმები? ჩამოთვალეთ

ბ) რა ხდება, როდესაც მყოფადი ზმნისწინით იწარმოება?

გ) რომელი ზმნისწინები გვაქვს ქართულში?

გ) როგორი დაბოლოება აქვს უზმნისწინო მყოფადს?

დ) რატომ არის გ პუნქტში ჩამოთვლილი ზმნები გამონაკლისები?

მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ამ და სხვა შეკითხვებზე მოსწავლეებს ვერ ექნებათ ზუსტი და ჩამოყალიბებული პასუხი, რადგან გრამატიკული ცნებების სწავლება თეორიული სახით ამ ასაკში შეუძლებელია, ამიტომ აღნიშნული სამუშაოს მიზანი არა თეორიის დასწავლა, არამედ ზმნათა ფორმებზე დაკვირვება და მათი შაბლონად მიჩნევაა. მას შემდეგ, რაც საკმარისად ისაუბრებენ მოსწავლეები და მასწავლებელი გრამატიკული ბლოკის ირგვლივ, სრულდება სავარჯიშოები 17 და 18.

უკეთესია, ისინი მოსწავლეებმა შეასრულონ ინდივიდუალურად, რათა დავრწმუნდეთ, რომ ყველა მოსწავლემ სწორად გაიგო, როგორ „გააკეთოს“ მომავლის ფორმა შაბლონის მიხედვით.

8. წერა

მე-14 სავარჯიშოს ბ ნაწილი წერითი უნარის განვითარებისთვისაა, ვინაიდან მოსწავლემ საკუთარი აზრი უნდა ჩამოაყალიბოს. მასწავლებელმა უნდა წაახალისოს მოსწავლეები, რომ მათ თუნდაც შეცდომებით, მაგრამ რაც შეიძლება მეტად განავრცონ წინადადებები. სავარჯიშოში მოცემული საყრდენები მათ დაეხმარება დაფიქრდნენ ჩამოსაყალიბებელი ტექსტის შემოქმედებით ნაწილზე, ანუ იმაზე, რაც უშუალოდ მათი მოსაფიქრებელია.

9. ზეპირმეტყველებაზე მუშაობა

როგორც მანამდეც აღინიშნა, წერა და ლაპარაკი პროდუქტული უნარებია და მათი ამსახველი დავალებები ძირითადად მას შემდეგ უნდა შევთავაზოთ მოსწავლეს, რაც იგი კარგად ამოწურავს გაგების და ვარჯიშის დავალებებს. წიგნის მე-19 დავალება მოსწავლეებს სთხოვს, შეატრიალონ ტექსტი და ილაპარაკონ, რა არის სასარგებლო (საზიანოს ნაცვლად). ამ დავალების შესრულებისას მოსწავლეებს მოუწევთ შეცვალონ და დაამატონ სიტყვები და ფრაზები ტექსტის ძირითად ქარგას. მასწავლებელს შეუძლია შეკითხვებითა და ჩართვებით დაეხმაროს მოსწავლეს გაბმულ მეტყველებაში, ოღონდ ისე, რომ არ დათრგუნოს მისი მოტივაცია.

განმავითარებელი შეფასების რუბრიკა თემისთვის (ნიმუში)

განმავითარებელი შეფასების მიზანია, გადაამოწმოს სწავლების პროცესის წარმატებულობა და სწრაფად გამოავლინოს ხარვეზები და სისუსტეები. ეს პროცესი მასწავლებელს საშუალებას აძლევს, საჭიროებისამებრ მართოს და ცვალოს სწავლების სტრატეგიები.

შეკითხვები კი ან არა ბარათებით

მოსწავლეებს აქვთ ორი ტიპის ბარათები, რომელზეც დიდი ასოებით წერია კი ან არა. მასწავლებელი გაკვეთილის მიმდინარეობისას სვამს შეკითხვებს და ისინი აჩვენებენ იმ ბარათს, რომელსაც სწორად ჩათვლიან. მაგალითად, ტექსტის წაკითხვის შემდეგ (კვება და ჯანმრთელობა, წიგნი, გვ.) შეიძლება დაისვას შემდეგი შეკითხვა:

სწორია თუ არა, რომ

ა) სწორი კვება ჯანმრთელობას აზიანებს.

ბ) თუ საკმარისად გძინავს, უფრო ჯანმრთელი ხარ

გ) რვა საათის შემდეგ ჭამა არ არის სასარგებლო და. ა.შ.

თითოეული წინადადების დასრულებისთანავე მოსწავლეები მასწავლებელს აჩვენებენ ბარათებს და მასწავლებლისთვის სწრაფად ხდება ცხადი, ვის სჭირდება დახმარება ტექსტის გაგებაში.

ასევე, განმავითარებელი შეფასებისას შეგვიძლია გამოვიყენოთ ფერადი ბარათები, რომელიც დამოუკიდებელი მუშაობისას გამოადგებათ მოსწავლეებს. მწვანე ბარათი ნიშნავს „მე კარგად ვმუშაობ, პრობლემა არ მაქვს“, წითელი – „დახმარება მჭირდება“. ეს ინსტრუმენტი გამოდგება გრამატიკული დავალებების, წერითი დავალებების თუ სხვა ნებისმიერი დამოუკიდებელი მუშაობის დროს. მასწავლებელი აუცილებლად მიდის წითელბარათიან მოსწავლესთან ან რომელიმე მწვანებარათიანს სთხოვს, დაეხმაროს მეგობარს.

შემაჯამებელი დავალების ნიმუში

(უნარი – კითხვა)

ტექსტის გაგება-გააზრება ჯანმრთელობის თემაზე

I. უპასუხე შეკითხვებს:

1. რა თემაზეა ტექსტი?
2. რა არის ამ ტექსტის მიზანი?
3. რა იყო შენთვის ნაცნობი?
4. რა გაიგე ახალი?
5. რა იყო ყველაზე საინტერესო ამ ტექსტში?

II. დაწერე:

1. დაწერე სამი ახალი სიტყვა, რომლებიც ტექსტიდან გაიგე (კონტექსტის მიხედვით)
2. დაწერე სამი ახალი სიტყვა, რომლებიც ვერ გაიგე. დააზუსტე მათი მნიშვნელობა.

დავალების მიზანია, მოსწავლემ შეძლოს ჯანმრთელობის თემაზე მისთვის უცნობი ტექსტის თემისა და მიზნის ამოცნობა, ინფორმაციის ამოკითხვა, გაგება-გააზრება. ტექსტი უნდა შეარჩიოს და აუცილებლობის შემთხვევაში ადაპტირება გაუკეთოს მასწავლებელმა. ტექსტი უნდა იყოს ინსტრუქციების ან რჩევების ტიპის. ის შეიძლება იყოს ინტერვიუ ექიმთან, ან დიალოგი, ან სტატია რომელიმე ჟურნალიდან, ან სულაც ნაწყვეტი რომელიმე მხატვრული ნაწარმოებიდან.

ტექსტში გამოყენებული უნდა იყოს ნაცნობი ლექსიკა. უცხო სიტყვები დაყვანილი უნდა იყოს მინიმუმამდე. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს თავისი კლასის წინარე ცოდნა და უნარები და ისე შეურჩიოს ტექსტი. შესაძლებელია დამატებითი შეკითხვების ან ტესტის მოფიქრებაც კონკრეტული ტექსტიდან გამომდინარე.

ტექსტის ნიმუში

ჯანსაღი კვება

ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად აუცილებელია ჯანსაღი კვება.

რა არის ჯანსაღი კვება? მოვუსმინოთ ექიმის რჩევებს.

რჩევა 1 – წყალი

ყოველი კვების წინ ნახევარი საათით ადრე სასურველია ორ ჭიქამდე წყლის მიღება.

რჩევა მე-2 – ოთხჯერადი კვება

დღეში ერთხელ ან ორჯერ კვება და დიეტის დაცვა ორგანიზმისთვის კარგი არ არის. ექიმი გვირჩევს, რომ საკვები დღეში 4-ჯერ და საათობრივად მივიღოთ.

შუალედები ყოველი ულუფის მიღებას შორის 3-დან 3,5 საათამდე უნდა იყოს. სასურველია, 7 საათზე გვიან არ ვივახშმოთ.

რჩევა მე-3 – საუზმე

ექიმის თქმით, საუზმე აუცილებელია. მისი გამოტოვება არ შეიძლება. დილით სასურველია ბურღულეულის, წიწიბურას, მოხარშული კვერცხის, რძის პროდუქტების, ბუტერბროდის მიღება კარაქითა და ყველით, ან ცოტა თაფლით.

რჩევა მე-4 – ხილის მიღება

ხილის მიღება დღის პირველ ნახევარში და კვებამდე ჯობია, რადგან მისი მონელება ასე უფრო იოლია.

რჩევა მე-5 – სადილი

სადილზე უნდა მივირთვათ მოხარშული პროდუქტები და ბევრი ბოსტნეული. ასევე ძალიან საჭიროა თევზისა და ზღვის პროდუქტების მიღება.

რჩევა მე-6 – ბოლოს წინა კვება

ბოლოს წინა კვება ყველაზე დატვირთული უნდა იყოს. თუ დღეში ოთხჯერადად იკვებებით, მესამე კვება ყველაზე ნოყიერი უნდა იყოს. შესაძლებელია, მივიღოთ ხორცი, თევზი და მსგავსი პროდუქტები.

რჩევა მე -7 – ვახშამი

ვახშამზე რამე მსუბუქი მიირთვით – კეფირი, მაწონი, ხილი ან რამე ამგვარი.

მე-7 თემის ქვიზი

1. მიუწერე შესაბამისი სიტყვა

<u>სიმაღლე, წონა, ასაკი</u>

ა. 15 წლის –

ბ. 145 სმ –

გ. 40 კგ –

2. დააკავშირე:

ფეხით	ჭამა
ცოტა	სიარული
დიდი თეფშით	ძილი

3. ჩასვი საჭირო სიტყვა:

<u>ცუდია, ბევრი ჭამა, ცოტა სძინავს</u>

ა. --- გასუქების მიზეზია.

ბ. ღამით ჭამა ჯანმრთელობისთვის ---.

გ. ვისაც --- , მეტი ჭამა უნდა.

4. გადაიყვანე ზმნები მყოფადში

სწავლობ, ჭამ, დგები, აკეთებ, თამაშობ

5. რომელია სწორი წინადადება:

ა. ხვალ შენ ცხრა საათზე გაიღვიძე.

ბ. ხვალ შენ ცხრა საათზე გაიღვიძებ.

გ. ხვალ შენ ცხრა საათზე გაიღვიძებთ.

თემა 8. თავისუფალი დრო

თემატური მიზნები:

მოსწავლეები შეძლებენ

- თავისუფალი დროის შესახებ ტექსტების წაკითხვა-გააზრებას, აუდიომასალის მოსმენას, გაანალიზებას;
- პირად გეგმებსა და გამოცდილებაზე საუბარს და წერას;
- საწყისის გამოყენებას; ზმნების გამოყენებას აწმყოსა და წყვეტილში; ზმნის მომავალი დროის ფორმების წარმოებას და გამოყენებას;

1. თემის შინაარსისა და მიზნების გაცნობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს თემის ზოგად შინაარსს და მიზნებს. კერძოდ, ის განუმარტავს მოსწავლეებს, რომ ისაუბრებენ თავისუფალი დროის შესახებ; წაიკითხავენ ტექსტებს და თავადაც დაწერენ.

ილუსტრაციების დახმარებით გააქტიურდება თემის შესაბამისი ნაცნობი ლექსიკური ერთეულები. სავარაუდოდ, ესენი იქნება საწყისები და შესიტყვებები: სეირნობა, თამაში, ტელევიზორის ყურება, მუსიკის მოსმენა; ზმნები: მაქვს, მიყვარს, ვატარებ, მომწონს, მივდივარ... მოსწავლეები არსებულ ცოდნასა და გამოცდილებზე დაყრდნობით ისაუბრებენ, როგორ ატარებენ თავისუფალ დროს. აქტივობა ემსახურება მოსწავლეებში ინტერესის აღძვრას და მოტივაციის ამაღლებას, ხოლო მასწავლებელს აძლევს საშუალებას, დააკვირდეს, რამდენად მზად არიან მოსწავლეები თემის ასათვისებლად და განსაზღვროს მათი საჭიროებები.

2. ფრაზების შედგენა

აქტივობის მიზანია (მოსწავლის რვეული, სავ.2,) სიტყვების დაწყვილებით ფრაზების შედგენა, რომლებიც გამოხატავს სხვადასხვა აქტივობას. საჭიროა, მე-2 სავარჯიშო ფორუმში შეჯერდეს, რათა გამოირიცხოს სიტყვების მცდარად დაკავშირების რისკი.

3. საკუთარ გამოცდილებაზე საუბარი

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გაიხსენონ, როგორ ატარებენ თავისუფალ დროს და უკვე შედგენილი ფრაზების დახმარებით შეავსონ სქემა, შემდეგ კი ისაუბრონ (მოსწავლის რვეული, სავ.3). ეს უკანასკნელი უნდა შესრულდეს ინდივიდუალურად. სქემა მოსწავლეს საშუალებას აძლევს, გრამატიკულად სწორად გადმოსცეს, რას აკეთებს თავისუფალ დროს. თუ მოსწავლე მოისურვებს ისეთ აქტივობაზე საუბარს, რომელიც არ არის შედგენილ ფრაზებში, მასწავლებელმა აუცილებლად უნდა წაახალისოს ის ამ გამბედაობისთვის, შეცდომის არსებობის შემთხვევაში კი ერთად გაასწორონ ის.

4. ტექსტის წაკითხვა-გააზრება გლობალურ დონეზე

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს მითითებას, რომ წაიკითხონ ტექსტი და უპასუხონ შეკითხვებს (მოსწავლის წიგნი, დავ. 4, 21). აღნიშნული აქტივობა გლობალური ინფორმაციის გაგებას ისახავს მიზნად. ტექსტის წაკითხვის ორგანიზების ფორმას არჩევს მასწავლებელი, საჭიროებიდან გამომდინარე.

5. ტექსტის გაგება-გააზრება სელექციურ დონეზე

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს მითითებას, კიდევ ერთხელ წაიკითხონ ტექსტი და შეასრულონ დავალებები (მოსწავლის რვეული, სავარჯიშო 5, 22, 23, 24, 25), რომლებიც მოიცავს შეკითხვებზე პასუხის გაცემას, ინფორმაციის დახარისხებას, პასუხისთვის არგუმენტის მოძიებას. მოსწავლეთა პასუხები მასწავლებელს აძლევს საშუალებას, დაადგინოს — რამდენად გაიგეს მათ ტექსტი სელექციურ დონეზე. რეკომენდებულია, სავარჯიშო შეჯერდეს ფორუმში.

6. გრამატიკულ ფორმებზე დაკვირვება და ინფორმაციის დახარისხება

ამ დავალების მიზანია, მოსწავლე დააკვირდეს ნიმუშებს (მოსწავლის რვეული, სავ. 6): ფეხბურთის თამაში / ფეხბურთს თამაშობს. შესაბამისად, ცხრილში თითოეულის ქვეშ ჩაწეროს მსგავსი კონსტრუქციები. აქ მასწავლებელს დასჭირდება მინილექცია და სხვა მაგალითების მოხმობა, მათ შორის განსხვავების საჩვენებლად.

7-8-9. გრამატიკულ კონსტრუქციებზე მუშაობა

მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს, რომ ყურადღებით წაიკითხონ გრამატიკული ცხრილები (მოსწავლის წიგნი, დავ. 7), რომლებშიც ჩანს :

ა) როგორ შეეწყობა აწმყოში ზმნა სახელებს (სუბიექტს და ობიექტს) ბრუნვაში (რეზო /გურამი ფეხბურთს თამაშობს)

ბ) საწყისის გამოყენება მოსწონს/უყვარს ტიპის ზმნებთან (რეზოს / გურამს უყვარს ფეხბურთის თამაში)

გ) კონსტრუქცია მოქმედებითი ბრუნვის გამოყენებით: რეზო / გურამი ბურთით თამაშობს. რეზოს / გურამს უყვარს ბურთით თამაში.

დ) ზმნა, რომელიც განსხვავებული წესით ურთიერთობს სახელებთან — პური მოაქვს, რადგან შესაძლებელია წინა მაგალითების ანალოგიით მოსწავლემ სწორად მიიჩნიოს — „რეზო პურს მოაქვს“, ნაცვლად — „რეზოს პური მოაქვს“. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა სათანადო ყურადღება მიაქციოს ამ მაგალითს.

მოსწავლის რვეულის მე-8 და მე-9 დავალებები ამოწმებს, რამდენად გაიგო მოსწავლემ წინა დავალებებში ახსნილი გრამატიკული კანონზომიერება და რამდენად შეუძლია მისი გამოყენება ტექსტის შინაარსის გადმოცემისას. მე-8 დავალებაში მოსწავლემ საჭირო ბრუნვაში უნდა ჩასვას სახელი; მე-9 დავალებაში კი, პირიქით, მოცემულია სახელი სახელობით ან მიცემით ბრუნვაში, ხოლო მოსწავლემ უნდა შეუსაბამოს საჭირო გრამატიკული კონსტრუქცია.

სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს შეადგენინოს მსგავსი წინადადებები.

10. ზმნის ფორმაცვალებაზე დაკვირვება

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს ნიმუშს— როგორ ხდება ზმნების მე-3 პირიდან პირველ პირში გადაყვანა (მოსწავლის რვეული, სავ 10). ნიმუშის დახმარებით მოსწავლეებს ყველა ზმნა გადაჰყავთ პირველ პირში. მოწმდება შესრულებული დავალება.

11. ზეპირ და წერით მეტყველებაში გავარჯიშება

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს მითითებას (მოსწავლის რვეული, სავ.11) გამზადებული ფორმების და უკვე შესწავლილი კონსტრუქციების დახმარებით ჯერ ისაუბრონ, ხოლო შემდეგ დაწერონ ტექსტი პირველ პირში — „როგორ ვატარებ თავისუფალ დროს?“ ანალოგიურად, ისაუბრებენ და დაწერენ ტექსტს მომავალი დღის შესახებ, უახლოეს გეგმებზე (მოსწავლის რვეული, სავ.19), შეძლებენ პერსონაჟისა და საკუთარი განვლილი დღის შესახებ საუბარს (მოსწავლის რვეული, სავ. 29).

12. აუდიოტექსტის მოსმენა-გაგება გლობალურ დონეზე

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს მითითებას, მოუსმინონ აუდიოტექსტს და შეასრულონ დავალება (მოსწავლის რვეული, სავ. 12). ამოცანის გაადვილების მიზნით, სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს წინასწარ მისცეს დავალების გაცნობის საშუალება, რაც მათ დაეხმარებათ, მოსმენის დროს საჭირო დეტალებზე გაამახვილონ ყურადღება. პირველი მოსმენის მიზანია, მოსწავლემ ამოიცნოს მთავარი ინფორმაცია. ცხრილში მონიშვნით იმიჯნება სწორი და არასწორი ინფორმაცია. დავალება სრულდება ინდივიდუალურად.

13. ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს მითითებას, დავალებაში მოძებნონ და დააკავშირონ ანტონიმური წყვილები (მოსწავლის რვეული, სავ, 13); დავალებაში მოცემული ლექსიკური ერთეულებიდან აარჩიონ კონკრეტული სიტყვის სინონიმები (მოსწავლის რვეული, სავ. 26). აქტივობების მიზანია წასაკითხი თუ მოსასმენი ტექსტების გაგებისთვის საჭირო ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობების დაზუსტება. აქტივობის ორგანიზების ფორმას ირჩევს მასწავლებელი.

14-15. აუდიოტექსტის გაგება სელექციურ დონეზე

მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს, წაიკითხონ წინადადებები (მოსწავლის რვეული, სავ 14), შემდეგ მეორედ მოისმინონ აუდიოტექსტი და ამ წინადადებებში განასხვაონ სწორი და არასწორი ინფორმაცია; მე-15 სავარჯიშოში კი სწორად დაწერონ მცდარი ინფორმაცია. აქტივობის ორგანიზების ფორმას წყვეტს მასწავლებელი, საჭიროებიდან გამომდინარე.

16-17. ზმნის მომავალი დროის ფორმების წარმოება

დავალება 16 (მოსწავლის წიგნი) წარმოადგენს გრამატიკულ სქემას, რომელშიც თვალნათლივ არის წარმოდგენილი ზმნების მომავალ დროში წარმოების წესი.

• სქემაში ყურადღება არის მიქცეული ზმნისწინზე, რომლის საშუალებით იწარმოება ზმნის მომავალი დროის ფორმა.

• სქემა, ასევე, ითვალისწინებს მომავალი დროის წარმოებას **ი ----- ებ** ყალიბის საშუალებით;

• სქემაში ჩანს ფუძის მონაცვლეობა (მივდივარ — წავალ) და უცვლელი ფუძე (ვუყურებ — ვუყურებ).

აქტივობის ორგანიზების ფორმას არჩევს მასწავლებელი (ფორუმი, ინდივიდუალური, წყვილებში). სასურველია, მასწავლებელმა გამოიყენოს მინილექცია და საკითხი განავრცოს სხვა მაგალითებითაც.

მე-17 სავარჯიშოს მიზანია, მოსწავლემ თვითონ შეძლოს ზმნის მომავალი დროის ფორმების წარმოება.

20. ილუსტრაციაზე დაკვირვება და გონებრივი იერიში

აქტივობის (მოსწავლის წიგნი, დავ. 20) მიზანია მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლება და ინტერესის გაღვივება წასაკითხი ლექსის მიმართ. მასწავლებელი მოსწავლეთა ყურადღებას მიაქცევს ილუსტრაციაზე და არსებული თუ დამატებითი შეკითხვების საშუალებით (მაგ., რა აცვია ბიჭს? რა აქვს ბიჭს? რატომ აქვს ხელები შუბლზე მიდებული?) არკვევს მოსწავლეთა მოლოდინს ახალი ტექსტის მიმართ.

ორგანიზების ფორმად, უმჯობესია, შეირჩეს ფორუმი.

21. პრობლემაზე ორიენტირებული შეკითხვები

მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს შეკითხვას. მოსწავლემ უნდა უპასუხოს შეკითხვას და დაასაბუთოს, რატომ ფიქრობს ასე (მოსწავლის რვეული, სავ.27). აქტივობის მიზანია, მოსწავლემ სწორად გაიაზროს ტექსტში არსებული პრობლემა, რათა გამოირიცხოს სწავლისადმი ნეგატიური განწყობის ჩამოყალიბების რისკი. ამ შემთხვევაში უმნიშვნელოვანესია მასწავლებლის მიერ სწორად დასმული დამატებითი შეკითხვების როლი, რომლებიც სწორი დასკვნების გამოტანაში დაეხმარება მოსწავლეს; რომ სკოლა და სწავლა კი არ არის უარყოფითი მოვლენა, არამედ მოსწავლისთვის შეუსაბამო გრაფიკი და თავისუფალი დროის უქონლობა.

შეკითხვების ნიმუშები:

• როგორი მოსწავლეა რეზო? (პასუხი დაასაბუთე)

• რეზოს სწავლა ეზარება? (პასუხი დაასაბუთე)

• შენი აზრით, როგორ ისწავლის რეზო, თუ უფრო მეტი თავისუფალი დრო ექნება? რატომ ფიქრობ ასე?

აქტივობა ხელს უწყობს არგუმენტული მსჯელობის უნარის განვითარებას. აქტივობის ორგანიზების ფორმად რეკომენდებულია ფორუმი.

შემაჯამებელი ტესტი

1. ლექსის („რეზოს წუხილი“) მიხედვით, მონიშნე სწორი ინფორმაცია:

ა. რეზოს თითქმის არ აქვს თავისუფალი დრო;

ბ. რეზოს აქვს ბევრი თავისუფალი დრო;

გ. რეზოს იმედი აქვს, რომ საღამოს გაერთობა.

2. შემოხაზე სწორი წინადადება:

ა) რეზოს უყვარს ფეხბურთს თამაშობს.

ბ) რეზოს უყვარს ფეხბურთის თამაში;

გ) რეზო უყვარს ფეხბურთის თამაში.

3. დაასრულე წინადადება:

შაბათს რეზო ----.

ა. ფილმებს ყურება;

ბ. ფილმების ყურება;

გ. ფილმებს უყურებს.

4. შემოხაზე არასწორი წინადადება:

ა. ხვალ რეზო მეგობარს ეხმარება;

ბ. ხვალ რეზო ფეხბურთს ითამაშებს;

გ. ხვალ რეზო სერიალს უყურებს.

5. შემოხაზე სწორი წინადადება:

ა. მე მარკეტში ვყიდულობ პური;

ბ. მე მარკეტიდან მომაქვს პურს;

გ. მე მარკეტიდან მომაქვს პური.

თემის ფარგლებში მისაცემი შესაძლო საშინაო დავალებების ნიმუშები

1. წინადადებების შედგენა ზმნის საწყისი ფორმების გამოყენებით;
2. წინადადებების შედგენა ახლანდელ დროში;
3. წინადადებების შედგენა მომავალ დროში;
4. წინადადებების შედგენა წყვეტილში;
5. აღწერე რეზოს თავისუფალი დრო (ტექსტის მიხედვით);
6. აღწერე შენი თავისუფალი დრო;
7. ლექსის მიხედვით აღწერე რეზოს ერთი ჩვეულებრივი დღე;
8. აღწერე შენი ერთი ჩვეულებრივი დღე;
9. აღწერე შენი ხვალინდელი დღის გეგმა.

მე-8 თემის ქვიზი

1. აირჩიე სწორი პასუხი:

I. რეზოს თავისუფალი დრო აქვს

ა) ორშაბათს;

ბ) კვირას;

გ) ყოველთვის.

II. თავისუფალ დროს რეზო

ა) მხოლოდ თამაშობს და ერთობა;

ბ) მხოლოდ დედას ეხმარება;

გ) ხან ერთობა, ხან დედას ეხმარება.

2.ლექსის მიხედვით, მონიშნე სწორი ინფორმაცია:

ა) რეზოს თითქმის არ აქვს თავისუფალი დრო;

ბ) რეზოს აქვს ბევრი თავისუფალი დრო;

გ) რეზოს იმედი აქვს, რომ საღამოს გაერთობა.

4.შემოხაზე სწორი წინადადება:

ა) რეზოს უყვარს ფეხბურთს თამაშობს.

ბ) რეზოს უყვარს ფეხბურთის თამაში;

გ) რეზო უყვარს ფეხბურთის თამაში.

5. დაასრულე წინადადება:

<u>შაბათს რეზო</u>

ა) ფილმებს ყურება;

ბ) ფილმების ყურება;

გ) ფილმებს უყურებს.

თემა 9. საყვარელი შინაური ცხოველი

თემატური მიზნები:

- მოსწავლეები შეძლებენ შინაური ძაღლების შესახებ მცირე საინფორმაციო ტექსტების წაკითხვასა და გაგებას, მათ შესახებ საუბარსა და აღწერაა, მცირე განცხადებების შექმნას დაკარგული ცხოველის შესახებ.
- გამოიყენებენ ზედსართავი სახელების წარმოების წესებს: თეთრი – მოთეთრო...

1. თემის შინაარსისა და მიზნების გაცნობა

მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს თემის ზოგად შინაარსს და მიზნებს. იგი ეუბნება, რომ ამ თემის ფარგლებში ისინი ნახავენ ძაღლებს, აღწერენ და ისაუბრებენ ძაღლებზე.

2. განცხადებების დაკავშირება ილუსტრაციებთან

მოსწავლეები კითხულობენ განცხადებებს ძაღლების შესახებ და ამოიცნობენ იქვე დახატული რომელი ძაღლის შესახებ არის საუბარი.

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა მოსწავლეები მიაჩვიოს საკითხავ ამოცანაზე (განცხადებაში მოცემული მინიშნებების მიხედვით ძაღლის ამოცნობა) კონცენტრაციას და არა განცხადების თითოეულ დეტალზე ყურადღების გამახვილებას, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში სულაც არ სჭირდება და რომელებიც მოგვიანებით დამუშავდება.

აქტივობაზე მუშაობის ფორმატს ინდივიდუალურად შეასრულებენ და მერე გაუზიარებენ ერთმანეთს, თუ – მცირე ჯგუფებში, გადაწყვეტს მასწავლებელი.

აგრეთვე, როგორც ხშირად აღვნიშნავთ ხოლმე, აქტივობისთვის გამოსაყოფ დროს მასწავლებელი გადაწყვეტს საკუთარი მოსწავლეების საჭიროებებიდან და მზაობიდან გამომდინარე.

3. საუბარი ძაღლების შესახებ

სრულდება მე-2 და მე-3 დავალებები წიგნში. მე-2 დავალების მიხედვით ჯერ საუბრობენ ილუსტრაციების მიხედვით, თუ რომელი ძაღლი მოსწონთ, შემდეგ, მე-3 დავალების მიხედვით, კითხულობენ შეთავაზებულ წინადადებებს და აკავშირებენ შესაბამის განცხადებასთან / ილუსტრაციასთან.

4. განცხადებების მიხედვით სავარჯიშოების შესრულება

მოსწავლეები მუშაობენ რვეულის მე-4, მე-5 და მე-6 სავარჯიშოებზე, რისთვისაც კვლავ სჭირდებათ წიგნში მოცემული განცხადებების ისევ წაკითხვა. მე-4 სავარჯიშოს შესასრულებლად პირველ განცხადებაზე სჭირდებათ დაკვირვება, მე-5 სავარჯიშოსთვის — მეორე განცხადებაზე, მე-6 სავარჯიშოსთვის – მესამე განცხადებაზე.

კვლავ ვთანხმდებით, რომ სავარჯიშოებზე მუშაობის ფორმატს მასწავლებელი გადაწყვეტს საკუთარი შეხედულების მიხედვით, რაც დაფუძნებულია მოსწავლეების საჭიროებებზე, მზაობაზე, თუნდაც კლასში მოსწავლეთა რაოდენობაზე... ამ ფაქტორების გათვალისწინებით მიიღებს მასწავლებელი გადაწყვეტილებას, ინდივიდუალურად იმუშავებენ, წყვილებში თუ მცირე ჯგუფებში.

5. ზედსართავ სახელებზე მუშაობა

შემდეგი რამდენიმე დავალება და სავარჯიშო მოიცავს ზედსართავი სახელების წარმოებაზე

მუშაობას. ამისთვის მოსწავლეები ჯერ ასრულებენ წიგნის მე-7 დავალებას, ხოლო შემდეგ – რვეულის მე-8 და მე-9 სავარჯიშოებს. სავარჯიშოები შესაძლოა შესრულდეს ჯერ ინდივიდუალურად, შემდეგ ერთმანეთს გაუზიარონ წყვილებში და ბოლოს საერთო საკლასო განხილვა-დაზუსტება მოაწყონ.

აღსანიშნავია, რომ ამ თემის საბოლოო მიზანია მოსწავლეებმა აღწერონ ძაღლი და შექმნან განცხადება. შესაბამისად, მასწავლებელს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ ასეთი ტიპის სავარჯიშოებისა და დავალებების შესრულება მოსწავლეებს დაეხმარებათ საბოლოო მიზნის მიღწევაში.

6. ტექსტის წაკითხვა

დავალებების შემდეგი ბლოკი (წიგნის მე-10-მე-13 დავალებები, რვეულის მე-14 სავარჯიშო) ეძღვნება წიგნში მოცემული ტექსტის წაკითხვასა და გაგება-გააზრებას.

მე-10 დავალება ითვალისწინებს სათაურის მიხედვით ვარაუდების გამოთქმას, რაც შეიძლება წარიმართოს მთელ კლასთან მუშაობის ფორმატში.

მე-11 დავალების მიხედვით აკვირდებიან ილუსტრაციას და ისევ გამოთქვამენ ვარაუდებს. შემდეგ კი კითხულობენ ტექსტს და უპასუხებენ მე-12 დავალების შეკითხვებს (საჭიროების შემთხვევაში ტექსტთან მიბრუნებით), მე-13 დავალების წინადადებების მართებულობას ამოწმებენ და ასრულებენ რვეულის მე-14 სავარჯიშოს. ამ პროცესში მოსწავლეები რამდენიმეგზის უბრუნდებიან ტექსტს, რაც უზრუნველყოფს ტექსტის დეტალურ გაგებას.

აქვე წარმოდგენილია გაწაფული კითხვის უნარის შეფასების რუბრიკა:

დაბალი დონე	**გასაუმჯობესებელი დონე**	**საშუალო დონე**	**კარგი დონე**	**მაღალი დონე**
ვერ ახერხებს ან უხეში შეცდომებით ახერხებს ცალკეული სიტყვების ამოკითხვას.	ტექსტის წაკითხვისას უშვებს უხეშ შეცდომებს.	ტექსტის წაკითხვისას უშვებს საკმაო რაოდენობის შეცდომას.	წაკითხვის პროცესში თითქმის არ უშვებს შეცდომებს.	ფაქტობრივად უშეცდომოდ კითხულობს ტექსტს.
	კითხულობს ნელ-ნელა, დაყოვნებებით, არასათანადო პაუზებით.	კითხულობს ნელ-ნელა, ყოვნდება გრძელი და უცნობი სიტყვების ამოკითხვისას.	კითხულობს ზომიერი სიჩქარით, იშვიათად ანელებს ტემპს.	კითხულობს სათანადო სიჩქარით დაყოვნებების გარეშე.
	ვერ ახერხებს ინტონაციით, გამომეტყველებით წაკითხვას.	ინტონაციით წაკითხვას შეცდომებით ახერხებს.	მცირეოდენი ინტონაციური უზუსტობით ახერხებს წაკითხვას.	კითხულობს სათანადო ინტონაციით, ხმის აწევასა და დადაბლებას იყენებს მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად.

7. ტექსტის მოსმენაზე ორიენტირებული აქტივობები

მოსწავლეები უსმენენ ტექსტს და ასრულებენ შესაბამის სავარჯიშოებს. რვეულის მე-15 სავარჯიშოს ასრულებენ პირველი მოსმენის დროს. მე-16 სავარჯიშოს ასრულებენ ტექსტის (დიალოგის) მეორედ მოსმენის დროს. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს მიეცეთ საშუალება წინასწარ გაეცნონ სავარჯიშოში მოცემულ პირობასა და წინადადებებს, რათა მოსმენის პროცესში უფრო გაუადვილდეთ პასუხების გაცემა.

8. რეფლექსიური დაფიქრება

რვეულის მე-17 სავარჯიშოში მოცემულია შეკითხვა, რომელზე პასუხის გაცემის გზაც აქვეა ნაჩვენები. მოსწავლეებს მოეთხოვებათ დაეთანხმონ ან არ დაეთანხმონ შემოთავაზებულ ლოგიკურ ხაზს. რასაკვირველია ასეთი სტრატეგიის (ტექსტის სხვადასხვა ინფორმაციის საკუთარ ცოდნასთან შეჯერება) გამოყენება მეტად აქტუალურია და ეს სავარჯიშო ერთგვარ მცდელობას წარმოადგენს ასეთ პროცესზე დაკვირვებისას.

კარგი იქნება, თუ მასწავლებელი ბავშვებს საკუთარი დასკვნების შესახებ ერთგვარ დასაბუთებას მოსთხოვოს ხოლმე.

9. შემაჯამებელი დავალებები

რვეულში მოცემული მე-18 სავარჯიშოს შესრულებამდე უნდა შესრულდეს წიგნის მე-19 დავალება, სადაც მოცემულია სამი ილუსტრაცია, მოსწავლე შეარჩევს მისთვის სასურველ ძაღლს და აღწერს ზეპირად.

ამის შემდეგ უკვე რვეულში უნდა დაწერონ განცხადება ამ შერჩეული ძაღლის დაკარგვის შესახებ, რომელშიც გამოიყენებს, რასაკვირველია, წინა დავალებაში აღწერილობისთვის საჭირო ენობრივ ფორმებსა და კონსტრუქციებს.

დავალება ისტ-ის გამოყენებით

იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლეთა უმრავლესობა ანდა გარკვეული ნაწილი ახერხებს შინ ინტერნეტთან და კომპიუტერულ მოწყობილობებთან მუშაობას, მასწავლებელმა შესაძლოა შესთავაზოს ერთგვარი ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით დავალების შესრულება. მაგალითად:

მოიძიონ ინტერნეტში მათთვის სასურველი ძაღლის (ან სხვა ცხოველის) ფოტო და ელექტრონულად დაამზადონ განცხადება (გაყიდვის, დაკარგვის შესახებ.). კარგი იქნება, თუ ელექტრონულ ნამუშევარში წარმოდგენილი იქნება, როგორც განცხადების ტექსტი, აგრეთვე ილუსტრაციაც.

მე-9 თემის ქვიზი

1. დაასრულე წინადადება:

<u>დათო და ბებია ტელეფონით ---.</u>

ა. ლაპარაკობენ.

ბ. ლაპარაკობს.

გ. ილაპარაკა.

2. რომელია სწორი წინადადება?

ა. თოვლივით მოთეთრო ბეწვი ჰქონდა ჩემს ძაღლს.

ბ. თოვლივით მოწითალო ბეწვი ჰქონდა ჩემს ძაღლს.

გ. თოვლივით თეთრი ბეწვი ჰქონდა ჩემს ძაღლს.

3. რომელია სწორი ფორმა?

ა. მოწითელო.

ბ. მოწითალო.

გ. მოწითლო.

4. ჩასვი საჭირო სიტყვა წინადადებაში:

<u>შავ ძაღლს მხოლოდ გულზე ჰქონდა ლაქა.</u>

ა. მოთეთრო.

ბ. მოთეთრი.

გ. უთეთრესი.

5. რას აკეთებენ დაკარგული ძაღლების პატრონები?

ა. წერენ განცხადებას და აქვეყნებენ.

ბ. ყიდულობენ ძაღლების საჭმელს.

გ. ძაღლებს სახლებს უშენებენ.

თემა 10. სტუმრად დედაქალაქში

თემატური მიზნები:

მოსწავლეები შეძლებენ

- დედაქალაქში სტუმრობის თემაზე შექმნილი კომიქსისა და ტექსტის წაკითხვა-გაგებას; დიალოგის წაკითხვას ადამიანის გარეგნობის აღწერის შესახებ;
- აუდიოდიალოგის მოსმენას ადამიანის გარეგნობის აღწერის შესახებ;
- საყვარელი სუპერგმირების აღწერას;
- თავიანთი დახატული და წიგნის ბოლოს დართული ფოტორობოტის ასლის შედარებას წერილობით.

გასააქტიურებელი გრამატიკული საკითხები:

- უპირო ზმნები;
- იან მაწარმოებლიანი ქონების სახელები;
- მიცემითიანი კონსტრუქციები (მას აქვს, მას აცვია, მას შეუძლია, მას ახურავს...)
- წყვეტილისა და უწყვეტლის ფუნქციის გარჩევა

გავრცელებული გამოთქმები:

- ახურავს ქუდი
- უკეთია სათვალე
- აქვს შავი თმა

1. ვარაუდების გამოთქმა. ლექსიკის დამუშავება.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ ფოტოსა და ილუსტრაციას და უპასუხონ კითხვებზე:

ა) რომელი ქალაქია გამოსახული?

ბ) იცნობთ თუ არა ამ შენობას?

გ) როგორ ფიქრობთ, რის შესახებ იქნება ტექსტი და რატომ ფიქრობთ ასე?

მასწავლებელმა წინასწარ უნდა გამოყოს საკვანძო ლექსიკა და დაამუშავოს ის კლასის საჭიროების მიხედვით. კარგი იქნება, თუ ახალი ლექსიკის დამუშავებისა და უკვე ნასწავლი ლექსიკური ერთეულების გამეორების აქტივობებიც კავშირში იქნება თემასთან და მომავალ ტექსტთან (მაგალითად, კითხვა-პასუხის მეშვეობით: როგორი ქალაქია თბილისი? ყოფილხარ თბილისში? რა ნახე იქ? რა იყო შენთვის ყველაზე საინტერესო? როგორი ამინდი იყო, როცა ბოლოს თბილისში იყავი? და ა.შ.)

თუ მოსწავლეები არასდროს ყოფილან დედაქალაქში და ნაკლები წარმოდგენა აქვთ მის შესახებ, კარგი იქნება, თუ მასწავლებელი ფოტოების ან ვიდეოს მეშვეობით გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის მოსწავლეებს თბილისსა და მთაწმინდაზე.

2. ტექსტის წაკითხვა. გლობალური და სელექციური გაგება. დავალება 1

მოსწავლეები ინდივიდუალურად კითხულობენ ტექსტს და შემდეგ პასუხობენ შეკითხვებს (ფორუმი). მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს პერსონაჟებზე, ტექსტის გაგების მიზნით დასვას დამატებითი შეკითხვები.

3. ტექსტის დეტალური გაგება. ლექსიკაზე მუშაობა.

სავარჯიშო 2. ჯგუფური სამუშაო.

მოსწავლეებმა მასწავლებლის დახმარებით უნდა დააზუსტონ სიტყვების მნიშვნელობები, ერთმანეთს შეუთანხმდნენ განმარტების საუკეთესო ფორმულირებაზე და მიუწერონ. ზოგიერთი განმარტება წერია ტექსტში (მაგალითად, ფუნიკულიორი). სხვა სიტყვები შეიძლება გასაგები გახდეს კონტექსტიდან, მშობლიურ ან უცხო ენასთან კავშირში, ლექსიკონიდან, მასწავლებლის მეშვეობით. მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს ჯგუფებში მუშაობას და საჭირო შემთხვევაში აღმოუჩინოს მოსწავლეებს დახმარება.

სავარჯიშო 3. ინდივიდუალურად.

მასწავლებელი სთხოვს ერთ-ორ მოსწავლეს, გამოვიდნენ დაფასთან და განასახიერონ მოცემული ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობა. თუ მოსწავლეები თავდაპირველად დაიბნევიან, მასწავლებელი თავად აძლევს მაგალითს. შემდეგ მოსწავლეებმა რიგ-რიგობით უნდა დაასახელონ სიტყვები და განასახიერონ მეწყვილეებმა, სანამ კარგად არ დაიმახსოვრებენ ყველა მნიშვნელობას. ეს საკმაოდ სახალისო დავალებაა.

სავარჯიშო 4. სრულდება წყვილებში

მეოთხე სავარჯიშო ამოწმებს, რამდენად იციან მოსწავლეებმა ტექსტში გამოყენებული ზედსართავი სახელებისა და უპირო ზმნების მნიშვნელობა. მოსწავლეებისთვის უცნობი სიტყვები მასწავლებელმა უნდა დაწეროს და განმარტოს დაფაზე, აუხსნას მათ -იან და უ-...-ო პრეფიქს სუფიქსების ფუნქცია, უპირო ზმნების განსხვავება შესაბამისი ზედსართავებისგან (თბილა-თბილი, ცივა-ცივი...)

4. ტექსტის დეტალური გაგება. გრამატიკაზე მუშაობა.

სავარჯიშო 5. სრულდება წყვილებში.

სავარჯიშოს მიზანია მოსწავლე დაფიქრდეს უწყვეტლისა და სრულასპექტიანი წყვეტილის ფუნქციების განსხვავებასა და მსგავსებაზე (წარსული, დასრულებული და დაუსრულებელი, დროში გაწელილი მოქმედება)

მოსწავლეები გამოყოფენ ზმნებს და ანაწილებენ მათ ნაცნობი, შესწავლილი მწკრივების მიხედვით. ტექსტიდან დარჩება რამდენიმე ზმნა: „დაიბადნენ, იყვნენ, გამოვიდა, უყურეს“, რომლებიც არც ერთ ნაცნობ კატეგორიაში არ შევა და მოსწავლეებმა ცალკე უნდა ამოწერონ. შემდეგ კი მასწავლებლის დახმარებით უნდა შეუდარონ ერთმანეთს დაიბადა და წვიმდა (შესაძლებელია, წვიმდა — მზე გამოვიდა) ზმნები. მოსწავლეები, სავარაუდოდ, გაამახვილებენ ყურადღებას ამ ზმნების ლექსიკური მნიშვნელობებზე, მაგრამ მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქცევინოს ფორმების გრამატიკულ განსხვავებაზე. მასწავლებელმა მე-5 სავარჯიშოს ყოველი პუნქტის შესრულების შემდეგ (ა, ბ, გ...) უნდა შეამოწმოს დავალება და არ დაელოდოს სავარჯიშოს დასრულებას. მასწავლებელი დასკვნის სახით ესაუბრება მოსწავლეებს წყვეტილის ფუნქციაზე (გრამატიკული ბლოკი). სავარჯიშოს ბოლო პუნქტი ეხება წყვეტილში მრავლობითის განსხვავებულ დაბოლოებებს.

5. კომიქსის კითხვა. შეკითხვებზე პასუხი. ლაპარაკი. დავალება 6.

კომიქსი ძალიან ადვილი გასაგებია და ბავშვები ინდივიდუალურად კითხულობენ ჩუმად. კითხვებზე პასუხი ააქტიურებს ლაპარაკის კომპონენტს. მოსწავლეებმა უნდა ისაუბრონ, რომელი ატრაქციონი მოსწონთ, რატომ არ შეიძლება მალიქის შესვლა ატრაქციონზე, იმსჯელონ, რატომ დაიკარგა მალიქი და სწორად მოიქცნენ თუ არა ამო, ლეილა და აიდა. ბუნებრივია, რომ მოსწავლეები საუბრისას შეცდომებს დაუშვებენ და დასჭირდებათ მასწავლებლის დახმარება

ლექსიკური ერთეულების გახსენებაში. მასწავლებელმა უნდა მისცეს ინსტრუქცია, რომ მოსწავლეებმა გასცენ რაც შეიძლება მარტივი პასუხები (მაგალითად, რატომ არ შეიძლება მალიქის შესვლა ატრაქციონზე? იმიტომ, რომ მალიქი პატარაა.), რთული კონსტრუქციების გარეშე და შეეცადონ, დამოუკიდებლად დაძლიონ ამოცანა. თუ მოსწავლეების საუბარი გასაგებია, მასწავლებელი არ უსწორებს მათ შენიშვნებს. ის მოინიშნავს შეცდომებს, რათა გაითვალისწინოს მომავლისთვის.

6. როლური თამაში.

დავალება 7. სრულდება სამეულებში.

აქტივობის მიზანია, მოსწავლეებმა დაიმახსოვრონ ადამიანის გარეგნობის აღსაწერად საჭირო ლექსიკა და კონსტრუქციები. თავდაპირველად ეს აქტივობა შესრულდება სანიმუშოდ, კითხვით. ერთ-ერთი მონაწილე იქნება მასწავლებელი. შემდეგ მოსწავლეებმა უნდა გაინაწილონ, ისწავლონ და გაითამაშონ როლები დაფასთან.

შესაძლებელია აქტივობის თვითშეფასება და ურთიერთშეფასება შემდეგი რუბრიკების მიხედვით:

- საუბრობს გასაგებად. 1-2
- საუბრობს გაბმულად, პაუზების გარეშე. 1-2
- არ უშვებს შეცდომებს. 1-2
- კარგად ასრულებს როლს. 1-2
- უცდის და უსმენს პარტნიორებს, დროულად შედის დიალოგში. 1-2

7. კითხვა. დეტალური გაგება. ლაპარაკი. დავალება 8.

მოსწავლეებმა დიალოგში მოცემული აღწერის მიხედვით (მალიქის დახასიათება) უნდა იპოვონ შესაბამისი პერსონაჟი ნახატზე. როცა მოსწავლეები იპოვიან მალიქს ილუსტრაციაზე, მასწავლებელმა უნდა ჰკითხოს, რატომ ფიქრობენ, რომ მათი სწორედ მათი ამორჩეული პერსონაჟია მალიქი და არა სხვა. (სავარაუდო პასუხები: იმიტომ, რომ პატარაა, წითური თმა აქვს, ჭორფლიანია და ა.შ.).

8. ლაპარაკი. სავარჯიშო 9

ამ სავარჯიშოს შესრულებამდე, მასწავლებელი კიდევ ერთხელ დააბრუნებს მოსწავლეებს კომიქსთან და ილუსტრაციებთან, რათა მათ მიაქციონ ყურადღება პერსონაჟების გარეგნობას:

როგორ ფიქრობ, რომელია ამო? აიდა? ლეილა? რატომ ფიქრობ ასე?

მაგრამ სავარჯიშოს შესრულების დროს წიგნები უნდა იყოს დახურული. სავარჯიშოს აქვს სახალისო შეჯიბრების სახე. მოსწავლეები ქართულად გარეგნობის აღწერის უნარის გარდა ამოწმებენ, რამდენად აქვთ დეტალებზე დაკვირვებისა და მათი დამახსოვრების უნარი.

შესაძლოა, მასწავლებელმა დაფაზე ჩამოწეროს სქემა:

აქვს (..... და ..... თმა, ...)

აცვია (..... შარვალი, ..., ... ფეხსაცმელი).

ყველა პერსონაჟის დახასიათების შემდეგ მოსწავლეები უბრუნდებიან წიგნს და გადაამოწმებენ აღწერის სიზუსტეს.

9. ლექსიკაზე მუშაობა. სავარჯიშო 10. სრულდება ინდივიდუალურად.

მოსწავლეები იხსენებენ ნათესაობის აღმნიშვნელ ლექსიკას. სასურველია, მასწავლებელმა გაახსენოს მათ სხვა ერთეულებიც: დეიდაშვილი, მამიდაშვილი და ა.შ.

10. გრამატიკაზე მუშაობა. სავარჯიშო 11. სრულდება ინდივიდუალურად.

მოსწავლეებმა -იან სუფიქსის მეშვეობით უნდა აწარმოონ ზედსართავი სახელები.

11. ლექსიკაზე მუშაობა. სავარჯიშოები 12 და 13. სრულდება ინდივიდუალურად.

მოსწავლეებმა უნდა დააკავშირონ ფრაზები და სურათები.

სათანადო ინსტრუქციების მიცემის შემდეგ მასწავლებელს შეუძლია მე-10, მე-11, მე-12 და მე-13 სავარჯიშოები მისცეს საშინაო დავალებად და შემდეგ კლასში შეამოწმოს, რამდენად ზუსტად შეასრულეს ისინი მოსწავლეებმა.

12. ლაპარაკი. ახალი ლექსიკის გააქტიურება. დავალება 14

დავალება სრულდება წყვილებში. მასწავლებელი ჯერ აჩვენებს ამ დავალების შესრულების მაგალითს რომელიმე ფოტოზე და შემდეგ ყოველი წყვილები იწყებენ დავალების შესრულებას ერთდროულად, დაბალ ხმაზე. მასწავლებელი ჩამოივლის კლასს და აკვირდება თითოეული წყვილის საუბარს. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები ლაპარაკობდნენ მხოლოდ ქართულად. მათ შეუძლიათ რვეულისა და ლექსიკონის გამოყენება საჭირო სიტყვების გასახსენებლად.

13. მოსმენა. გლობალური გაგება. დავალება 15

მოსწავლეები უსმენენ ჩანაწერს და ასახელებენ შესაბამის პერსონაჟს.

14. მოსმენის შემდგომი დავალება. სავარჯიშო 16.

მოსწავლეებმა უნდა შეავსონ ცხრილი და ცხრილის მიხედვით გაიხსენონ მულტფილმის პერსონაჟების გარეგნობა (შესაძლებელია დაიხმარონ ილუსტრაცია წიგნში).

15. გრამატიკაზე მუშაობა, სავარჯიშო 17

აქტიურდება კონსტრუქციები: შეუძლია, აქვს, აცვია + ...-ს. მასწავლებელმა მოსწავლეებს ხმამაღლა უნდა წააკითხოს ერთი-ორი წინადადება და გაამახვილებინოს ყურადღება მოცემულ კონსტრუქციებში მიცემით ბრუნვაზე. დანარჩენ წინადადებებს მოსწავლეები შეასრულებენ ინდივიდუალურად.

16. ლაპარაკი. მოსმენა. დავალება 18. სავარჯიშო 20.

დავალება 18 და სავარჯიშო 20 დაახლოებით ერთი ტიპის დავალებებია.

მოსწავლეები ჯერ სქემის მიხედვით აღწერენ მულტფილმის პერსონაჟებს. თანაკლასელებმა ყურადღებით უნდა მოუსმინონ და გამოიცნონ პერსონაჟი აღწერის მიხედვით. მასწავლებელმა უნდა მისცეს ინსტრუქცია, რომ მოსწავლეებმა ბოლომდე უნდა მოისმინონ აღწერა და მხოლოდ შემდეგ გამოთქვან ვარაუდები.

შემდეგ ისინი ასრულებენ იმავე ტიპის აქტივობას, ოღონდ უკვე აღწერენ არა პერსონაჟს, არამედ ერთმანეთს და თან საუბრობენ სქემის დახმარების გარეშე.

მასწავლებელს განმავითარებელი შეფასებისთვის შეუძლია გამოიყენოს შემდეგი სქემა:

- სრულყოფილად აღწერს პერსონაჟის (კლასელის) გარეგნობას. (გამორჩა .....)
- სრულყოფილად აღწერს პერსონაჟის (კლასელის) ჩაცმულობას. (გამორჩა .....)
- სწორად იყენებს კონსტრუქციებს: აცვია, აქვს, უკეთია, უჭირავს
- სწორად ასახელებს ფერებს.
- სწორად ასახელებს დახასიათებისთვის საჭირო სხვა ზედსართავ სახელებს.

17. მოსმენა-გაგება. წერა. სავარჯიშო 21.

მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილებინოს მოსწავლეებს ილუსტრაციებზე, რათა მოსწავლეებისთვის გასაგები გახდეს აუდიოჩანაწერის მნიშვნელობა. მასწავლებელი განუმარტავს მათ, რომ აუდიოჩანაწერის მიხედვით უნდა დახატონ ფოტორობოტი (ა), როგორც ამას აკეთებენ ხოლმე პოლიციაში. შემდეგ მოსწავლეები უსმენენ აუდიოჩანაწერს და პარალელურად ავსებენ ცხრილს (ბ), რომელიც დაეხმარებათ ზუსტი ნახატის შექმნაში.

ფოტორობოტის შექმნა (გ) ცხრილის მიხედვით შეიძლება მივცეთ საშინაო დავალებად.

ნახატები და წიგნის ბოლოს მოცემული ფოტორობოტის ილუსტრაცია მოსწავლეებმა უნდა შეადარონ კლასში. მოსწავლეები (სურვილის მიხედვით) გააკეთებენ თავიანთი ნახატების პრეზენტაციას. მასწავლებელი მაგალითისთვის ერთ-ორ მოსწავლეს ზეპირად შეადარებინებს სახელმძღვანელოს ფოტორობოტს. შემდეგ მოსწავლეები წერილობით ასრულებენ დავალებას (გ).

მე-10 თემის ქვიზი

1. შემოხაზე სწორი წინადადება:

ა. ჩემს ბიძაშვილს აცვია ზოლებიანი ქუდი

ბ. ჩემს ბიძაშვილს ახურავს ზოლებიანი ქუდი

გ. ჩემს ბიძაშვილს უკეთია ზოლებიანი ქული

2. დაასრულე:

გარეთ ძალიან ---/

ა. ყინვა

ბ. ყინავს

გ. ყინავს ამინდია

3. ჩასვი სწორად:

უქარო, მოღრუბლულ, ჩახჩახებს

ა. --- ამინდში სეირნობა სასიამოვნოა.

ბ. მზე საოცრად ---.

გ. არაფერი ჩანდა --- ცაზე.

4. შემოხაზე სწორი წინადადება:

ა. ეს გმირი აცვია შავი ტანსაცმელი.

ბ. ეს გმირს აცვია შავი ტანსაცმელი.

გ. ამ გმირს აცვია შავი ტანსაცმელი.

5. დაასრულე:

თუ შენი მეგობარი ქალაქში დაიკარგა, უნდა მიმართოს ---.

ა. ექიმს

ბ. მძღოლს

გ. პოლიციელს

თემა 11. დაბადების დღე

თემატური მიზნები:

მოსწავლეები შეძლებენ

- დაბადების დღის შესახებ ტექსტის წაკითხვას, მოსმენას, გაანალიზებას;
- აღწერითი ხასიათის ტექსტის დაწერას, მისალოცი ბარათის შექმნას;
- დაბადების დღის შესახებ ლაპარაკს.
- წყვეტილის გამოყენებას ლაპარაკსა და წერაში.

1. პოსტერის აღწერა

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს დაბადების დღის პოსტერს (მოსავლის წიგნი, დავალება 1) და უსვამს შეკითხვებს. პოსტერის დახმარებით გააქტიურდება თემის შესაბამისი ნაცნობი ლექსიკური ერთეულები . სავარაუდოდ, ესენი იქნება: საჩუქარი, ტორტი, სტუმრები, სუფრა, საჭმელი; საწყისები: მილოცვა, გართობა, მუსიკის მოსმენა; სიმღერა; ზმნები: აქვს, მოვიდნენ, ცეკვავენ, მღერიან. აქტივობა ემსახურება მოსწავლეებში ინტერესის აღძვრას და მოტივაციის ამაღლებას, ხოლო მასწავლებელს აძლევს საშუალებას, დააკვირდეს, რამდენად მზად არიან მოსწავლეები თემის ასათვისებლად და განსაზღვროს მათი საჭიროებანი.

2. თემის საკვანძო ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა.

მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს, გადაშალონ მოსწავლის რვეული და შეასრულონ სავარჯიშო 2 — ნახატებს უნდა მიუწერონ შესაბამისი ლექსიკური ერთეული. დავალება შესრულდება ინდივიდუალურად და შემოწმდება ფორუმში.

3. ტექსტის წაკითხვა-გააზრება გლობალურ დონეზე

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს მითითებას, რომ წაიკითხონ ტექსტი და უპასუხონ შეკითხვებს (მოსწავლის წიგნი, დავ. 3). აღნიშნული აქტივობა გლობალური ინფორმაციის გაგებას ისახავს მიზნად. ტექსტის წაკითხვის ორგანიზების ფორმას არჩევს მასწავლებელი, საჭიროებიდან გამომდინარე.

4-5-12. ინფორმაციის დახარისხება

ინფორმაციის დახარისხება გამოყენებულია ტექსტის სელექციურ დონეზე გასაგებად— მოსწავლეები აკონკრეტებენ, ვინ რა გააკეთა, ან ვინ რა საჩუქარი აჩუქა იუბილარს (მოსწავლის რვეული, სავ.5); ვინ როგორ ულოცავს და ვინ რა ემოციას გამოხატავს (მოსწავლის რვეული, სავ. 12).

აქტივობების ორგანიზების ფორმას არჩევს მასწავლებელი, შედეგები შეჯამდება ფორუმში.

6. გრამატიკულ პოსტერზე მუშაობა

მასწავლებელმა ამ დავალებას (მოსწავლის წიგნი, დავ 6) უნდა დაუთმოს სათანადო ყურადღება, ვინაიდან მისი მიზანია რამდენიმე გრამატიკული საკითხის განმარტება:

<u>ა) წყვეტილის წარმოება მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში (ჩაიცვა, ჩაიცვეს /დააწყო / დააწყვეს);</u>

გთავაზობთ მასწავლებლის ქმედების ერთ-ერთ ნიმუშს: მასწავლებელი დაფაზე წერს წინადადებებს:

1) დედამ სუფრა გაშალა.

2) ლალიმ ჭურჭელი დააწყო მაგიდაზე.

3) ბებიამ და ბაბუამ ლიმონათი მოიტანეს.

4) ბავშვებმა ყვირილი გაიგონეს

წინადადებების დაწერის შემდგომ მასწავლებელი ხაზს უსვამს იმას, რომ ყველა მათგანი ასახავს მომხდარ მოქმედებას ანუ წარსულ დროს. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოძებნონ პირველ და მეორე წინადადებებში ზმნები და ხაზი გაუსვან ამ ზმნების დაბოლოებებს: გაშალა , დააწყო . მასწავლებელი სვამს შეკითხვებს: რას აღნიშნავს -ა /-ო დაბოლოებები? მოქმედი საგანი ერთია თუ ერთზე მეტი? მსჯელობის საშუალებით მასწავლებელს და მოსწავლეებს ერთობლივად გამოაქვთ დასკვნა, რომ წყვეტილში მხოლობით რიცხვში ზმნა ბოლოვდება -ა /-ო ხმოვნებზე. მასწავლებელი დაფაზე წერს სხვა მაგალითებსაც: მან დაწერა, წაიკითხა, ისწავლა, აჩუქა, ჩაიცვა; აიღო, დააწყო, გამოაცხო... შემდეგ კი სთხოვს მოსწავლეებს, ანალოგიური მაგალითები მოძებნონ გრამატიკულ პოსტერზე. ასეთივე სტრატეგიით მოხდება მე-3 და მ-4 წინადადებების განხილვა, შედეგად მივლენ დასკვნამდე, რომ წყვეტილში მრავლობით რიცხვში ზმნა იღებს -ეს დაბოლოებას — გაიგონეს, მოიტანეს, იმღერეს და ა. შ. მასწავლებელი ისევ დააბრუნებს მოსწავლეებს გრამატიკულ პოსტერთან და სთხოვს მოძებნონ ანალოგიური მაგალითები.

<u>ბ) სუბიექტის და ობიექტის ბრუნვები (ლალიმ დააწყო ჭურჭელი);</u>

მასწავლებელს წინადადებები უკვე დაწერილი აქვს დაფაზე, ისღა დარჩენია, მოსწავლეთა ყურადღება მიაპყროს მოქმედი საგნის (სუბიექტის) და სამოქმედო საგნის (ობიექტის) ბრუნვებს. შემდეგ ისე დაუბრუნდება პოსტერს, რომელზეც მოსწავლეები მოძებნიან ანალოგიურ მაგალითებს.

<u>გ) ზმნები, რომელთა სუბიექტი წყვეტილში სახელობით ბრუნვაში რჩება (სტუმარი მოვიდა).</u> მოსწავლეები პოსტერზე მოძებნიან ასეთ ზმნას.

7-8-9. გრამატიკულ საკითხებში გავარჯიშება

გრამატიკული პოსტერის დეტალური დამუშავების შემდეგ მოსწავლის რვეულის მე-7, მე-8 და მე-9 სავარჯიშოები საუკეთესო საშუალებაა იმის შესამოწმებლად, რამდენად კარგად გაიგეს მოსწავლეებმა წყვეტილთან დაკავშირებული საკითხები.

• მე-7 სავარჯიშოში მოსწავლეებმა სუბიექტი და ობიექტი საჭირო ბრუნვებში უნდა ჩასვან;

• მე-8 სავარჯიშოში ზმნის ფორმაზე გაამახვილებენ ყურადღებას მხოლობითსა და მრავლობითში;

• მე-9 სავარჯიშოში კი წინა ორი წესის გათვალისწინებით დამოუკიდებლად უნდა დაწერონ წინადადებები წყვეტილში.

აქტივობების ორგანიზების ფორმებს არჩევს მასწავლებელი.

10. ტექსტის გაგება-გააზრება დეტალურად

მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები ასრულებენ მე-10 სავარჯიშოს (მოსწავლის რვეული). ტექსტის დეტალური გაგებისთვის აქტივობა სრულდება ეტაპობრივად. პირველ ეტაპზე ზუსტდება საჭირო ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობები (მოსწავლეებმა უნდა გადახაზონ ლოგიკურად ზედმეტი სიტყვა. ასევე, მასწავლებელს შეუძლია დასვას დამატებითი შეკითხვები, რას ნიშნავს გახარებული? / ბედნიერი?/ შეშინებული?); მეორე ეტაპზე მოსწავლეები პასუხობენ, რომელი პერსონაჟია გახარებული? / ბედნიერი? / შეშინებული? ხოლო მესამე ეტაპზე მოსწავლეებმა ტექსტზე დაყრდნობით უნდა შეძლონ თავიანთი პასუხების დასაბუთება.

11- 13 -14 -15. ნიმუშზე დაყრდნობით ახალი ტექსტის შექმნა

მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს, რომ მათი მიზანია დაბადების დღის მისალოცი წერილის დაწერა, რისთვისაც საჭირო იქნება კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა:

- მოსწავლეები ეცნობიან მზა ტექსტებს (მოსწავლის წიგნი, დავ 11);
- ავსებენ ნაკლულ ტექსტს მისალოც ბარათში(მოსწავლის რვეული, სავ.13);
- აღმოაჩენენ და ასწორებენ შეცდომებს მისალოც ბარათში (მოსწავლის რვეული, სავ. 14 და 15);
- თვითონ წერენ მისალოც ბარათს (მოსწავლის რვეული, სავ.16).

მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ტექსტებში გამოყენებულ მიმართვასა და ბრძანებით ფორმებზე, რომლებიც მოსწავლეებს დასჭირდებათ სხვა ანალოგიურ სიტუაციაშიც. რეკომენდებულია, მოსწავლეებმა დაწერონ სხვა დღესასწაულების მისალოცი ტექსტებიც.

17-18. აუდიოტექსტის მოსმენა-გაგება გლობალურ დონეზე

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს მითითებას, მოუსმინონ აუდიოტექსტს და შეასრულონ დავალება (მოსწავლის რვეული, სავ. 17). პირველი მოსმენის მიზანია, მოსწავლემ ამოიცნოს მთავარი ინფორმაცია. ის გადახაზავს დავალებაში მოცემულ არასწორ ინფორმაციას, ხოლო შემდეგ (მოსწავლის რვეული, სავ. 18) გაასწორებს და ისე დაწერს წინადადებებს.

19. აუდიოტექსტის გაგება სელექციურ დონეზე

მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს, მეორედ მოისმინონ დიალოგი და შეავსონ ცხრილი: კონკრეტულ ფრაზას მიუწერონ ავტორის სახელი (მოსწავლის რვეული, სავ. 19).

20. ზეპირ და წერით მეტყველებაში გავარჯიშება

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს მითითებას (მოსწავლის რვეული, სავ.20) შესწავლილი ტექსტების, ფრაზების და გრამატიკული კონსტრუქციების დახმარებით ჯერ ისაუბრონ, ხოლო შემდეგ დაწერონ ტექსტი დაბადების დღის შესახებ. დავალების შესრულებაში მათ დაეხმარებათ შეკითხვები. რეკომენდებულია, დავალება შესრულდეს ინდივიდუალურად.

თემის ფარგლებში მისაცემი შესაძლო საშინაო დავალებების ნიმუშები

1. წინადადებების შედგენა წყვეტილში (მესამე პირი, მხოლობითი რიცხვი);
2. წინადადებების შედგენა წყვეტილში (მესამე პირი, მრავლობითი რიცხვი);
3. დაბადების დღის მისალოცი ბარათის დაწერა;
4. სხვა დღესასწაულის მისალოცი ბარათის დაწერა;
5. საკუთარი დაბადების დღის აღწერა (წერილობით / თხრობით);
6. ოჯახის წევრის / მეგობრის / ნათესავის დაბადების რის აღწერა (წერილობით / თხრობით).

მე-11 თემის ქვიზი

1. აირჩიე სწორი პასუხი

<u>I. ლალისთან დაბადების დღეზე სტუმრად მოვიდნენ</u>

ა. ბიძა

ბ. მეზობლები

გ. მეგობრები

<u>II. ლალის ყველაზე მეტად გაუხარდა</u>

ა. მეგობრების საჩუქარი

ბ. მამის საჩუქარი

გ. ბიძის საჩუქარი

2. შემოხაზე სწორი წინადადება:

ა. გილოცავ დაბადების დღე!

ბ. გილოცავ დაბადების დღეს!

გ. გისურვებ დაბადების დღეს!

3. შემოხაზე არასწორი წინადადება:

ა. დედამ გამოაცხო ტორტი.

ბ. ბებიამ და ბაბუამ მოიტანა ლიმონათი.

გ. ბავშვებმა იმღერეს და იცეკვეს.

4. შემოხაზე სწორი წინადადება:

ა. მამამ ლალის აჩუქა საყვარელი ლეკვი.

ბ. დათო ლალის აჩუქა ფეხბურთის ბურთი.

გ. ეკამ და ბექამ ლალის აჩუქეს დათუნიას.

თემა 12. ზოოპარკში

თემატური მიზნები:

მოსწავლეები შეძლებენ

- მოსწავლეები შეძლებენ ცხოველების შესახებ საინფორმაციო ტექსტების წაკითხვასა და გაგებას, მათზე საუბარს, მოსასმენი საკომუნიკაციო სიტუაციებიდან ინფორმაციის გაგებას, შექმნიან მცირე ზომის წერილობით ილუსტრირებულ ნამუშევარს შეთავაზებული ფრინველის შესახებ.
- გაიაქტიურებენ აწმყოსა და წყვეტილში ზმნასთან შეწყობილი სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვებს.

1. თემის შინაარსისა და მიზნების გაცნობა

მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს თემის ზოგად შინაარსს და მიზნებს. იგი ეუბნება, რომ ამ თემის ფარგლებში ისინი წიგნის პერსონაჟებთან ერთად იმოგზაურებენ ზოოპარკში, გაეცნობიან ცხოველებს, მათ შესახებ ტექსტების მიხედვით შეასრულებენ სხვადასხვა დავალებასა და სავარჯიშოს, ბოლოს, შეთავაზებული საინტერესო ცხოველის (ფრინველის) შესახებ მოიძიებენ ინფორმაციასა და შექმნიან მცირე საინფორმაციო-ილუსტრირებულ ტექსტს.

2. ლექსის წაკითხვა და ცხოველის ამოცნობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ნოდარ დუმბაძის შესახებ მოკლე ინფორმაციას და სთავაზობს ლექსს, რომლის დასაწყისში გამოტოვებულია სიტყვა და უნდა ჩასვან ბავშვებმა ეს სიტყვა (სპილო). აღსანიშნავია, რომ ამ ლექსს აკავშირებენ მომდევნო გვერდის ილუსტრაციასთან.

ლექსზე მუშაობის მიზნით მასწავლებელმა, შესაძლოა, მიმართოს სხვადასხვა ფორმატს: საჩვენებელი/სამოდელო წაკითხვა (მასწავლებელი თვითონ კითხულობს ხმამაღლა და გამომეტყველებით ტექსტს), ერთობლივი წაკითხვა (მასწავლებელი მოსწავლეები ერთად ხმამაღლა კითხულობენ ლექსს), წყვილებში ერთობლივი წაკითხვა (ყველა მოსწავლე მეწყვილესთან ერთად სინქრონულად ხმამაღლა კითხულობს ლექსს, მასწავლებელი დადის რიგებში და ყურს უგდებს წაკითხვას...) და სხვ.

თუკი ზემოთ აღნიშნული მეთოდებით დამუშავდება ეს მცირე ზომის იუმორისტული ლექსი, ბავშვებს ძალდატანების გარეშე შემოესწავლებათ იგი, რაც არცთუ ურიგო საქმე იქნება დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის.

3. ტექსტის წაკითხვა წყვილებში (ან მცირე ჯგუფებში) და გაგება-გააზრება

მოსწავლეები ასრულებენ წიგნის მე-2 და მე-3 დავალებებს, რაც გულისხმობს ილუსტრირებული ტექსტის წაკითხვასა და შეკითხვების მიხედვით საუბარს. აგრეთვე, მოცემული წინადადებების ტექსთან შედარებას, მცდარი ვერსიების გასწორებასა და მსგავსი წინადადებების შედგენას.

ტექსტის წაკითხვის ფორმატსა და ფორმას მასწავლებელი შეარჩევს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- მასწავლებელი ხმამაღლა, სამოდელო/საჩვენებელი წაკითხვის ფორმატში კითხულობს ტექსტს. საჭირო ადგილებზე განმარტებებისა და გაგების გადამოწმების მიზნით აკეთებს კომენტარებს და/ან სვამს შეკითხვებს. მოსწავლეები უსმენენ და ამის შემდეგ ასრულებენ წიგნის მე-2 და მე-3 დავალებებს.
- მოსწავლები წყვილებში (ან მცირე ჯგუფებში) კითხულობენ ტექსტს ჩუმად და ასრულებენ წიგნის დავალებებს.

- შესაძლოა, მასწავლებელმა ორივე ზემოთ დასახელებული ფორმატი გამოიყენოს: ჯერ თვითონ წაუკითხოს ხმამაღლა ტექსტი, შემდეგ კი წყვილებში (ან მცირე ჯგუფებში) მისცეს ხელახლა წასაკითხად და დავალების შესასრულებლად.

<u>შენიშვნა:</u> გაამახვილეთ მოსწავლეთა ყურადღება, რომ ფრინველებიც ცხოველთა რიგს მიეკუთვნებიან.

4. რვეულის სავარჯიშოებზე მუშაობა — ენობრივ საკითხებზე კონცენტრირება

რვეულის სავარჯიშოებზე მოსწავლეები მუშაობენ ან ინდივიდუალურად ან წყვილებში ან ჯგუფებში – იმის მიხედვით, თუ რა საჭიროებები არსებობს მოცემულ მომენტში. ამ გადაწყვეტილებას მასწავლებელი იღებს.

აღსანიშნავია, რომ რვეულის მე-4 დავალებაში გააქტიურებულია ანტონიმები და სინონიმები, მე-5 სავარჯიშოში სიტყვები უნდა ჩასვან წინადადებებში, მე-6 სავარჯიშოში კი სიტყვები უნდა მოძებნონ ასოთა გროვაში. რასაკვირველია, ყველა სამიზნე სიტყვა და წინადადება აქ დაკავშირებულია ზოოპარკისა და ცხოველების თემატიკასთან. შესაბამისად, სავარჯიშოებზე მუშაობისას ბავშვებს, ერთი მხრივ, უწევთ წიგნში მოცემულ ტექსტებსა და ილუსტრაციაზე მიბრუნება, მეორე მხრივ, ამ პროცესში ისინი ენობრივად და ლექსიკურად ემზადებიან თემის შემაჯამებელი დავალების შესასრულებლადაც (შეთავაზებული ფრინველის შესახებ მცირე ზომის ილუსტრირებული ტექსტის მომზადება).

5. გრამატიკულ ბლოკზე მუშაობა

სრულდება წიგნის მე-7 და მე-8 დავალებები, რას გულისხმობს მოცემულ ფორმებსა და გრამატიკულ აღწერილობებზე დაკვირვებას. მოსწავლეები აკვირდებიან შეთავაზებულ გრამატიკულ ბლოკს სუბიექტური და ობიექტური პირების შესახებ. გასათვალისწინებელია, რომ ბავშვებს ეს კომპონენტი ხშირად ეშლებათ ხოლმე, რისი გამომწვევი მიზეზთაგანი ისიცაა, რომ მშობლიური ენა ამგვარად არ გადმოსცემს ანალოგიურ შინაარსს. კარგი იქნება, თუ მასწავლებელს არ ექნება იმის ილუზია, რომ ამ დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეები უშეცდომოდ შეძლებენ ზმნებთან სუბიექტისა და ობიექტის სათანადო ბრუნვაში გამოყენებას, მაგრამ ნამდვილად ხელშესახები პროგრესი იქნება, თუ მოცემულ კონკრეტულ ზმნებთან მიმართებაში დაიმახსოვრებენ და გამოიყენებენ იმას, თუ რომელ ბრუნვაში გამოიყენონ კონკრეტულ ზმნასთან სუბიექტური პირი (მაგალითად, ბავშვებმა ბილეთები იყიდეს... ბავშვები სალაროსთან მივიდნენ...).

ამავე მიზნით სრულდება რვეულის მე-9, მე-10 და მე-11 სავარჯიშოებიც.

როგორც სხვა შემთხვევებში, აქაც მასწავლებელი გადაწყვეტს, მოსწავლეები ინდივიდუალურად ჩაერთვებიან აქტივობებში, წყვილებში თუ ჯგუფის წევრებთან ერთად. სასურველია, ყველაფერი წარიმართოს მრავალფეროვანი ფორმატით ანუ ხან ინდივიდუალურად, ხან წყვილებში, ხან ჯგუფებში, საჭიროების მიხედვით.

6. ტექსტის წაკითხვა

ტექსტის წაკითხვა, ტრადიციისამებრ, გულისხმობს წაკითხვამდე აქტივობის/აქტივობების შესრულებას. ამ შემთხვევაში ამ მიზნით სრულდება წიგნის მე-12 დავალება. კერძოდ, მოსწავლეები გაიხსენებენ ზოოპარკთან დაკავშირებულ გამოცდილებასა და საყვარელ ცხოველებს...

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს (წაკითხვის ფორმატს შეარჩევს მასწავლებელი: შესაძლოა, ან ჯერ თვითონ წაუკითხოს ხმამაღლა სათანადო კომენტარებით, ან წყვილებში, ან ჯგუფებში მისცეს წასაკითხად და მიუთითოს მე-13 დავალების პირობაზე – ყურადღება გაამახვილონ ხაზგასმულ ზმნურ ფორმებზე და ამოიცნონ შესაბამისი მწკრივი.

წაკითხვის შემდეგ უპასუხებენ ტექსტის ბოლოს მოცემულ შეკითხვებზე. რასაკვირველია, მასწავლებელს შეუძლია მოიფიქროს და მოსწავლეებს შესთავაზოს დამატებითი შეკითხვებიც, როგორც ექსპლიციტური, ასევე იმპლიციტური ტიპისა — ეს დამოკიდებულია მოსწავლეთა მზაობასა და საჭიროებებზე.

მე-14 დავალების შესრულებისას მოსწავლეები ააქტიურებენ ტექსტში გამოყენებულ ლექსიკურ ერთეულებს, ენობრივ ფორმებს, გრამატიკულ საკითხს, რაც დაეხმარებათ მომდევნო დავალების შესრულებისას.

7. ფრინველის აღწერა

მოსწავლეები ასრულებენ წიგნის მე-15 დავალებას. აღწერენ შეთავაზებულ ფრინველს და წარუდგენენ თანაკლასელებს.

აგრეთვე, რეკომენდებულია, თუ ამ დავალების პუნქტებსაც შეასრულებენ, რისთვისაც დასჭირდებათ დამატებითი ინფრომაციის მოძიება და ნამუშევრის გაფორმება. შესაძლებელია დავალება შესრულდეს საკლასო ოთახშიც ჯგუფებში, თუკი ინტერნეტზე წვდომა ამის საშუალებას იძლევა, რათა სათანადო ინფორმაცია, ილუსტრაციები მოიძიონ ხოხობზე. შესაძლებელია შინაც გააგრძელონ ბავშვებმა მასზე მუშაობა.

8. საუბრების მოსმენა

რვეულის მე-16 და მე-17 სავარჯიშოები მოსმენის კომპეტენციის განვითარებაზეა ორიენტირებული. მოსწავლეები კვლავ ნაცნობ კონტექსტში მიმდინარე საუბრებს უსმენენ და ასრულებენ სავარჯიშოებს ან ინდივიდუალურად, ან წყვილებში, ან მცირე ჯგუფებში. თუ საჭირო იქნება, ტექსტს უსმენენ მეორეჯერაც, მესამეჯერაც...

შესრულებული სავარჯიშოების სისწორეს ამოწმებენ ერთობლივად.

9. საყვარელი ცხოველის პრეზენტაციის მომზადება და წარდგენა

სრულდება მოსწავლის რვეულის მე-18 დავალება, რაც გულისხმობს თემის ფარგლებში შესწავლილი საკითხების ერთგვარ შეჯამებასა და თავმოყრას. მოსწავლე შეარჩევს სასურველ ცხოველს, ჩახატავს რვეულში და მიაწერს საინტერესო და ძირითად ინფორმაციას ამ ცხოველზე. თავიანთ ნამუშევრებს წარადგენენ კლასში.

იმის მიხედვით, როგორი მდგომარეობაა კლასში ციფრული რესურსების გამოყენების თვალსაზრისით, მასწავლებელი მოსწავლეებს ან მათ ნაწილს სთხოვს აღნიშნული დავალება მოამზადონ ციფრულად — ინტერნეტრესურსების (ილუსტრაციები, ტექსტი, ვიდეომასალა...) გამოყენებით და კლასის წინაშე წარმოადგინონ პოვერ-პოინტში ან „ვსწავლობთ თამაშით“ პროგრამაში დამზადებული სახით. (აღსანიშნავია, რომ ეს მეხუთეკლასელი მოსწავლეები, წესით უნდა სარგებლობდნენ პირველ კლასში დარიგებული კომპიუტერებითაც....).

ქვემოთ წარმოდგენილია ამ ნამუშევრის შეფასების რუბრიკაც, რომელიც გარკვეულწილად სარეკომენდაციო ხასიათისაა და მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს საჭირო მოდიფიცირებით, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების მიზნით.

დაბალი დონე	გასაუმჯობე-სებელი დონე	საშუალო დონე	კარგი დონე	მაღალი დონე
ნაშრომში არაა წარმოდგენილი ან არაადეკვატური ინფორმაციაა წარმოდგენილი.	ნაშრომში წარმოდგენილია ერთი-ორი არასათანადოდ გამართული წინადადება.	ნაშრომში შეცდომებითაა წარმოდგენილი ცხოველის შესახებ ინფორმაცია.	ნაშრომში გასაგებადაა წარმოდგენილი შერჩეული ცხოველი.	ნაშრომში შეძლებისდაგვარად ორიგინალურადაა წარმოდგენილი შერჩეული ცხოველი.
	მეტად მწირი და შეცდომებიანი ლექსიკა და ენობრივი ფორმებია გამოყენებული.	ლექსიკა არცთუ სრულია და შეცდომებიც საკმაოდაა, დაუხვეწავია ენობრივი ნორმებიც.	მცირეოდენი შეცდომებითაა გამოყენებული სათანადო ლექსიკა და ენობრივი ფორმები.	გამოყენებულია სათანადო ლექსიკა და ენობრივი ფორმები.
	ნამუშევარი არაა გაფორმებული.	დარღვეულია ნაშრომის სტრუქტურაც და პუნქტუაციური ნორმებიც ზედაპირულადაა დაცული.	ნამუშევარი სათანადოდაა ილუსტრირებული, დაცულია ბალანსი ტექსტსა და ინლუსტრაციებს შორის.	ნამუშევარში დაცულია ვიზუალური მხარე, სათანადო ილუსტრაცია და ტექსტუალური ინფორმაცია მიმზიდველადაა გადანაწილებული.
ვერ საუბრობს ნამუშევრის შესახებ.	შეცდომებით, მწირად, შეკითხვებზე მოკლე პასუხებით საუბრობს საკუთარი ნამუშევრის შესახებ.	შეცდომებით, მაგრამ ახერხებს ინფორმაციის გადმოცემას საკუთარი ნამუშევრის შესახებ.	მცირე შეცდომებით ახერხებს საკუთარი ნამუშევრის წარმოდგენას.	უმნიშვნელო შეცდომებითა და გაბმული საუბრით ახერხებს საკუთარი ნამუშევრის პრეზენტირებას.

მე-12 თემის ქვიზი

1. დაასრულე წინადადება:

ჟირაფი აქტიურია დღისით, ღამით კი ---.

ა. იძინებს.

ბ. დაიძინა.

გ. იძინებენ.

2. რომელია სწორი წინადადება?

ა) ჟირაფს აქვს მოკლე კუდი და გრძელი კისერი.

ბ) ჟირაფს აქვს გრძელი კუდი და მოკლე კისერი.

გ) ჟირაფს კუდი არ აქვს.

3. რომელია სწორი ფორმა?

ა. ზოოპარკი

ბ. ზოპარკი

გ. ზოო

4. ჩასვი საჭირო სიტყვა წინადადებაში:

--- ბავშვების ბილეთები გადახია.

ა. კონტროლიორმა

ბ. კონტროლიორს.

გ. კონტროლიორი

5. რა აქვთ განსაკუთრებით ლამაზი ფარშავანგებს?

ა. ფეხები

ბ. ბოლო

გ. თავი

შემაჯამებელი დავალებები 12-ვე თემისათვის

თემა 1 – ბიბლიოთეკაში

(უნარი – წერა, ლაპარაკი)

ინსტრუქცია:

შეადგინე შენთვის ყველაზე საინტერესო პერსონაჟის (წიგნის ან ფილმის) ანკეტა-ბარათი. ნიმუშად გამოიყენე ბიბლიოთეკის ბარათები, რომლებსაც, საჭიროების შემთხვევაში, გამოაკლებ ან დაამატებ რუბრიკებს. ჩააკარი ან ჩახატე ამ პერსონაჟის სურათი. წარადგინე შენი ნამუშევარი კლასის წინაშე და გააცანი ეს პერსონაჟი შენს თანაკლასელებს. მომავალში შეგიძლია მსგავსი „ანკეტები“ ყველა წაკითხული წიგნისთვის გააკეთო და შექმნა საყვარელი პერსონაჟების საბარათე „კატალოგი“.

ეს შემაჯამებელი დავალება აერთიანებს პირველი თავის თემასა და მიზანს (თემა – ბიბლიოთეკაში, მიზანი – მოსწავლემ შეძლოს ანკეტის შევსება და საყვარელი პერსონაჟის პრეზენტაცია-წარდგენა). ეს შემოქმედებითი დავალებაა, მოსწავლეს აბრუნებს წაკითხულ წიგნებთან ან ნანახ ფილმებთან და მოტივაციას აძლევს, საინტერესო გადაწყვეტა მოუძებნოს. მასწავლებელს შეუძლია დამატებითი რუბრიკების ვერსიები შესთავაზოს მოსწავლეებს. მაგალითად: საცხოვრებელი ადგილი, პროფესია (კავშირი მომავალ თემასთან), საყვარელი საქმიანობა და ასე შემდეგ.

თემა 2 – პროფესიები

(უნარი – წერა, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება)

ინსტრუქცია:

წარმოიდგინე, რომ უკვე დიდი ხარ და მუშაობ. გაქვს შენი საყვარელი პროფესია. გააკეთე შენი სავიზიტო ბარათის დიზაინი. არ დაგავიწყდეს პროფესიის, სამუშაო ადგილისა და მისამართის მითითება. სავიზიტო ბარათი ლამაზად გააფორმე. შეგიძლია დახატო ხელით ან ააწყო კომპიუტერში ისტ-ის მასწავლებლის დახმარებით.

შემაჯამებელი დავალების მიზანია, მოსწავლემ შეძლოს სავიზიტო ბარათის გაკეთება, გაიხსენოს ბარათთან/ანკეტასთან და პროფესიებთან დაკავშირებული შესაბამისი ლექსიკა და დაწეროს ტექსტო ორთოგრაფიის წესების დაცვით. ეს დავალებაც შემოქმედებითია და უბიძგებს მოსწავლეს, დაფიქრდეს თავის მიდრეკილებებსა და მომავალ პროფესიაზე. სასურველია, დავალება შესრულდეს თანამედროვე ტექნოლოგიების (კომპიუტერის) დახმარებით.

თემა 3 – ოჯახი

(უნარი – წერა)

ინსტრუქცია:

1-ლი ვარიანტი:

წარმოიდგინე, რომ შენს სოფელში ჩამოდის ახალი მასწავლებელი, რომელიც ეძებს ბინას. შენ გინდა, რომ მასწავლებელმა შენს ოჯახში იცხოვროს და ქართულის სწავლაში დაგეხმაროს. მისწერე მას წერილი და მოუყევი შენი ოჯახის შესახებ.

მე-2 ვარიანტი:

წარმოიდგინე, რომ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში შენს სოფელში ჩამოდიან ქართული სკოლის მოსწავლეები. ერთ-ერთმა მოსწავლემ შენთან უნდა იცხოვროს. მისწერე მას წერილი და მოუყევი შენი ოჯახის შესახებ.

შემაჯამებელი დავალების მიზანია, მოსწავლემ შეძლოს წერილის დაწერა სათანადო თემაზე წერილის სტრუქტურის დაცვით. დავალება შეიცავს სიტუაციური ამოცანის ელემენტებს.

თემა 4 – როცა პატარა ვიყავი

(უნარი — ლაპარაკი)

ინსტრუქცია:

მოგვიყევი შენი ბავშვობის შესახებ. რას აკეთებდი, რა გიყვარდა, რა იყო განსხვავებული მაშინ ახლანდელ შენს ცხოვრებასთან შედარებით?

შემაჯამებელი დავალების მიზანია, მოსწავლემ შეძლოს საუბარი ნაცნობ თემაზე უწყვეტლის მწკრივის გამოყენებით. ნიმუშად შეუძლია აიღოს ამ თავის როგორც წასაკითხი, ისე მოსასმენი დავალებები.

თემა 5 – გასული ზაფხული

(უნარი – ლაპარაკი)

ინსტრუქცია:

დავალება სრულდება წყვილებში

დახატე ილუსტრაცია „ჩემი ზაფხულის ერთი დღე“. წარუდგინე მეწყვილეს და აუხსენი, სად იყავი, რას აკეთებდი და ასე შემდეგ. ნახე მისი ილუსტრაცია და მოისმინე მისი ნაამბობი. შემდეგ ისაუბრე შენი მეწყვილის შესახებ მესამე პირში: სად იყო, რას აკეთებდა, როგორ გაატარა გასული ზაფხული.

შემაჯამებელი დავალების მიზანია, მოსწავლემ შეძლოს საუბარი ნაცნობი თემის შესახებ უწყვეტლის მწკრივის გამოყენებით. მან ასევე უნდა შეძლოს პირველი პირის ფორმების მესამე პირში გადაყვანა და მეწყვილის მონაყოლის მესამე პირში თხრობა: „აითენი მთელი ზაფხული იყო სოფელში. ის დადიოდა... და ა.შ.

თემა 6 – ახალი წელი

(უნარი — კითხვა, ლაპარაკი)

ინსტრუქცია:

მოიძიე ინფორმაცია ინტერნეტში სხვა ქვეყნებში (ჩინეთი, ბრაზილია, საფრანგეთი, ინდოეთი, იაპონია, თურქეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, სხვა...) ახალი წლის ტრადიციების შესახებ. აირჩიე ერთი რომელიმე ქვეყანა, რომელიც შენ ყველაზე მეტად გაინტერესებს და უპასუხე შემდეგი კითხვებიდან მინიმუმ 5 შეკითხვას მაინც:

1. როდის აღნიშნავენ ახალ წელს?
2. როგორ და სად ხვდებიან მას?
3. როგორ რთავენ სახლსა და ქუჩებს?
4. რა აქვთ სუფრაზე?
5. ჩუქნიან თუ არა ერთმანეთს საჩუქრებს?
6. სხვა რა საინტერესო ტრადიციები აქვთ ახალ წელთან დაკავშირებით?
7. რით ჰგავს მათი ახალი წელი ჩვენი ქვეყნის ახალ წელს და რით განსხვავდება?

დავალების მიზანია, მოსწავლემ შეძლოს ინფორმაციის ამოკითხვა, გაგება-გააზრება უცნობი ტექსტიდან ნაცნობ თემატიკაზე. ეს დავალება უნდა შესრულდეს ინტერნეტის გამოყენებით. თუ მოსწავლეებს ინტერნეტთან მუშაობისა და საჭირო ინფორმაციის მოძიებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები არ გააჩნიათ, მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მათ.

თემა 7 – კვება და ჯანმრთელობა

(უნარი – კითხვა)

ინსტრუქცია:

წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს:

1. რა თემაზეა ტექსტი?
2. რა არის ამ ტექსტის მიზანი?
3. რა იყო შენთვის ნაცნობი?
4. რა გაიგე ახალი?
5. რა იყო ყველაზე საინტერესო ამ ტექსტში?

დაწერე სამი ახალი სიტყვა, რომლებიც ტექსტიდან გაიგე (კონტექსტის მიხედვით).
დაწერე სამი ახალი სიტყვა, რომლებიც ვერ გაიგე. დააზუსტე მათი მნიშვნელობა.

დავალების მიზანია, მოსწავლემ შეძლოს ინფორმაციის ამოკითხვა, გაგება-გააზრება, უცნობი ტექსტის თემისა და მიზნის ამოცნობა. ტექსტი უნდა შეარჩიოს და, აუცილებლობის შემთხვევაში, ადაპტირება გაუკეთოს მასწავლებელმა. ტექსტი უნდა იყოს ინსტრუქციების ან რჩევების ტიპის. ტექსტში გამოყენებული უნდა იყოს ნაცნობი ლექსიკა. უცხო სიტყვები დაყვანილი უნდა იყოს მინიმუმამდე. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს თავისი კლასის წინარე ცოდნა და უნარები და ისე შეურჩიოს ტექსტი. შესაძლებელია დამატებითი შეკითხვების ან ტესტის მოფიქრებაც კონ-კრეტული ტექსტიდან გამომდინარე.

თემა 8 – თავისუფალი დრო

(უნარი – ლაპარაკი)

ინსტრუქცია:

ილაპარაკე შენი შაბათ-კვირის გეგმების შესახებ: როგორ გაატარებ დროს? როგორ დაისვენებ? რას გააკეთებ? სად წახვალ? და ასე შემდეგ.

შემაჯამებელი დავალების მიზანია, მოსწავლემ შეძლოს საუბარი ნაცნობ თემაზე მყოფადის მწკრივის გამოყენებით. ნიმუშად შეუძლია აიღოს ამ თავის როგორც წასაკითხი, ისე მოსასმენი დავალებები.

თემა 9 – საყვარელი შინაური ცხოველი

(უნარი – წერა)

ინსტრუქცია:

დაწერე პატარა განცხადება შინაური ცხოველის შესახებ (დავკარგე... ვყიდი... ვიჩუქებ... ვიყიდი...).

აღწერე ცხოველი და დაასახელე, რა ჯიშისაა.

დახატე ან ჩააკარი ფოტო.

შემაჯამებელი დავალების მიზანია, მოსწავლემ შეძლოს განცხადების დაწერა; გაიხსენოს აღწერასთან დაკავშირებული შესაბამისი ლექსიკა და დაწეროს ორთოგრაფიის წესების დაცვით.

თემა 10 – სტუმრად დედაქალაქში

დავალება 1 (უნარი – მოსმენა)

ინსტრუქცია:

მოუსმინე აუდიოჩანაწერს, სადაც აღწერენ ადამიანის გარეგნობას და შეასრულე შესაბამისი დავალებები (რვეული, თემა სტუმრად დედაქალაქში, გვ.56) დახატე ფოტორობოტი.

ამ დავალების მიზანია, მოსწავლემ შეძლოს მოსასმენი ტექსტიდან საჭირო ინფორმაციის ამოღება და ადამიანის აღწერის გაგება. დავალება სახალისო და შემოქმედებითია. შესაძლებელია შესრულდეს ჯგუფურად (თაბახებზე).

დავალება 2 (უნარი – ლაპარაკი)

ინსტრუქცია:

წარმოიდგინე, რომ შენი პატარა მეზობელი/და/ძმა/ნათესავი დაიკარგა უცხო ქალაქში და პოლიციელს უნდა აღუწერო მისი გარეგნობა. მეწყვილესთან ერთად გაითამაშე შესაბამისი დიალოგი.

ამ დავალების მიზანია, მოსწავლემ შეძლოს ადამიანის გარეგნობის აღწერა.

თემა 11 – დაბადების დღე

(უნარი – წერა)

ინსტრუქცია:

შენს ქართველ მეგობარს დაბადების დღე აქვს. დაწერე დაბადების დღის მისალოცი პატარა ტექსტი სოციალური ქსელისთვის. თუ გინდა, შეგიძლია გააკეთო მისალოცი ბარათი.

შემაჯამებელი დავალების მიზანია, მოსწავლემ შეძლოს მისალოცი ტექსტის დაწერა შესაბამისი ფორმულების გამოყენებით.

თემა 12 – ზოოპარკში

(უნარი — კითხვა, ლაპარაკი)

ინსტრუქცია:

მოიძიე ინფორმაცია ინტერნეტში შენთვის საინტერესო ცხოველის შესახებ. უპასუხე მინიმუმ 3 შეკითხვას და უამბე ამ ცხოველის შესახებ შენს თანაკლასელებს:

1. სად ბინადრობს ეს ცხოველი?
2. როგორი გარეგნობა აქვს?
3. რამდენია მისი სიმაღლე და წონა?
4. რით იკვებება?
5. რით არის საინტერესო ეს ცხოველი?

დავალების მიზანია, მოსწავლემ შეძლოს ინფორმაციის ამოკითხვა, გაგება-გააზრება უცნობი ტექსტიდან ნაცნობ თემატიკაზე.

დავალება უნდა შესრულდეს ინტერნეტის გამოყენებით. თუ მოსწავლეებს ინტერნეტთან მუშაობისა და საჭირო ინფორმაციის მოძიებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები არ გააჩნიათ, მასწავლებელი უნდა დაეხმაროს.

შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკა

მე-5 კლასში იწყება განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება მოსწავლეებთან, რისთვისაც საჭიროა გავითვალისწინოთ შეფასების გარკვეული რუბრიკები. ამ რუბრიკებში წარმოდგენილია ენობრივი მიმართულებების მიხედვით შეფასების კრიტერიუმები. მასწავლებელი ამ რუბრიკების გამოყენებით მიიღებს გადაწყვეტილებას, როგორ მისცეს მოსწავლეს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასება.

ქვემოთ წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკები, რომელთა გამოყენება გარკვეული მოდიფიცირების შემდეგ შესაძლებელია საშინაო და საკლასო დავალებების შეფასების მიზნითაც, როგორც წაკითხული, ასევე მოსმენილი ტექსტების გააზრების, როგორც ლაპარაკის, ასევე წერითი უნარის, როგორც გრამატიკული საკითხების, ასევე ლექსიკური კომპეტენციის შეფასებისას.

კომპონენტი	**დაბალი 1-3**	**საშუალო 4-6**	**კარგი 7-8**	**საუკეთესო 9-10**
წაკითხული მხატვრული ტექსტის გააზრება	შეუძლია მხოლოდ ზოგიერთი ექსპლიციტური (ზედაპირული) ინფორმაციის (ტექსტის სათაური, ავტორის ვინაობა, პერსონაჟის სახელი...) ამოცნობა.	ახერხებს მხატვრულ ტექსტში მოცემული ექსპლიციტური ინფორმაციის (პერსონაჟის აღწერა, გარემოებების ამოცნობა...) აღქმას.	შეუძლია მხატვრული ტექსტის სიღრმისეული გააზრება, მხატვრული ხერხების აღქმა, საკუთარი მოსაზრებების გადმოცემა.	ახერხებს მხატვრული ტექსტის სიღრმისეულად გააზრებას. შეუძლია ტექსტისა და პერსონაჟების ქმედებების ინტერპრეტირება, საკუთარი შეფასებითი დამოკიდებულებების გამოხატვა.
წაკითხული არამხატვრული (სტატია, ანკეტა, განრიგი...) ტექსტის გააზრება	შეუძლია მხოლოდ ზოგიერთი ექსპლიციტური (ზედაპირული) ინფორმაციის ამოცნობა.	ახერხებს მხატვრულ ტექსტში მოცემული ექსპლიციტური ინფორმაციის (პერსონაჟის აღწერა, გარემოებების ამოცნობა...) აღქმას. შეუძლია ტექსტში მოცემული ზედაპირული ინფორმაციის აღქმა-გაგება.	შეუძლია ტექსტში გადმოცემული ინფორმაციის სიღრმისეული გაგება.	შეუძლია ტექსტში გადმოცემული ინფორმაციის სიღრმისეული (იმპლიციტური) ინფორმაციის გააზრება. ტექსტის შექმნის მიზნებისა და ავტორის პოზიციის ამოცნობა.

გაგება	შეუძლია მოსმენილი ტექსტის მხოლოდ რამდენიმე ფრაზის/ სიტყვის იდენტიფიცირება.	შეუძლია მოსმენილ ტექსტის თემატიკისა და ძირითადი ან/და ზედაპირული ინფორმაციის გაგება.	შეუძლია მოსმენილი ტექსტის მთავარი სათქმელისა და ზოგიერთი სიღრმისეული, დეტალური ინფორმაციის გაგება.	შეუძლია მოსმენილი ტექსტის სიღრმისეულად და სრულფასოვნად, მათ შორის დეტალურ დონეზე გააზრება.
ლაპარაკი	შეუძლია მხოლოდ რამდენიმე სიტყვის თქმა შეთავაზებული საკითხის/თემის ირგვლივ, ისიც რეპროდუცირების ფორმატში.	შეუძლია მოკლე ფრაზებით საუბარი გარკვეული შეცდომებითა და აქცენტით.	შეუძლია გაბმული მეტყველება საკითხის ირგვლივ მცირე შეცდომებით და აქცენტით.	შეუძლია გაბმულად საუბარი და გარკვეული ინტერპრეტირება შეთავაზებული საკითხისა და დავალების ირგვლივ. შეიძლება ჰქონდეს მცირეოდენი აქცენტი.
წერა	შეუძლია საკითხის შესახებ მხოლოდ რამდენიმე სიტყვის დაწერა. ან ეს სიტყვებიც არაადეკვატურადაა დაწერილი, არ შეესაბამება შეთავაზებულ საკითხს/ დავალებას.	ახერხებს საკითხის შესახებ ზედაპირული და ზოგადი ფრაზების დაწერას. ნაწერში მრავლადაა შეცდომები.	საკითხის შესახებ დავალების პირობის დაცვით ახერხებს სრული ინფორმაციის წერილობით გადმოცემას, თუმცა უშვებს გარკვეულ შეცდომებს.	თითქმის უშეცდომოდ ახერხებს საკითხის შესახებ დავალების პირობის შესაბამისად ინფორმაციის წერილობით გადმოცემას. ნაწერში ავლენს შემოქმედებით მიდგომას.
გრამატიკა	ვერ ახერხებს ნასწავლი გრამატიკული ფორმების რეპროდუცირებას.	ახერხებს ნასწავლი გრამატიკული საკითხების რეპროდუცირებას და ავთენტურ სიტუაციაში შეცდომებით გამოყენებას.	ახერხებს ნასწავლი გრამატიკული საკითხების ნავარჯიშებ ავთენტურ სიტუაციაში უმნიშვნელო შეცდომებით გამოყენებას, როგორც ზეპირად, ასევე წერილობით.	ახერხებს ნასწავლი გრამატიკული საკითხების ავთენტურ სიტუაციაში თითქმის უშეცდომოდ ან უშეცდომოდ გამოყენებას, როგორც ზეპირად, ასევე წერილობით.

ლექსიკური მარაგი	ვერ ახერხებს ნასწავლი ლექსიკური ერთეულების ადეკვატურ გამოყენებას შეთავაზებული ამოცანების შესაბამისად.	ახერხებს ზოგიერთი ნასწავლი სიტყვის ავთენტურ სიტუაციებში გამოყენებას გარკვეული შეცდომების დაშვებით.	შეუძლია ნასწავლი ლექსიკური ერთეულების ავთენტურ სიტუაციებში გამოყენება თითქმის უშეცდომოდ.	უშეცდომოდ იყენებს ნასწავლ ლექსიკურ ერთეულებს როგორც ზეპირმეტყველებით, ასევე წერითი ამოცანების დაძლევისას. შეუძლია სიტყვების ამოცნობის სტრატეგიების ეფექტიანი გამოყენება. შემოქმედებითად უდგება სიტყვათწარმოების პროცედურებს.

თემა 1. ბიბლიოთეკაში

– გამარჯობა.
– გამარჯობა.
– პირველად ხარ ბიბლიოთეკაში?
– დიახ.
– რა გქვია?
– აისუ.
– გვარი?
– ჯაფარლი.
– რამდენი წლის ხარ, აისუ?
– თერთმეტის.
– რომელ კლასში ხარ?
– მეხუთეში.
– აიღე ეს ანკეტა და შეავსე.
– შენც პირველად ხარ?
– არა, მე არ ვარ პირველად.
– ანკეტა გაქვს?
– კი, მაქვს.
– შენი სახელი და გვარი?
– გარი ანტონიანი.
– ერთი წუთი, გარი... ანტონიანი, ანტონიანი, ანტონიანი... აი შენი ანკეტაც. გარი ანტონიანი. 10 წლის. გარი, შენ წაღებული გაქვს ჰარი პოტერის პირველი წიგნი.
– დიახ, „ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა“.
– მოიტანე?
– დიახ. აი.
– ახლა რომელი წიგნი გინდა?
– ჰარი პოტერის მეორე წიგნი.
– „ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი“?
– დიახ.
– ახლავე.
– აი შენი წიგნი.
– დიდი მადლობა.

თემა 2.პროფესიები

ნახე ვიდეო 02:40 წუთამდე https://1tv.ge/news/13-wlis-gidi-ushgulidan/?fbclid=IwAR1StkM1wHX-EP7xCoFF4K_4NTZfdV39m1ZnzTMI7vzk6ImwyVN0IP-96iL0

თემა 3.ოჯახი

დათო: – აუ, რა ლამაზი საათია!

ლია: – დედამ მაჩუქა დაბადების დღეზე.

დათო: – მაგარია, ლია! კიდევ რა საჩუქრები მიიღე? ბევრი სტუმარი გყავდა?

ლია: – არა, მხოლოდ ჩვენ ვიყავით – დედა, მამა, ბებია, ბაბუა, ჩემი ძმა და მე. ჩემმა ძმამ ეს ჩანთა მაჩუქა, მამამ – კაბა, ბებიამ და ბაბუამ ტორტი მიყიდეს.

დათო: – შენმა ძმამ? რამდენი წლისაა? ფული საიდან აქვს?

ლია: – ჩემზე უფროსია, ოცი წლისაა, სტუდენტია და თან მუშაობს.

დათო: – სად მუშაობს?

ლია: – „მაკდონალდსში“.

დათო: – ჩემი ძმაც ჩემზე უფროსია, მაგრამ არაფერს მჩუქნის. თან არ მუშაობს, მეთერთმეტეკლასელია. მე მამა მჩუქნის ხოლმე კარგ საჩუქრებს!... ზოგჯერ ერთად დავდივართ კინოში ან პარკში. ძალიან მიყვარს მამასთან ერთად სიარული. ყველაზე მეტად კი ის მიყვარს, მის სამსახურში რომ მივდივარ.

ლია: – მის სამსახურში? სად?

დათო: – სამშენებლო კომპანიაში მუშაობს, არქიტექტორია. სულ რაღაცას ხაზავენ და ხატავენ.

ლია: – მართლა? მამაჩემიც მშენებელია, სულ სახლებზე ლაპარაკობს.. მამაჩემი სულ სახლებზე ლაპარაკობს და დედაჩემი სულ თავის პაციენტებზე (სიცილი).. ექიმია და იაშვილის კლინიკაში მუშაობს.

დათო: – ნეტა, ჩვენი მასწავლებელი თუ ლაპარაკობს ჩვენზე?

(ზარის ხმა)

ლია: – წავედით, დათო, ზარია!

თემა 4.როცა პატარა ვიყავი

ანა: ..... რა კარგია ცეკვა! სულ მიყვარდა! როცა პატარა ვიყავი, მაშინაც ბევრს ვცეკვავდი. დედა ამბობს, რომ სულ მუსიკას ვუსმენდი და ვცეკვავდი.

დათო: როცა პატარა იყავი და სკოლაში არ დადიოდი?

ანა: ჰო. ალბათ მაშინ, როცა ოთხი ან ხუთი წლის ვიყავი.

დათო: მე არ მიყვარდა ცეკვა. სამაგიეროდ, სულ ვმღეროდი და ვხატავდი. და კიდევ, პატარა კუბებით ვთამაშობდი.

ანა: ჰო, პატარა კუბებით თამაში მეც მაგრად მიყვარდა და ხატვაზეც დავდიოდი. ყველაზე ხშირად რას ხატავდი?

დათო: ბევრ რამეს ვხატავდი, მაგრამ ყველაზე ხშირად, რა თქმა უნდა, მანქანებს და სუპერგმირებს. ბეტმენი და სპაიდერმენი მიყვარდა ძალიან!

ანა: ჩემს ძმასაც ყოველ ახალ წელს ბეტმენი უნდოდა საჩუქრად!

დათო: და მერე? მოჰქონდა თოვლის ბაბუას ბეტმენი?...(სიცილი)

ანა: რა თქმა უნდა. დედას ან მამას მოჰქონდათ. ჩვენ ვფიქრობდით, რომ თოვლის ბაბუას მოჰქონდა. (ისევ სიცილი)

ნახე ვიდეო 0,46 წამამდე :https://www.youtube.com/watch?v=6CKRiC_MaQw&fbclid=IwAR3TJhxfJjFLam4F5t1y3CmrKyhFjABLWUGSIda9R58aPIVz1uCCt4YcUBY

თემა 5.გასული ზაფხული

გარი: – მე ძალიან მხიარული ზაფხული მქონდა. დედაჩემის სოფელში ვიყავი ორი თვე. 9 საათზე ვსაუზმობდით, მერე მდინარეზე მივდიოდით ხოლმე და მთელი დღე იქ ვიყავით. საჭმელიც მიგვქონდა და იქ ვსადილობდით. მე თავიდან ცურვა არ ვიცოდი. ნაპირიდან ვუყურებდი ხოლმე ჩემს ბიძაშვილებს და სხვა ბავშვებს. ნელ-ნელა ვისწავლე და მერე მეც ვცურავდი ხოლმე.

დათო: – მე ქალაქში დავრჩი, მაგრამ მაინც ძალიან მაგრად ვერთობოდი. დილით გვიან ვიღვიძებდი და 12 საათზე ვდგებოდი. მერე ხან წიგნს ვკითხულობდი და ხან კომპიუტერით ვთამაშობდი. საღამოობით კი ეზოში ჩავდიოდი. ხან რას ვთამაშობდი და ხან რას. ყველაზე ხშირად წრეში ბურთს ვთამაშობდით. ეს თამაში ძალიან მიყვარს და ხშირად ვიმარჯვებდი ხოლმე.

აისუ: – მეც სოფელში გავატარე ზაფხულის არდადეგები. მე სოფელი არ მაქვს და ჩემს მეგობრებთან ვიყავი ორი კვირით. მათი სოფელი ძალიან ლამაზ ადგილზეა და ძალიან კარგად ვატარებდით დროს. ხშირად დავდიოდით პიკნიკზე. საჭმელი მიგვქონდა და იქ ვსადილობდით ხოლმე. ბურთიც გვქონდა და მინდორში ვთამაშობდით ხოლმე. მერე ჩრდილში სუფრას ვშლიდით და ვსადილობდით. მერე ისევ ვთამაშობდით და ასე...

ნინო: – წელს მართლა მაგარი ზაფხული გვქონდა. ჩემს სოფელში ვიყავი ბებიასთან და ბაბუასთან. ჩვენს სახლთან ახლოს ერთი დიდი ტყეა და იქ დავდიოდით ხოლმე. სოკოს ვკრეფდით და დამალობანასაც ვთამაშობდით. ერთხელ ჩემმა ბიძაშვილმა თქვა: სახლი ავაშენოთო. მართლაც ძალიან საყვარელი სახლი ავაშენეთ. მთელი კვირა ვაშენებდით. დილიდან ვაგროვებდით ტოტებს. ორსართულიანი სახლი გავაკეთეთ. პირველ სართულზე გოგონები შევდიოდით, მეორეზე – ბიჭები. შევდიოდით და სახლობანას ვთამაშობდით...

თემა 6. ახალი წელი

საახალწლო სიმღერა: https://www.youtube.com/watch?v=D6-HCrfe8bk

გოზინაყის momzadeba: https://www.youtube.com/watch?v=EhZ9sIMSHBA&fbclid=IwAR272RB-61Ky6fitBocx7mQo4zZULcBVZC_2eFIusdIDGVslF0fo9r5GZVyA

დათოსა და ლეილას სატელეფონო დიალოგი

– ალო. გისმენთ.

– ლეილა. გილოცავ ახალ წელს! თოვლსაც გილოცავ.

– მადლობა. მეც გილოცავ, დათო. მაგარია თოვლი. მიყვარს, როცა ახალ წელს ასეთი დიდი თოვლია.

– მეც ძალიან მიყვარს. თოვლი ვის არ უყვარს? ლეილა, დღეს ბავშვები სტადიონზე მივდივართ. შენ არ წამოხვალ?

– სტადიონზე ? ვინ დარბის ახალ წელს? თან სტადიონზე ხომ თოვლია?

– არა, რა სირბილი? ვიგუნდავებთ. დიდი ადგილია და სუფთა თოვლია.

– აუუუ, მეც მინდა თქვენთან ერთად გუნდაობა. მაგრამ ვერ წამოვალ. დღეს ცომის მოზელას და ხაჭაპურის გამოცხობას ვსწავლობ. ახლა დედა ცომს ზელს და მე ვუყურებ. ხვალ კი ცომსაც მე მოვზელ და ხაჭაპურსაც მე გამოვაცხობ. სირბილის, ხტომის და გუნდაობის დრო არ მაქვს.

– შენ რა ყოჩაღი გოგო ხარ! მე და მამა კი გოზინაყს ვაკეთებთ. მამა თაფლს ადნობს, მე ნიგოზს ვარჩევ.

– აბა, სტადიონზე მივდივარო?

– ახლა არა. სადილის მერე. სადილის მერეც არ შეგიძლია?

– როგორ არა? დედა ცომს მოზელს, გამოაცხობს ხაჭაპურს და წამოვალ. ჩემს ძაღლსაც წამოვიყვან, ჩვენთან ერთად ირბენს.

თემა 7. კვება და ჯანმრთელობა

– გამარჯობა, ვაჟკაცო! აბა, რა გქვია?

– დათო.

– დათო, დავითი. მშვენიერი სახელია.

– დათო, რამდენი წლის ხარ?

– ათის.

– აბა, რა გაწუხებს, დათო?

– მუცელი მტკივა.

– მაჩვენე, სად გტკივა მუცელი. აქ?

– არა. აქ არა.

– აბა აქ? აქ გტკივა?

– დიახ.

– კარგი.

– ახლა რამდენიმე კითხვაზე მიპასუხე, ჩემო დათო. დილას საუზმობ ხოლმე?

– დიახ, ვსაუზმობ.

– რომელ საათზე?

– რვაზე... ან ცხრის ნახევარზე.

– როდის სადილობ?

– სკოლის მერე. ალბათ 2 საათზე.

– და როდის ვახშმობ?

– საღამოს ცხრა საათამდე. ათზე ვიძინებ ხოლმე.

– და არდადეგებზე რომელ საათზე დგებოდი?

– თორმეტზე ან პირველზე.

– შენ მითხარი, რვა საათზე ან ცხრის ნახევარზე ვსაუზმობო... არდადეგებზე როდის საუზმობდი?

– მმმმ... არ ვსაუზმობდი. გვიან ვდგებოდი და პირდაპირ ვსადილობდი.

– ღამით გვიან ჭამდი?

– კი.

– ბევრ ტკბილეულს ჭამდი არდადეგებზე?

– კი.

– გასაგებია. ახლა კარგად მომისმინე. საშიში არაფერია, უბრალოდ დიეტა და რეჟიმი გჭირდება. დილას ადგები მაქსიმუმ 9 საათზე და ნორმალურად ისაუზმებ. 1 საათზე ისადილებ. მაგრამ სადილზე ბევრს არ შეჭამ. 4 საათზე შეჭამ ხილს. 7 საათზე ივახშმებ. საღამოს ტკბილეულს არ შეჭამ. დალევ ბევრ წყალს. თუ ამ ყველაფერს გააკეთებ, კარგად იქნები. მეტი არაფერი არ გინდა.

თემა 8. თავისუფალი დრო

საუბრობენ დედა და რეზო

– რეზო, გაკვეთილები ისწავლე?
– აუუ, დეეე, ხვალ ხო კვირაა, ხვალ ვისწავლი რაა... უამრავი დრო მაქვს ხვალ...
– კარგი, მაშინ მითხარი, რომელ საათზე ადგები ხვალ?
– ხვალ ხო კვირაა და ცოტა გვიან ავდგები, ასე, თერთმეტ საათზე...
– კარგი, მერე რას გააკეთებ?
– მერე, რა თქმა უნდა, ხელ-პირს დავიბან და ვისაუზმებ.
– მერე?
– აუ დეე, იცი, დათოს ველოსიპედი გაუფუჭდა და მერე იმას დავეხმარები ველოსიპედის გაკეთებაში.
– ძალიან კარგი. მერე რას გააკეთებ?
– მერე სახლში მოვალ და ვისადილებ.
– მერე?
– მერე ბიჭები სტადიონზე წავალთ და ფეხბურთს ვითამაშებთ.
– მერე?
– მერე ჩემი სერიალი გადის ტელევიზორში და იმას ვუყურებ. შენც ხომ იცი ის სერიალი, დე, ბიჭზე და ძაღლზე რომ არის...
– კი, როგორ არა, ვიცი... მერე რას გააკეთებ?
– მერე ალბათ დავწვები და დავიძინებ (სიცილით).
– და გაკვეთილებს როდის ისწავლი?
– აუუ, დეე, გაკვეთილები სულ დამავიწყდა. აუუ, დეე, გაკვეთილებსაც ვისწავლი რაა, ხვალ ხო კვირააა...
– დათო, იცოდე, დღესვე ისწავლე გაკვეთილები!
– აუუუ, კარგი, კარგი, სადაა ჩემი ჩანთა...

თემა 9. საყვარელი შინაური ცხოველი

– ალო, ალო! ანტონ, შენ ხარ?
– დიახ, გისმენთ! შენ ხარ, თამარ?!
– მე ვარ ანტონ, მე ვარ... შენი დახმარება მინდა.
– გისმენ, თამარ! თუ შემიძლია, დაგეხმარები, აბა, არ დაგეხმარები?!
– ანტონ, ჩვენ რომ ძაღლი გვყავდა ხომ იცი?!
– როგორ არ ვიცი, თამარ?!
– ჰოდა, ზუსტად მაგნაირი ლეკვი გვინდა! ათას ძაღლს ნახულობ და ათას მონადირეს იცნობ.
– ზუსტად მასეთი უნდა იყოს?!
– ზუსტად მასეთი უნდა იყოს, ანტონ! ხომ იცი, სულ შავი იყო, მხოლოდ გულზე ჰქონდა მოთეთრო ლაქა.
– სეტერი იყო, ხომ, თქვენი ძაღლი?
– რა ვიცი, რა იყო... მგონი, სეტერი იყო... ანტონ, ორ თვეში როგორ ვერ იშოვი რამეს?!
– ყველანაირად ვეცდები, ჩემო თამარ!
– დიდი მადლობა და აბა, შენი იმედი გვაქვს, იცოდე!

თემა 10. სტუმრად დედაქალაქში

1. ის სუპერგმირია. მაღალია. თმა და თვალები არ უჩანს. აცვია ლურჯ-წითელი ფორმა. აქვს გრძელი თითები. გულზე ახატია ობობა. დაცოცავს ცათამბჯენებზე.

2. ის პრინცესაა. აქვს გრძელი ქერა ნაწნავი და ცისფერი თვალები. აცვია გრძელი, ძალიან ლამაზი ცისფერი კაბა. შეუძლია თოვლისა და ყინულის გაჩენა.

3. ის სუპერგმირია. მაღალია. აქვს განიერი მხრები. ძლიერია. აცვია წითელი რკინის კოსტიუმი, რომელიც გულზე ცისფრად ანათებს.

მოლარე აღწერს თავდამსხმელს: მამაკაცი საშუალო სიმაღლისაა, ოდნავ მსუქანია. აქვს მოგრძო, შავი, ხუჭუჭი თმა და შავი წვერ-ულვაში. აქვს გრძელი ცხვირი და მწვანე თვალები. აცვია მუქი ლურჯი ჯემპრი, მუქი ნაცრისფერი ჯინსის შარვალი და ნაცრისფერი ბოტასები. ხელზე უკეთია დიდი ელექტრონული საათი. თან აქვს ცეცხლსასროლი იარაღი.

თემა 11. დაბადების დღე

ზარის ხმა...

– გისმენთ...

– ალო, ლალი, შენ ხარ?

– ლადო ბიძია, მე ვარ (გახარებული ხმა)

– ლალი, დაგვიანებით გილოცავ დაბადების დღეს! უნდა მაპატიო. გუშინ მორიგე ვიყავი, ვერც მოვედი და ვერც დაგირეკე...

– დიდი მადლობა, ლადო ბიძია, არა უშავს...

– გისურვებ სიხარულს, ბედნიერებას, ჯანმრთელობას და აუცილებლად კარგად სწავლას... ხომ იცი, როგორ მიყვარხარ...

– დიდი მადლობა, ლადო ბიძია, მეც ძალიან მიყვარხარ!

– აბა მომიყევი გუშინდელი ამბები, როგორი დრო გაატარეთ?

– უუჰ, ძალიან კარგად გავერთეთ, ლადო ბიძია. ჩემი მეგობრები მოვიდნენ, ბევრი ვჭამეთ, ბევრი დავლიეთ, ბევრი ვიმღერეთ და ბევრი ვიცინეთ (სიცილით)

– ძალიან კარგი... ახლა ეს მითხარი, საჩუქრები თუ მიიღე? (სიცილით)

– კიიი, ძალიან ბევრი რაღაც მაჩუქეს, მაგრამ ყველაზე ძალიან, იცი, რა გამიხარდა?

– რა?

– მამიკომ პაწაწინა ლეკვი მომიყვანა! იცი, რა საყვარელია? აი, ამხელაა, სულ პაწაწინა. მარტო ჭამს და სძინავს. ბაქსი დავარქვი... ძალიან საყვარელია...

– ვაჰ, როდის გამაცნობ?

– როცა გინდა, დღესვე...

– კარგი, კარგი... აბა თუ მიხვდები, მე რა გიყიდე საჩუქრად...

– რაა?

– გამოიცანი...

– ჩანთა?
– არაა...
– ყურსასმენები?
– არაა...
– ჯარისკაცის მაისური?
– არა, მაგას მერე გიყიდი!
– აბა რაა...
– არ გეტყვი, სიურპრიზად დარჩეს!
– აუუუ, მითხარი რაა, გეხვეწები!
– არ გეტყვი, საინტერესო აღარ იქნება!
– მაშინ მალე მოდი! როდის მოხვალ?
– ერთ კვირაში!
(ლალის ყვირილი)
– გეხუმრები, დღეს საღამოს მოვალ!
– გელოდები, გელოდები, მალე მოდი!
– აბა, საღამომდე!

დაბადების დღის სიმღერა: https://www.youtube.com/watch?v=ViV8vzdzAlk

თემა 12. ზოოპარკში

დათო: მე ყველაზე ძალიან მომეწონა მაიმუნები. იმიტომ, რომ ძალიან სასაცილოები იყვნენ და არ ჩერდებოდნენ, დარბოდნენ და დარბოდნენ.

ეკა: ჩემი აზრით, ყველაზე მაგარი ფარშავანგები იყვნენ. თავიდან სულ არ მომეწონა, მაგრამ ბოლოები რომ გაშალეს... მართლა ძალიან ლამაზები არიან.

აისუ: მე, ხომ იცით, რომ ფარშავანგები მომეწონა ძალიან. ინტერნეტში კი მყავდნენ ნანახი, მაგრამ პირველად რომ ვნახე წინა შაბათს, ენა ჩამივარდა... თან დღეს როგორ ვინერვიულე – ბოლოებს რომ არ შლიდნენ, გახსოვთ?!

გარი: – არა, ფარშევანგები მართლა ლამაზები იყვნენ, მაგრამ მე ყველაზე ძალიან სპილოები მომეწონა. საოცარი ცხოველები არიან. წყალი როგორ გადაისხა თავზე, ნახეთ?!

რეკომენდაციები დამატებით საკითხავებზე სამუშაოდ

ზოგადი რეკომენდაციები:

1. ტექსტები შეგიძლიათ გამოიყენოთ **დიფერენცირებული სწავლების** კონტექსტშიც — შესთავაზეთ მოსწავლეებს, რომლებიც შედარებით ადვილად ახერხებენ მიცემული დავალების შესრულებას, დამატებით საკითხავებად. ამ დროს გამოიყენებთ იქვე თანდართულ შეკითხვებსა და დავალებებსაც. ამ მიზნით გამოსაყენებლად ტექსტის შერჩევამდე საჭირო იქნება ტექსტის შეფასება – რამდენად შეესაბამება იგი თქვენი მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფის შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. შეფასების პროცესში ყურადღება მიაქციეთ ტექსტის მოცულობას და მასში სავარაუდო უცნობის სიტყვების რაოდენობას.

2. საკითხავი აქტივობები წარმართეთ კითხვის სამფაზიანი მოდელის მიხედვით. კერძოდ: **წაკითხვამდე** გააააქტიურეთ მოსწავლეთა წინარე ცოდნა ტექსტში წარმოდგენილ თემასთან დაკავშრებით, ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა იციან ამ კონკრეტულ საკითხზე/პიროვნებაზე/თემაზე/მოვლენაზე/საგანზე. შემდეგ ყურადღება გაამახვილეთ სათაურზე/ილუსტრაციაზე და სთხოვეთ მოსწავლეებს გამოთქვან ვარაუდები ტექსტის შინაარსის შესახებ. წაკითხვამდე საჭირო იქნება მოსწავლეებს კარგად განუმარტოთ, თუ როგორ უნდა წაიკითხონ ტექსტი (ინდივიდუალურად, წყვილებში, ჯგუფებში), რა მიზნით უნდა წაიკითხონ და რა დავალება (შეთავაზებულ შეკითხვებზე პასუხი, რაიმე კონკრეტული სქემის შევსება, საკვანძო ილუსტრაციის დახატვა, პოსტერის დამზადება და სხვ.) უნდა შეასრულონ. წაკითხვამდე ფაზაზე ხშირად სასარგებლოა სავარაუდოდ უცნობი სიტყვების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ სპეციალურად ვტოვებთ ზოგიერთ სიტყვას წინასწარი განმარტების გარეშე, რათა მოსწავლეებმა კონტექსტის გამოყენებით შეძლონ მათი ამოცნობა.

3. **წაკითხვის დროს** მოსწავლეები შეიძლება მუშაობდნენ სხვადასხვა ფორმატში (ინდივიდუალურად, წყვილებში, ჯგუფებში) მიცემულ კონკრეტულ დავალებაზე (შეთავაზებულ შეკითხვებზე პასუხი, რაიმე კონკრეტული სქემის შევსება, საკვანძო ილუსტრაციის დახატვა, პოსტერის დამზადება და სხვ.). სახელმძღვანელოს წიგნსა და რვეულში ასეთი დავალებები მოცემულია, ხოლო დამატებით საკითხავებს ახლავთ მხოლოდ შეკითხვები და ქვემოთ შემოგთავაზებთ კონკრეტულ დავალებებს შესაბამისი ტექსტებისთვის.

ხშირად მასწავლებლები მიმართავენ ხოლმე ტექსტის ხმამაღლა წაკითხვის აქტივობას, როგორც მასწავლებლის მიერ, ასევე მოსწავლეებისგანაც. ჩვენს სახელმძღვანელოს მასწავლებლის წიგნშიც არის შემოთავაზებული რამდენიმეგან რეკომენდაცია, რომ შესაძლოა მასწავლებელმა თავდაპირველად ხმამაღლა წაუკითხოს მოსწავლეებს ტექსტი სათანადო კომენტარებით, შემდეგ მოსწავლეებსაც ხმამაღლა წააკითხოს სხვადასხვა ფორმატში (ერთობლივი ხმამაღლა წაკითხვა, წყვილებში ერთობლივად ხმამაღლა წაკითხვა, ხმამაღლა წაკითხულის ციფრული ჩანაწერის გაკეთება ტელეფონში ან კომპიუტერში და სხვ.). რადგან მეორე ენაზე კითხვის კომპეტენციის განვითარება ჯერ კიდევ აქტუალური საკითხია მე-5 და მე-6 კლასებში, ასეთი აქტივობა სასარგებლო იქნება მოსწავლეთა კითხვაში გაწაფვისთვის.

4. **წაკითხვის შემდეგ** ფაზაზე ხშირ შემთხვევაში ხდება წაკითხვის დროს შესრულებული დავალებების პრეზენტაცია, რასაც თან ახლავს ტექსტთან კიდევ ერთხელ მიბრუნება. სასურველია, ყველა მოსწავლეს მიეცეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს დავალებების წარდგენაში, მიუ-

ხედავად იმისა, ინდივიდუალურად არის იგი შესრულებული თუ ჯგუფურად. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ პრეზენტაციის უნარი მეტად ძვირფასი კომპეტენციაა ნებისმიერი საგნის კონტექსტში, ხოლო მეორე/უცხოური ენის შემთხვევაში კი იგი ფასდაუდებელი უნარია.

წაკითხვის შემდეგ ფაზაზე კარგი იქნება დამატებითი დავალების მიცემაც, რომელზე მუშაობის დროსაც კიდევ ერთხელ მიუბრუნდებიან წაკითხულ ტექსტს, ოღონდ სხვა მიზნით. ეს დავალება შეიძლება შეეხებოდეს ტექსტის ინტერპრეტირებას, მოითხოვდეს წერითი კომპეტენციის გამოყენებას, ტექსტის სხვაგვარ ფორმატში (დრამა, კომიქსი...) წარმოდგენას, ხატვითი უნარების გამოყენებას და სხვ.

5. შეფასება

მასწავლებლებმა შეიძლება გამოიყენოს ქვემოთ მოცემული რუბრიკა, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების მიზნით.

კომპონენტი	**დაბალი**	**გასაუმჯობესებელი**	**საშუალო**	**კარგი**	**საუკეთესო**
გაწაფული კითხვა	ვერ ახერხებს სიტყვების ამოკითხვას	დაშვებულია საკმაო რაოდენობის შეცდომები, არაა დაცული ინტონაცია და დაბალის სიჩქარით კითხულობს.	შესამჩნევია შეცდომებისა და ინტონაციური გაუმართაობა, ყოვნდება და დაბალი სიჩქარით კითხულობს.	მცირეოდენ შეცდომასა და ინტონაციურ ხარვეზს უშვებს, კითხულობს სათანადო სიჩქარით.	უშეცდომოდ, სათანადო სიჩქარითა და ინტონაციით კითხულობს.
ლექსიკური მარაგი	ვერ აღიქვამს სიტყვათა უმეტეს ნაწილს.	შეცდომით იყენებს ხშირად ლექსიკურ ერთეულებს.	უჭირს ცალკეული სიტყვების კონტექსტში გამოყენება.	მცირე შეცდომებით იყენებს სიტყვებს სათანადო კონტექსტში.	სიტყვების გამოყენებისას იჩენს შემოქმედებითობას.
გაგება-გააზრება	ვერ ახერხებს წინადადების აღქმას.	ტექსტში გადმოცემული ინფორმაციის აღქმისას უშვებს ბევრ შეცდომას.	უჭირს იმპლიციტური ინფორმაციის ამოღება ტექსტიდან.	ტექსტის გააზრებისას არ არის დაშვებული შეცდომა, როგორც ექსპლიციტური, ასევე იმპლიციტური აზრის გაგებისას.	სრულფასოვნად იაზრებს ტექსტს, ახერხებს სათანადო ინტერპრეტირებას.
წერითი კომპეტენცია	ვერ ახერხებს მარტივი აზრის წერილობით გადმოცემას.	ნაწერში დაშვებული შეცდომების გამო უმეტესად შეუძლებელი ხდება აზრის გაგება.	წერით ნამუშევარში დაშვებული შეცდომები, თუმცა აზრის აღქმა შესაძლებელია.	უშეცდომოდ ან მცირე ხარვეზით ახერხებს წერილობითი დავალების შესრულებას.	შემოქმედებითად ახერხებს წერილობით მოსაზრებებისა და იდეების გადმოცემას.

1. ტოჩინოშინი

ტექსტის წაკითხვამდე

მასწავლებელი სვამს შეკითხვას, სპორტის რომელი სახეობები იციან და იხსენებენ თითოეულ მათგანს და მასწავლებელი ჩამოწერს დაფაზე. ჩამოწერილ სახეობებს მასწავლებელი ყოფს ორ ჯგუფად: ინდივიდუალური (ჭიდაობა, ჩოგბურთი...) და ჯგუფური (ფეხბურთი, კალათბურთი, წყალბურთი...) სპორტის სახეობები.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ყურადღება მიაქციონ ილუსტრაციას, რომელზეც გამოსახულია ტოჩინოშინი და გამოთქვან ვარაუდი, რა სპორტის მიმდევარია იგი.

ამის შემდეგ მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს ისეთ სიტყვებს, რომლებიც იაპონური სპორტის სახეობისთვისაა დამახასიათებელი (სუმო, სუმოისტი, ოძეკი...) და უხსნის მოსწავლეებს, რომ ტოჩინოშინის სახელიც იაპონური ტრადიციის მიხედვით ჰქვია ამ სპორტსმენს (თუ რას ნიშნავს, ამას გაიგებენ ტექსტის წაკითხვისას.)

ტექსტის წაკითხვის დროს

მოსწავლეები წყვილებში (ან მცირე ჯგუფებში) კითხულობენ ტექსტს და ამზადებენ პოსტერს ტექსტის მიხედვით, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- მოკლე ინფორმაცია სპორტის (სუმო) შესახებ (სადაური სპორტის სახეობაა, ორთაბრძოლაა თუ ჯგუფური, რა ხდება შეჯიბრებისას...).
- მოკლე ინფორმაცია ტოჩინოშინის შესახებ.
- ილუსტრაცია
- წიგნში მოცემულ შეკითხვებზე პასუხები.

<u>შენიშვნა:</u> მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, მასწავლებელმა, შესაძლოა, სამოდელო წაკითხვის ფორმატში თვითონ წაიკითხოს ხმამაღლა ტექსტი სათანადო კომენტარებით, მოსწავლეებსაც წააკითხოს ხმამაღლა და ამის შემდეგ მისცეს დავალებად ზემოთ ნახსენები პოსტერის დამზადება.

წაკითხვის შემდეგ

მოსწავლეთა წყვილები (ან ჯგუფები) წარმოადგენენ დავალებას – პოსტერებს და საუბრობენ, თუ რა ინფორმაცია დაიტანეს მასზე, რა ილუსტრაცია დახატეს, როგორ უპასუხეს შეკითხვებს.

მასწავლებელი პრეზენტაციების შესახებ აკეთებს პოზიტიურ უკუკავშირს.

შინ სამუშაოდ შესაძლოა დაევალოთ ბავშვებს დამატებითი ინფორმაციის მოძიება სუმოს შესახებ და პოსტერის გამრავალფეროვნება.

2. ანიტა რაჭველიშვილი

წაკითხვამდე

მასწავლებელი მოსწავლეებს ასმენინებს ანიტა რაჭველიშვილის სიმღერას ბიზეს ოპერიდან „კარმენი“: https://www.youtube.com/watch?v=ITYN-5qbO8U

სიმღერის მოსმენის შემდეგ საუბრობენ შეკითხვების მიხედვით:

- მოეწონათ თუ არა სიმღერა? როგორი სიმღერაა?
- როგორ მღერის ეს მომღერალი? იციან თუ არა, ვინ არის იგი?
- კიდევ თუ იციან „ასეთი“ სიმღერები? და სხვ.

მასწავლებელი აწვდის ინფორმაციას, რომ ეს არის ცნობილი ქართველი მომღერალი ანიტა რაჭველიშვილი და მის შესახებ უნდა წაიკითხონ პატარა ტექსტი.

ამის შემდეგ წარუდგენს შემდეგ ლექსიკურ ერთეულებს და აზუსტებენ მათ მნიშვნელობებს: მეცო-სოპრანო (ამ სიტყვის განმარტებისას იხსენებენ ვიდეოში ანიტას ხმას.), ვოკალი, კონსერვატორია, სტიპენდია... სიტყვების ჩამონათვალი განისაზღვრება საჭიროების მიხედვით.

წაკითხვის დროს

მოსწავლეები ჯგუფებში კითხულობენ ტექსტს და ავსებენ შემდეგ სქემას:

ანიტა რაჭველიშვილი	
დაბადების თარიღი	
დაბადების ადგილი	
სად მღერის?	
საინტერესო ფაქტები ანიტაზე	
ანიტას პორტრეტი	

წაკითხვის შემდეგ

მოსწავლეები აკეთებენ ნამუშევრების პრეზენტაციებს.

საუბრობენ წიგნში მოცემული სხვა შეკითხვების მიხედვით. რასაკვირველია, მასწავლებელი საჭიროების მიხედვით სვამს დამატებით შეკითხვებს.

მოსწავლეები შინ მოიძიებენ დამატებით ინფორმაციას, ნახავენ მისი შესრულებით სხვა სიმღერებსაც.

დამატებითი აქტივობა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს შეასრულონ დასაწყისში მოსმენილი სიმღერა ქართული ტექსტის მიხედვით:

> სიყვარული ჰგავს ლამაზ ჩიტს,
> რომელი ცაში დაფრინავს...
> ლა-ლა-ლა-ლა, ლა-ლა-ლა-ლა...

აღსანიშნავია, რომ მეხუთე-მეექვსეკლასელები ხალისით მიმართავენ ხოლმე პაროდირებას და კარგი იქნება, თუ თვითონაც წაიმღერებენ მეცოსოპრანოს თუ ბარიტონის ხმებით...

შინ სამუშაოდ შეიძლება დაევალოთ დამატებითი ინფორმაციის მოძიება ანიტას შესახებ და სხვა ვიდეოშესრულებების მოძებნა youtube-არხზე და მათგან მათთვის, მოსაწონის შერჩევა.

3. მერილინ მონრო

წაკითხვამდე

მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ წაიკითხავენ მცირე ტექსტს ერთი ცნობილი ადამიანის შესახებ. მანამდე სთხოვს, გონებრივი იერიშით დაფაზე ჩამოწერონ ის საკითხები, რაც აინტერესებთ ცნობილი ადამიანების შესახებ. ჩამონათვალი დაახლოებით შემდეგ სახეს მიიღებს:

- სახელი, გვარი
- როდის დაიბადა?
- სად დაიბადა?
- სად ცხოვრობს?
- რას აკეთებს?
- ოჯახი
- საინტერესო ფაქტები მის შესახებ...

ამის შემდეგ მასწავლებელი ეუბნება, რომ უნდა წაიკითხონ მცირე ტექსტი ცნობილი ამერიკელი მსახიობის მერილინ მონროს შესახებ. სვამს შეკითხვას, ხომ არ დაამატებენ რაიმე საკითხს უკვე ჩამოწერილ შეკითხვებს. ეს შეიძლება იყოს: რომელ ფილმში თამაშობს...

წაკითხვის დროს

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს რვეულში გადაწერონ დაფაზე ჩამოწერილი შეკითხვები (კარგი იქნება, თუ მასწავლებელი წინასწარ მოამზადებს სამუშაო ფურცლებს სათანადო სქემით.), რომელზე პასუხებსაც მოძებნიან ტექსტში. მოსწავლეები კითხულობენ მცირე ჯგუფებში ტექსტს მერილინ მონროს შესახებ და წერენ პასუხებს შეკითხვებზე. საჭიროების შემთხვევაში აზუსტებენ მასწავლებელთან გაუგებარ სიტყვებს.

ყურადღებას იმსახურებს ის მომენტი, რომ ამ შემთხვევაში მასწავლებელი წინასწარ არ განუმარტავს მოსწავლეებს ყველა უცნობ სიტყვას და ისინი ცდილობენ, კონტექსტური გასაღებების გამოყენებით, ამოიცნონ უცნობი სიტყვის მნიშვნელობა.

წაკითხვის შემდეგ

მოსწავლეები წარმოადგენენ შეკითხვებზე პასუხებს. მასწავლებელი სვამს დამატებით შეკითხვებს საჭიროების მიხედვით.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს შინ დამატებით მოიძიონ ინფორმაცია ცნობილი მსახიობის შესახებ.

დამატებითი აქტივობა

მოსწავლეები გახალისდებიან, თუკი გაითამაშებენ „ოქროს გლობუსის" გადაცემის სცენას. ბავშვები დაამზადებენ ოქროს გლობუსის მაკეტს, მოამზადებენ წარდგენისა და სამადლობელ ტექსტებს და წარმოადგენენ იმიტირებას:

> *მოსწავლე წარმდგენი:* – ოქროს გლობუსი გადაეცემა (თან ვითომ კონვერტს ხსნის...)... გადაეცემა... ნორმა ჯინ მორტენსონ ბეიკერს!..
>
> *მოსწავლე მერილინ მონრო:* – ძალიან დიდი მადლობა! დიდი მადლობა! არ ვიცი რა ვთქვა!.. ძალიან ვღელავ... დიდი მადლობა ჩემს დედას... დიდი მადლობა ჩემს მამას... დიდი მადლობა ჩემს რეჟისორს... ყველას დიდი მადლობა!...

სასურველია, ასეთ ინსცენირებაში ყველა მსურველმა მოსწავლემ მიიღოს მონაწილეობა და, რასაკვირველია, მასწავლებელმაც... ეს, ერთი მხრივ, მოსწავლეთა საგაკვეთილო ჩართულობასა და კეთილგანწყობის დონეს აამაღლებს ქართულის გაკვეთილებზე, მეორე მხრივ, კომუნიკაციური კომპეტენციის დახვეწასაც შეუწყობს ხელს.

4. წერილი თოვლის ბაბუას

წაკითხვამდე

მასწავლებელი სვამს შეკითხვას, თუ რა ახსენდებათ, როდესაც ახალ წელზე ფიქრობენ? იგი თითოეული მოსწავლის ნებისმიერ პასუხს წერს დაფაზე: თოვლი, ზამთარი, თოვლის ბაბუა, ნაძვის ხე, სათამაშოები, ყინული, ციგაობა, არდადეგები...

შემდეგ კითხულობს, არსებობს თუ არა თოვლის ბაბუა? ამაზე ბავშვები მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით უპასუხებენ, რადგან ისინი ესესაა გამოდიან ამ ასაკიდან... შეიძლება გაიხსენონ რაიმე ამბავი ამასთან დაკავშირებით, თუმცა მასწავლებელი ფრთხილად უნდა იყოს, რათა ამბების გახსენება არ გადაიქცეს თოვლის ბაბუას მიერ „მოტანილი" საჩუქრების არაჯანსაღ შეჯიბრში.

მასწავლებელი ამბობს, რომ წაიკითხავენ ტექსტს იმის შესახებ, თუ როგორ მისწერა პატარა ნატამ წერილი თოვლის ბაბუას. ამის შემდეგ მოსწავლეებს ყოფს ჯგუფებად და ავალებს: ყურადღებით უნდა წაიკითხონ და დაამუშაონ ტექსტი, შემდეგ გაინაწილონ როლები (ორი მკითხველი, იმის მიხედვით, რამდენი მოსწავლეა ჯგუფში/კლასში, ნატა, მამა) რათა წარმოადგინონ „თეატრი".

წაკითხვის დროს

(კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ პირველ ეტაპზე შესაძლოა, მასწავლებელმა თავად წაიკითხოს ხმამაღლა ტექსტი, საჭირო კომენტარებითა და განმარტებებით და მხოლოდ ამის შემდეგ მისცეს ბავშვებს ჯგუფებში დასამუშავებლად ტექსტი.)

ბავშვები ჯგუფებში კითხულობენ ტექსტს, შემდეგ ინაწილებენ როლებს და ვარჯიშობენ გაწაფულად წაკითხვაში. გადიან რეპეტიციასაც.

მასწავლებელი საჭიროების შემთხვევაში ეხმარება ჯგუფებს. ძირითად აქცენტს, რასაკვირველია აკეთებს იმ მოსწავლეზე თუ მოსწავლეთა ჯგუფზე, რომელსაც ეს დახმარება ყველაზე მეტად სჭირდება.

წაკითხვის შემდეგ

მოსწავლეები წარმოადგენენ ტექსტს როლებში. აჯილდოებენ ერთმანეთს ტაშითა და პოზიტიური უკუკავშირით. მასწავლებელი აკეთებს ჩანიშვნებს თავის ბლოკნოტში სამომავლოდ გასაუმჯობესებელი უნარების შესახებ, ხოლო იმ მომენტში ამხნევებს და ახალისებს ბავშვების წარმოდგენებს.

5. თბილისი

შესაძლებელია ეს ტექსტი დამოუკიდებელი მუშაობისთვის გამოიყენოს მასწავლებელმა და მოსწავლეებს შესთავაზოს სათანადო დავალებებით.

ამ შემთხვევაში წიგნში წარმოდგენილია თანდართული შეკითხვები, რასაც დაემატება ქვემოთ მოცემული სქემის შევსებაც:

თბილისი	
ძველი სახელი	
რატომ ეწოდა	
რომელი მდინარე ჩამოედინება?	
რომელი წლიდან ჰქვია თბილისი?	
რამდენი ადამიანი ცხოვრობს?	
სხვა დამატებითი ინფორმაცია.	

მოსწავლეები ინდივიდუალურად მუშაობენ, წყვილებში უცვლიან ერთმანეთს და ადარებენ საკუთარ ნამუშევარს.

მასწავლებელი დამატებით სვამს შეკითხვებს, მათ შორის წიგნში შემოთავაზებულებს. აზუსტებენ, საჭიროების შემთხვევაში, სიტყვების მნიშვნელობებს.

მასწავლებელმა შესაძლოა აკრიფოს ეს ნამუშევრები და გამოიყენოს განმავითარებელი შეფასების მიზნით მცირე საინფორმაციო ტექსტი გაგება-გააზრების უნარის შესაფასებლად.

6. ცხოველები

წაკითხვამდე

მასწავლებელი იყენებს სტრატეგია „მოლოდინების გზამკვლევს", რაც მეტად სასარგებლო მეთოდია ტექსტის წაკითხვამდე გამოსაყენებლად. კერძოდ, მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს დაფაზე დაწერილ წინადადებებს, მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ სწორია თუ არა ეს წინადადება, ეთანხმებიან თუ არა მას. (აღსანიშნავია, რომ მათგან ზოგიერთი წინადადება შეიძლება არასწორი იყოს. სულ 4-6 წინადადების შერჩევა საკმარისია.)

ამ შემთხვევაში შეთავაზებული წინადადებები იქნება:

1. ბეღურა და ბუზი ცხოველები არიან.
2. ზოგ ცხოველს ორი ფეხი აქვს, ზოგს — ოთხი, ზოგს — ექვსი.
3. დათვი იკვებება მხოლოდ ხორცით, ანუ ხორცისმჭამელია.
4. მგელი ნაირმჭამელი ცხოველია, ანუ ჭამს ხორცსაც და მცენარესაც.
5. ცხოველია ის არსება, რომელიც იკვებება სხვა ცოცხალი ორგანიზმით.

(1, 2, 5 სწორია, 3, 4 — არასწორია.)

პროცესის გახალისებისა და ინტერესის გაძლიერების მიზნით, მასწავლებელმა შეიძლება ჩაატაროს კენჭისყრა თითოეულ წინადადებაზე — რომელი წინადადება რამდენ მოსწავლეს მიაჩნია სწორად და რამდენს მცდარი ჰგონია.

წაკითხვის დროს

ეფექტური იქნება, თუ შეთავაზებული წინადადებები დარჩება დაფაზე (რასაკვირველია, შესაძლებლობის ფარგლებში პროექტორით სლაიდების გაშვებაც კარგი იქნება.) და ტექსტს მასწავლებელი წაიკითხავს ხმამაღლა. ამ დროს მოსწავლეებსაც საშუალება ექნებათ, წიგნებშიც იყურონ. საჭიროების შემთხვევაში, აზუსტებენ სიტყვების მნიშვნელობას და აკვირდებიან წაკითხვამდე განხილულ წინადადებებს — სწორია თუ არა თითოეული მათგანი.

წაკითხვის შემდეგ

მოსწავლეები ხმამაღლა კითხულობენ წიგნში შემოთავაზებულ შეკითხვებს და ტექსტის დახმარებით უპასუხებენ მათ.

ასევე იხსენებენ იმ ცხოველებს, რომლებიც ამ სახელმძღვანელოშიც იყო წარმოდგენილი.

7. ყველაზე სწრაფი და ყველაზე ნელი

მოლოდინების გზამკვლევის გამოყენებით დამუშავდება ეს და სხვა ტექსტებიც, რის შემდეგაც შესრულდება წიგნში მოცემული დავალებები. ქვემოთ წარმოდგენილია სათანადო წინადადებები:

1. ყველაზე სწრაფი ცხოველია ავაზა. მისი სიჩქარე 100 კმ/სთ-ია.
2. ავაზას სირბილისას სწრაფად მოხვევაში ეხმარება კუდი.
3. შავარდნის სიჩქარე შეიძლება იყო 322 კმ/სთ.
4. ცხოველებში ყველაზე ნელია სამთითა ზარმაცა, რომელიც მიწაზე ცხოვრობს.

(1, 2, 3 სწორია, 4 — არასწორი.)

8. ზღვის ვარსკვლავი

1. ზღვის ვარსკვლავი ცხოველია.
2. თუ ზღვის ვარსკვლავმა სხივი დაკარგა, ახალი სხივი ამოუვა.
3. ზღვის ვარსკვლავი წყალმცენარეებს ჭამს.
4. ზღვის ვარსკვლავი 20 წელიწადს ცხოვრობს.

(1, 2, 4, სწორია, 3 — არასწორი.)

9. რვაფეხა

1. რვაფეხას ძვლები საერთოდ არ აქვს.
2. რვაფეხას აქვს ორი პირი და ერთი თვალი.
3. შეშინებული რვაფეხა თეთრია, გაბრაზებული — წითელი.
4. რვაფეხას შეუძლია გახდეს ოთხჯერ უფრო პატარა.
5. რვაფეხა ჭამს მხოლოდ წყალმცენარეებს.

(1, 3, 4 სწორია, დანარჩენები — არასწორი.)

10. როგორ თბება პინგვინი?

1. პინგვინი დიდი ფრინველია, თუმცა მან ფრენა არ იცის.
2. პინგვინს ზურგი თეთრი აქვს, მუცელი — შავი.
3. პინგვინებს ყინვისა და ქარის ეშინიათ.
4. პინგვინს თბილი ბუმბული აქვს.

(1 და 4 სწორია, 2 და 3 — არასწორი.)

ტექსტის წაკითხვისა და წინადადებებზე მოსწავლეთა პასუხების განხილვისა და შეჯერების შემდეგ, სრულდება წიგნში შემოთავაზებული დავალებებიც.

11. სპილოს ინტერვიუ ჭიანჭველასთან

ეს ტექსტი დამუშავდება წიგნში მოცემული დავალებების მიხედვით და ეს ითვალისწინებს სათანადო აქტივობების შესრულებას, როგორც ტექსტის წაკითხვამდე, ასევე კითხვისას და წაკითხვის შემდეგ. ამაში მასწავლებლებს დახმარებას გაუწევს შემოთავაზებული სლაიდპრეზენტაციაც, რომელიც აგრეთვე ატვირთულია youtube-არხზე. აღსანიშნავია, რომ ამ ვიდეოფაილის სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი ვერსიებიცაა შემოთავაზებული და კარგი იქნება, თუ მათ მშობლიური ენების მასწავლებლებიც გამოიყენებენ.

ა) სპილოს ინტერვიუ ჭიანჭველასთან: https://www.youtube.com/watch?v=nAq6nfVl-K8&t=2s

ბ) აზერბაიჯანულ ენაზე: https://www.youtube.com/watch?v=fopJPBnn7pQ&t=4s

გ) სომხურ ენაზე: https://www.youtube.com/watch?v=o5deNNjBl-k&t=27s

მოსწავლეებმა შეიძლება დაამზადონ ილუსტრაცია-კომიქსი, სადაც დაიტანენ მათთვის ყველაზე საინტერესო შეკითხვასა და პასუხს. კარგი იქნება, თუკი თვითონ მოიფიქრებენ განსხვავებულ შეკითხვას და პასუხსაც მოძებნიან.

თუკი მოსწავლეები მიჩვეულები არიან კომპიუტერულ ტექნიკასთან მუშაობას, კარგი იქნება, თუ მასწავლებელი დაავალებს ინტერვიუს გათამაშებას და ხმოვანი ტექსტების ჩანაწერის გაკეთებას, მაგალითად, პაუერ-პოინტში.

12. ფრინველის ბუდე

წინადადებები „მოლოდინების გზამკვლევისთვის“:

1. ყველა ფრინველი კვერცხს ბუდეში დებს.
2. ბუდის მომზადებას, აშენებას დიდი შრომა არ სჭირდება.
3. მერცხალი ბუდეს ტალახით იშენებს.
4. ბუდე ბარტყების საიმედო ადგილია.

(1, 3, 4 სწორია, 2 — არასწორია.)

სასწავლო პროცესისთვის მოსახერხებელ დროს სრულდება წიგნში შემოთავაზებული დავალებებიც.

კარგი იქნება, თუ მოსწავლეები დაამზადებენ ბუდეების საკუთარ ვერსიებს და წარმოადგენენ კლასში: აღწერენ, რა მასალისგან დაამზადეს ესა თუ ის ბუდე... ბოლოს მოაწყობენ „ბუდეების გალერეას“, სადაც თითოეულ ბუდეს დამაგრებული ექნება აღწერილობითი ბარათი. მაგალითად: